ლიტერატურული გაზეთი

№13 (221) 29 ივნისი - 12 ივლისი 2018 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნუგზარ ზაზანაშვილი

* * *
ლიკანი, კარგი აპრილის ღამე...
ბიჭები სადღაც უჩემოდ სვამენ.

მე ალუჩის ქვეშ ჩემთვის ვზივარ და
ვიხსენებ მათ, ვინც გულით მიყვარდა...

კარგი ღამეა, ღამეა წყნარი
და გვერდით წყნარად ხმაურობს მტკვარი.

დროდადრო დასტვენს პატარა ჭოტი,
ზუსტად არ ვიცი, როგორ ან როდის,

თუმცა ნამდვილად ვიცი, რომ მალე
მთლად შევეშვები ამ მწარე წამლებს,

ფეხებს გავფშიკავ, თვალებს დავხუჭავ
და
აყვავდება ისევ ალუჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

განხილვის რეპორტაჟი — ნოველად

ეპიზოდი „კვერნაქის“ ცხოვრებიდან

„კვერნაქს“ ცოტა განსხვავებული ბედი ერგებოდა ოთარ ჩხეიძის რომანთაგან.

„მნათობის“ ფურცლებზეც დაიბეჭდებოდა.

და მერე ცალკე წიგნადაც ასე თუ ისე მალე გამოიცემოდა ავტორისათვის მეტად გართულებულ ყოფაში.

და კეთილგანწყობილი გამოხმაურებანიც მოჰყვებოდა: გურამ გვერდწითელის („კვერნაქი“), როსტომ ბეჟანიშვილისა („ვინ არის სანდრო ცხოიძე?“) და გიორგი ნატროშვილის („მომხვეჭელნი და მეოცნებენი?“).

მერე როგორღაც მიყრუვდებოდა კრიტიკოსთა თვალთაგან და... ამდენი ხნის შემდეგღა დაიწერებოდა მაია ჯალიაშვილის სტატია „ცოდვის ტყვეობაში“, ბოლოსიტყვად რომ დაერთვოდა „კვერნაქის“ ახალ გამოცემას — უილიამ ფოლკნერის „იოკნაპატოფას საგის“ ფორმატის კვალობაზე მომზადებული სერიიდან „მატიანე ქართლისაი“ (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით).

ახალთაობის თვალსაჩინო კრიტიკოსის შეფასებით:

„ოთარ ჩხეიძის განსხვავებული სტილი და მსოფლაღქმა რომან „კვერნაქშიც“ სრული სისავსით წარმოჩნდება. ის ოსტატურად იყენებს კლასიკურ თხრობით სტრატეგიებს, პერსონაჟთა ხასიათების ხატვას, დრამატულ კოლიზიებს, რომლებსაც მწერლები მკითხველზე ზემოქმედების მოსახდენად მიმართავენ, ამავე დროს, ქმნის სრულიად ახალი ტიპის მხატვრულ მოდელებსა და სტრუქტურებს, რომლებიც მას სჭირდება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ სამყაროში მიმდინარე მოვლენების წარმოსაჩენად. მისი მხატვრული კონცეფცია ემყარება ადამიანის, როგორც უნივერსალური არსების, წარმოდგენას, რომელიც თანაბრად ირეკლავს მიკრო თუ მაკროკოსმოსების ქაოსსაც და წესრიგსაც“.

და კიდევ:

„ოთარ ჩხეიძეს ბევრს აკრიტიკებდნენ საბჭოთა კრიტიკოსები, ხელს უშლიდნენ მისი რომანების გამოცემას, მაგრამ მწერალი მაინც ახერხებდა გამჭვირვალე ქვეტექსტებში გამოეხატა მთავარი სათქმელი. 1964 წელს დაწერილმა ამ რომანმაც გაიკვალა გზა მკითხველის გულამდე და დღესაც სანდროს ოჯახის ისტორია უნდა აღვიქვათ, როგორც გაფრთხილება“.

რუსულადაც ითარგმნებოდა ი. დადიანისა და ი. ზავერინის მიერ და გამოიცემოდა „მერანში“ 1970 წელს.

საინტერესო ისაა, რუს ლიტერატორთა წრეში, თბილისსა თუ მოსკოვში, სჯაბაასი რომ შეიქნებოდა: მთავარი გმირი სანდრო ცხოიძე ავტორის ალტერ ეგო ხომ არ არის, ყოველ შემთხვევაში, თავის რაღაც თვისებანი მას ხომ არ მიაწერა და ამის ხაზგასასმელად გამოიყენა თავის გვართან ერთგვარი ალიტერაციული მსგავსებაო: ცხოიძე — ჩხეიძე.

ეს იყო ზერელე დამოკიდებულების ნაყოფი, მაგრამ ოთარ ჩხეიძეს რომ შეატყობინებდნენ იმ კამათის ამბავსაც და საქმეში უფრო ჩახედულთა საპასუხო არგუმენტსაც: სანდრო ცხოიძე სატირულად არის დახატული და ავტორი თავს ასე რატომ გაიმეტებდაო — მწერალი შეფიქრიანდებოდა, ვაითუ ეს მოსაზრება ჩვენშიც არსებობს ანდა შემდგომ გაუჩნდეს ვინმესო.

ამიტომაც 1987 წლის გამოცემისას, სამტომეულის მესამე ტომში, პერსონაჟს გვარს შეუცვლიდა და „ბონიძედ“ გადაუკეთებდა, თორემ ის არგუმენტი, ერთი შეხედვით თითქოსდა სავსებით დამაჯერებელი, არცთუ მყარ ნიადაგზე დგას:

განა მიხეილ ჯავახიშვილი სატირულად არ წარმოსახავდა თეიმურაზ ხევისთავს, მის გარსში საკუთარ თავს რომ გამოახვევდა?..

სანდრო ცხოიძესა და ოთარ ჩხეიძეს კი პიროვნული ხასიათით არაფერი აქვთ საერთო, მწერალს მსგავსიც არაფერი უგულისხმია, და თუნდ მიამიტ მკითხველსა თუ სულაც ლიტერატორს ასე რატომ უნდა მოსჩვენებოდა?

ამიტომაც უნდა შეცვლილიყო პერსონაჟის გვარი.

1965 წლის 16 დეკემბერს ამ რომანის განხილვაც დაინიშნებოდა მწერალთა კავშირში, პროზაიკოსთა სექცია რომ ითავებდა.

იმ განხილვის შთაბეჭდილებებს კი ოთარ ჩხეიძის დღიური შემოგვინახავდა, „დროდადროს“ სახელწოდების ქვეშ რომ ამთლიანებდა, და მასალებად გულისხმობდა მოგონებათა წიგნისათვის.

სხდომის დაწყება 2 საათზე ივარაუდებოდა და მწერალი ცოტა ადრე გავიდოდა შინიდან. ერჩივნა წიგნის მაღაზიებს ჩაჰყოლოდა რუსთაველის გამზირზე, ბუკინისტებისათვის შეევლო, ახალი ლიტერატურა გადაეთვალიერებინა და ასე აეთრია ფეხი!..

მაინც ადრე მოუწევდა მისვლა მწერალთა სასახლეში.

იქ უკვე მისულიყვნენ, ხმაური იდგა, ხალხი ირეოდა.

ცოტა არ იყოს გაუკვირდებოდა: ჩვეულებრივ დროზეც არავინ მოდის ხოლმეო.

გულისხმობდა ვითარებას საკმაო ხნის წინათ, როცა აქ დისკუსიები იმართებოდა, თორემ ახლა დისკუსიებს გადაჩვეულიყვნენ, ხელისუფლებას დიდად არ ეპიტნავებოდა მწერლების თავმოყრა და კამათი (რატომღაც არ უნდათო — ირონიულად დასძენს), თუნდაც მხოლოდ პოეტიკის საკითხებზე ელაპარაკათ და ეკამათათ, მაინც არა სურდათ.

მწერლებიც შეგუებოდნენ ამ ვითარებას და მაინცდამაინც დიდად არა წუხდნენ.

თუ წუხდნენ, თუ შეგროვდებოდნენ და ყაყანებდნენ — ვაი რომ მართლაც ყაყანებდნენ — მხოლოდ მაშინ, ბინები რომ ნაწილდებოდა ან რაიმე ამგვარი ხდებოდა, ლიტერატურის ბედი დიდად აღარ აღელვებდათ.

ეს ჩვეულებრივ.

ახლა კი... ეს რამდენნი მოსულიყვნენ?

მაგრამ თურმე „კვერნაქის“ განხილვას კი არ მოეყვანათ აქ, ლიტერატურული გაზეთის ფულს ელოდებოდნენ. დიდი ხანია გაზეთს ჰონორარი აღარ გაეცა, დიდხანსაც აღარ იქნებოდა, და უნდა მოესწროთ — ამიტომაც მოსულიყვნენ, შემოსეულიყვნენ.

ესეც იმათში გაერეოდა — მარტის აქეთია მასაც ეკუთვნოდა ჰონორარი. სხვანიც აიღებდნენ, ესეც აიღებდა და... ამასობაში 2 საათიც მოაწევდა.

„კვერნაქი“... არავის აგონდებოდა.

უკვე გრძნობ, იუმორისტული, მეტიც — სატირული ჩანაწერის შემსწრე რომ შეიქნები, განწყობილებისა, რაც მკითხველს ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამიდან“ და რეზო ჭეიშვილის „დალიდან“ და „ცისფერი მთებიდან“ დაამახსოვრდებოდა — ლიტერატორთა თუ კინემატოგრაფისტთა თავყრილობანი, ასეთი კომიკური იერით რომ წარმოისახებოდა. დუმბაძესთან უფრო იუმორისტული, ჭეიშვილთან უფრო სატირული ფერებით.

აქ კი:

მომხსენებელიც არსად ჩანდა: გურამ გვერდწითელი.

პროზაიკოსთა სექციის თავმჯდომარე კი მობრძანებულიყო, სერგო კლდიაშვილი, მძიმე, დაბამბულ პალტოში გახვეული, თავზეც ბეწვის ქუდი რომ ედო, საყელოს ბეწვსა და ქუდს შორის გალეული სახე ძლივას რომ მოუჩანდა, სქელ პალტოში ჩაკარგულიყო ჩია კაცი. ნელ-ნელა ლაპარაკობდა, თითქოს ესაა ზეზეულა უნდა ჩაეძინოსო.

ცოცხალი, მკვირცხლი მოლაპარაკე რომ გახლდათ, მოფუსფუსე?

სიბერე შემოპარვოდა ასე თვალდათვალ.

ხანდახან კი ძველებურად რომ გამოცოცხლდებოდა ხოლმე, ოთარ ჩხეიძეს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: ეგება ამგვარი გამოცოცხლებისას მოინდომა „კვერნაქის“ განხილვა, ხოლო ახლა, ვინ იცის, აღარც კი ახსოვსო.

სამის ნახევარზე გამოჩნდებოდა მომხსენებელი.

ახლა მაინც თუ მოაგონდებოდათ განხილვა?

მიდიოდნენ, მოდიოდნენ, ოთარ ჩხეიძეს ესალმებოდნენ, ყველა მოვალედ მიიჩნევდა თავს, ხელი ჩამოერთმია და მოეკითხა. ეს იმიტომაც, იშვიათად რომ ხვდებოდნენ, იშვიათადღა ერეოდა იმათ მარაქაში.

ჰონორარმიღებულებს თვალები უციმციმებდათ, ასე თვალმოციმციმენი მოიკითხავდნენ და... მირბოდნენ.

სამაგიეროდ მორბოდნენ სხვანი, დაგვიანებულნი და ცოტა შეშინებულნი: ფული ხომ არ გამოილიაო — და ასე შეშინებულნი მოიკითხავდნენ თანამოკალმეს და რედაქციას მიაშურებდნენ.



ამასობაში სამი საათიც მოაწევდა.

ეგებ გაეხსენებინათ განხილვა — ყოველ შემთხვევაში, ოთარ ჩხეიძე იქ იდგა და... ნანობდა, ბედაური დღე რომ ეკარგებოდა. მაგრამ მაინც იცდიდა მოთმინებით.

წუხდა, დღეები ისედაც რომ ეკარგებოდა.

და ახლა ეს დღეც გადადებულიყო დასაკარგავად.

გაახსენდებოდათ თუ არა „კვერნაქის“ განხილვა, სულერთია, მაინც დაკარგულიყო და დაკარგულიყო ის დღე.

სალონს გააღებდნენ.

ალბათ კლუბის თანამშრომელს თუ გაახსენდებოდა.

სერგო კლდიაშვილი შევიდოდა სალონში, სავარძელში ჩაიკეცებოდა, თითქოს პალტო ჩაუდიათო, ჩაიკარგებოდა დაბამბულ პალტოში.

ვიღაც შევიდოდა, გამოელაპარაკებოდა და... პალტოც შეირხეოდა, და იქიდან ისეთი ხმა ამოვიდოდა: ნეტა თავს მალე დამანებებდეო.

ისიც გამოვიდოდა, ახლა სხვა შევიდოდა და ასე, თითოოროლანი შევიდოდნენ და გამოვიდოდნენ... შევიდოდნენ და გამოვიდოდნენ...

ოთარ ჩხეიძეც შევიდოდა და კუთხეში მიჯდებოდა.

შემოუსხდებოდა რამდენიმე კაცი.

პალტო შეირხეოდა:

— საკმარისნი ვართ, დავიწყოთ.

ვანო ურჯუმელაშვილს რაღაც არ მოეწონებოდა და აჯუჯღუნდებოდა:

— კლუბში გავიდეთ, ხალხი მოვა.

ეტყობა ვიღაც-ვიღაცები დაენამუსებინა, ვიღაც-ვიღაცანი კი მართლა განხილვისათვის მოსულიყვნენ.

— მოვლენ, — იმედს გამოთქვამდა სერგო კლდიაშვილი, — ასეა ხოლმე, რომ დავიწყებთ, მოგვემატებიან.

კლუბში გავიდოდა, ოთარ ჩხეიძეც გაჰყვებოდა, რამდენიმე კაციც თან მიჰყვებოდა, იქითა კარიდანაც რამდენიმე შემოემატებოდათ, აქ-იქ ჩასხდებოდნენ და... სხდომაც დაიწყებოდა.

ძალიან მოკლე და ძალიან ზოგად სიტყვას იტყოდა სექციის თავმჯდომარე, ნელ-ნელა და ენის მოკიდებით, დუნედ.

სიბერის ბრალიც იყო და იმისიც, „კვერნაქი“ რომ არ წაეკითხა.

გუნებაში გაეღიმებოდა ოთარ ჩხეიძეს: რა ვუყოთ მერე, თავმჯდომარე მაინც იოლად გავა, სხვებს რა ეშველებათ, საკითხავი აი ეს არისო.

გურამ გვერდწითელიც დუნედ რომ დაიწყებდა, ეს კი გაუკვირდებოდა მწერალს: ამას რაღა დაემართა, ეს მაინც ახალგაზრდაა, ახალგაზრდა მწერლების ერთი ჯგუფის ქომაგად მოაქვს თავი და როცა იმათზეა ლაპარაკი, თავგამოდებულიცააო.

თავის მართლებას მოჰყვებოდა მომხსენებელი:

— დღეს ბევრგან ვიყავი გამოძახებული, დავიღალე, ამიტომ ნება მომეცით, წერილი წავიკითხო.

მართლაც ვინ აუხირდებოდა, დამსწრენი ისე ისხდნენ: გინდა წაიკითხე, გინდა ილაპარაკე, გინდა ჩამოდი და გზას ბარაქა გააყოლეო.

მომხსენებელი წაკითხვას არჩევდა.

„გულწრფელობას“ ახსენებდა, ოთარ ჩხეიძეს „გულწრფელ მწერლად“ გამოაცხადებდა, თუმც მოადევნებდა: მძიმეაო, ბუნდოვანიაო, გულუბრყვილოაო...

ეს ჯერ მაინც ექსპოზიცია იყო მოხსენებისა და მწერალი დაინტერესდებოდა: ვნახოთ, როგორ დაასაბუთებსო!..

მაგრამ... ძალა აღარ ეყოფოდა კრიტიკოსს თუ მეტი აღარ დაეწერა, დაწერილი გაუთავდებოდა — უცებ და ერთბაშად, და გაოგნებული მწერალი აღმოაჩენდა, რომ... სულაც შუა წინადადებაზე გაუთავდებოდა და... იმდენსაც ვეღარ მოახერხებდა, ის წინადადება მაინც მოეთავებინა.

ტრიბუნიდან ჩამოვიდოდა გურამ გვერდწითელი.

თავმჯდომარე არც შეირხეოდა.

შეუძახებდნენ: დაამთავრაო!

იმას არა სჯეროდა თუ რა იყო, ხმას არ ამოიღებდა, მერე ნელ-ნელა წამოდგებოდა, წამოსხმული პალტო ჩამოუცურდებოდა, ხელს წაატანდა, წამოიკიდებდა მხრებზე, კალთებს შემოიტმასნიდა და... კამათის დაწყებას გამოაცხადებდა.

კამათის ხალისზე არავინ იქნებოდა.

მაინც რაღაც რომ უნდა თქმულიყო?

ერთმანეთს წააქეზებდნენ.

„ელიან, აბა ვინ გაბრიყვდებაო“, გაიფიქრებდა ოთარ ჩხეიძე.

არავინ იძვროდა, ისევ დემნა შენგელაიას შეუჩნდებოდნენ და ისიც წამოდგებოდა. მთლად შინაურულად ეცვა: გახუნებული ჯემპრი გადაეცვა, ამოსჩაჩვოდა, სახელოები მოჰფაშვოდა, შიგ ჩაკარგვოდა ხელები. მკლავს რომ აიქნევდა, ყურთმაჯასავით ჩაუვარდებოდა მოფაშული სახელო. საყელოც მოფაშვოდა, ამოსჩროდა პერანგის საბნევი. თმის ნარჩენები მიჩეჩმოჩეჩოდა. ეტყობოდა, რამდენიმე დღეა სავარცხელი არც გახსენებოდა.

მგონი... პირიც არ უნდა დაებანა.

ორიოდე მარჯვე შტრიხით იქ სერგო კლდიაშვილის გარეგნული — და შინაგანი — პორტრეტი მოხაზულიყო, აქ — დემნა შენგელაიასი, მისი დახასიათება ამგვარად რომ გრძელდებოდა: რისგანაა, დაუდევრობისაა თუ მწერალთა კავშირში ძალიან გაშინაურებისა, ძნელი სათქმელიაო.

და დასძენდა: იყავნ ნება მისიო!..

ხმადაბლა რომ წამოიწყებდა ლაპარაკს, ასე იცოდა, მერე შეუძახებდნენ: გაგვაგონეო! — და ისიც აყვირდებოდა, ჭერს ახდიდა ხოლმე.

შეძახებით ახლაც შეუძახებდნენ, მაგრამ... ძალიანაც ვერ აუწევდა ხმას.

გამოტყდებოდა:

— არ წამიკითხავს, დავიწყე, პირველ თავებს გადავხედე...

„აბა რა ხმამაღლა გამოსაცხადებელია?!“ — გუნებაში გაეღიმებოდა ოთარ ჩხეიძეს, დემნა შენგელაია კი გაუტევდა:

— მაინც შეიძლება ვიკამათოთ სტილზე, კომპოზიციაზე, მომხსენებელს ვეთანხმები, მძიმეა, ბუნდოვანია, ფლობერი ნათლად წერდა... აი, „ანა კარენინა“...

რომანის ავტორი შეატყობდა, დემნა მასთან სადავოდ აღარ განწყობილიყო და ამის თქმაც არ უნდოდა, მომხსენებლის ანკესზე წამოგებულიყო, თვითონაც მიხვდებოდა დემნა და უკან დაიხევდა, უფრო შემრიგებლურ მსჯელობას ამჯობინებდა:

— აქ მაინც სხვაა, ეს წინ გადადგმული ნაბიჯია, ადრინდელი სხვა იყო.

„ადრინდელი“ მაინც რას ნიშნავს?

ოთარ ჩხეიძე ამ ფრაზაში ჩაწურავდა:

— ამისი შეშლილი ბრძოლა ჩემს წინააღმდეგ.

ახლა სურდა ისიც გაემართლებინა, ის შეშლილი ბრძოლა, და „კვერნაქზეც“ კარგი რამ ეთქვა, მაგრამ არ გამოუვიდოდა, აჩიფჩიფდებოდა, აბლუყუნდებოდა და... დაჯდებოდა.

კამათი კი იცოდა დემნა შენგელაიამ, არც მგზნებარება აკლდა ტრიბუნაზე და დაუნდობელიც გახლდათ, სიტყვა არც შეეშლებოდა, ახლა კი რა დამართოდა, ყველაფერი რომ ეშლებოდა?

„ესეც ხომ არა ბერდება?“ — წამიერად ეს აზრიც გაუჩნდებოდა ოთარ ჩხეიძეს, თუმც იქვე უკუაგდებდა: არა, სიბერე არ ეტყობა, რა თქვას, არ იცის, და ამისი ბრალიაო.

მაგრამ... კამათსაც რომ არ უჩანდა კარგი პირი?!.

სიტყვას მოითხოვდა შალვა ფორჩხიძე. იქ მომხსენებლისათვის მიეცა რეპლიკა, აქ დემნასთვისაც შეეძახა და რომანის ავტორს იმედი ჩაესახებოდა, შეიძლება ამან აუწყოს პირიო, მაგრამ...

— „კვერნაქი“ მეც არ წამიკითხავს, — თავიდანვე ამ განცხადებით დაიწყებდა, — მაგრამ აქ საკითხები წამოიჭრა და იმაზე ვილაპარაკებ.

იბოდიალებდა და ჩამოვიდოდა.

გაცხარდებოდა ლავროსი კალანდაძე და აიჭრებოდა ტრიბუნაზე:

— თუ არ წაგიკითხავთ, რა გალაპარაკებთ, სექციამ რატომ წესიერად არ მოამზადა ეს განხილვა, — შეუტევდა სექციის თავმჯდომარეს, თუმც იძულებული შეიქნებოდა ესეც ელიარებინა, — მეც არ წამიკითხავს, ჟურნალში, ნაწყვეტებად ჩვეულებრივ არაფერსა ვკითხულობ, მაგრამ ახლა მაინც ვილაპარაკებ...

ილაპარაკებდა, ილაპარაკებდა, მაგრამ, რასაკვირველია, აქ „კვერნაქი“ არაფერ შუაში იქნებოდა.

ასმათ დავითაშვილი ითხოვდა სიტყვას.

ოთარ ჩხეიძე პირველად ხედავდა. „ცისკრის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი როდესაც იყო, მისი ერთი რომანი გადაეცათ გასაცნობად, მოწონებოდა და მხარი დაეჭირა, მაგრამ დაბეჭდვით აღარ დაიბეჭდებოდა. რედაქციის ახალგაზრდა თანამშრომლები აუტყდებოდნენ და რედაქტორი მათ მიემხრობოდა.

გამოუქვეყნებელი მოთხრობების კრებულის გამოცემას რომ წამოიწყებდა ოთარ ჩხეიძე და როგორც იქნებოდა, კიდეც გაიტანდა, შეადგენდა და უკვე მალეც უნდა გამოქვეყნებულიყო, ასმათ დავითაშვილის მოთხრობაც გადაეცათ კრებულისათვის, მოწონებით მოწონებოდა და ჩაერთო სხვა ნიმუშების გვერდით, ოღონდ დიდი გამოვიდოდა კრებული, უნდა შეემცირებინათ, ოთარ ჩხეიძე აქ არ იქნებოდა და გამომცემლობა სწორედ ამის ნაწარმოებს ამოიღებდა.

ჩამოუსწრებდა შემდგენელი და აიძულებდათ, რომ გაეზარდათ კრებულის ფორმათა რაოდენობა.

და ახლა იმედოვნებს: ისიც დაიბეჭდებაო.

თუმც „ხელეურის“ სახელწოდებით რომ გამოიცემოდა ის კრებული, იქ არ აღმოჩნდებოდა ასმათ დავითაშვილის მოთხრობა — გამომცემლობა მაინც თავისას გაიტანდა, ფორმათა რაოდენობას ისევ შეკვეცავდა და... ყველაზე „დასაჩაგრ“ ავტორს გაწირავდა.

აქ კი, განხილვისას, გუნება გამოუკეთდებოდა „კვერნაქის“ შემოქმედს:

მადლობა ღმერთს, ამას წაუკითხავს, მსჯელობს, მომხსენებელს ედავება, განათლებული ქალი ჩანს, „კვერნაქიც“ კარგად გაუგია, მოსწონს, სანდრო ოჯახს რომ ტოვებს, აქ მაღლდება, აქ უკვე სხვა ადამიანად იქცევაო.

შემდეგ ვანო ურჯუმელაშვილი გამოვიდოდა.

— მე წავიკითხე, — რიხიანად განაცხადებდა და ნიშნს მოუგებდა სხვა მოკამათეებს, მაგრამ სიტყვებს თავს ვერ მოუყრიდა, აზრს ვერ მოაბამდა და აქეთ-იქიდან შემოუძახებდნენ:

— შენს წაკითხვას ჩვენი წაუკითხაობა ჯობია!..

ისიც ჩამოვიდოდა ტრიბუნიდან და... ამით მოთავდებოდა კამათი. მსურველი აღარავინ იქნებოდა, დუმილი ჩამოწვებოდა დარბაზში. ხალხი შემომატებულიყო, მაგრამ დუმილს აღარავინ არღვევდა. არავის არაფერი აღელვებდა, არავის სათქმელი არა ჰქონდა.

თავმჯდომარეს ჯაფა არ ედგა, არავის აჩუმებდა, არავის უწყრებოდა, ჩაყუჟულიყო თავისთვის. ეგაა, არ მოსწონდა, სიტყვას ძალიან მალე რომ ამთავრებდნენ, მალმალეც უნდა წამომდგარიყო და ეძებნა მოკამათე.

უკვე აღარც ეძებდა, მოთავდეს ბარემაო. და ავტორს გამოიძახებდა.

საცოდაობაა, — ჩაინიშნავდა დღიურში მწერალი, — ჩვენი დღევანდელი დუნე და ჩამკვდარი მწერლობის სარკეა, დღევანდელი მწერლობის ინტელექტუალური დონის სარკეცაა.

განა მარტო „კვერნაქი“ არ წაეკითხათ, საერთოდ არაფერსა კითხულობდნენ, ერთმანეთის ნაწერები არ იცოდნენ და მაინც ქედმაღლურად გადასცქეროდნენ ერთიმეორეს. გაეგონათ უცხო მწერლების სახელები, მოდური სახელები გაეგონათ და... ხანდახან იმას თუ ამოაბოყინებდნენ.



რა მარჯვედ, ზუსტად, გონებამახვილურად შერჩეული სიტყვაა ეს „ამობოყინება“!..

და ესეც მთელი მათი განათლება, კულტურა და სალიტერატურო გატაცება.

შეეუხერხულებოდა, ერთბაშად რომ მოესვა ხელი და ყველა ერთბარაში გაეტარებინა, რაკიღა იყვნენ თითო-ოროლანი, გამორჩეულნი, მაგრამ საერთო ფონი კი ეს გახლდათ და სავალალოც ეს ფონი იყო — საერთო დონე, ყოვლად შეუფერებელი ქართული ლიტერატურის ტრადიციებისათვის!..

ვაგლახო, — დაიგმენდა და... ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა ექვსი-შვიდი წლის წინანდელი განხილვა „მეჩეჩისა“ ამავე დარბაზში, მისთვის მძიმე განხილვა, რადგანაც დარაზმულიყვნენ ყველაზე ავი და ბოროტი ძალები მწერალთა კავშირისა, ჭეშმარიტი ლიტერატურა რომ გაენადგურებინათ, ის ძალები დარაზმულიყვნენ.

ხელისუფლებაც მხარს უჭერდათ!..

მარტო არც ოთარ ჩხეიძე გახლდათ — არ ავიწყდებოდა რამდენიმე თავგამოდებული ადამიანის თანადგომა, საფრთხეში რომ იგდებდნენ თავს, მაგრამ მაინც არ შეეპუებოდნენ უკეთურთა დარაზმულობას.

წამოაგონდებოდა და... მაშინაა, ამ დამაფიქვრელ მოსაზრებას რომ გამოთქვამდა, შედარება ასე თვალნათლივ რომ წარმოუჩენდა:

— რაოდენ მძიმეც უნდა ყოფილიყო ის ჩემთვის, რაოდენ ავი და ტენდენციურიც უნდა ყოფილიყო, მაინც კამათი გახლდათ, დისკუსია იყო, აზრთა ჭიდილი იყო.

აგერ თუნდ დემნა შენგელაია, იმჟამად წარმომადგენელი ავთა და ბოროტთა, სხვა ვინმედ მოჩანდა, სხვა ცეცხლით ანთებულიყო.

და ამიტომაც ღირდა შესაბრძოლებლად!..

ახლა კი რაო?!.

„მეჩეჩის“ იმ დრამატული განხილვის შემდგომ რედაქციებსა და გამომცემლობებს კარი გამოეკეტათ ოთარ ჩხეიძისათვის აგერ წლევანდლამდე, მაგრამ კეთილის მოსურნენი მაინც გადარჩენას ულოცავდნენ ხოლმე.

მისალოცად ჰქონდა საქმე, რომ არ დაეპატიმრებინათ, თორემ რაოდენ გართულებულიყო ოთარ ჩხეიძის მდგომარეობა, გრიგოლ აბაშიძე კი შეიტყობდა და თავზარდაცემულიც ამცნობდა მეგობარს: „ბურუსს“ ასე ადვილად არ გაპატიებენ, თუ რაიმე არ იღონეო!.. კომპრომისს ურჩევდა, კონიუნქტურული რომანის დაწერას უბეჯითებდა, ეს კი არანაკლები სიმწვავის „მეჩეჩს“ მიადევნებდა და „ცთომილნზე“ დაიწყებდა ფიქრს: ვიდრე კიდევ გარეთ ვარ, ეგებ დამცალდეს მისი დაწერაო!..

ღმერთს არ გაეწირა წუთისოფლისაგან განწირული!..

უკვე ის დრო იყო, ნელ-ნელა დაწყებულიყო რეპრესირებულთა გამოშვება და... ამას ხომ არ გაამწესებდნენ საკონცენტრაციო ბანაკში?!.

შეადარებდა ამ ორ ვითარებას და:

— მაინც ის ჭიდილი სჯობდა ამ ჩაკვდომასა. უფროც ჩაკვდება...

ეგებ ვინმემ გამამხნევოს, იქნებ მთლად ასეთი გულისმომკვლელიც არ იყოს ჩვენი აწინდელი ყოფაო, იმედით მიაჩერდებოდა ნოდარ ალანიას, ვახტანგ გორგანელსა და ანდრო მირიანაშვილს, განხილვის შემდგომ რომ მოიწვევდა შინ და ყელქცეულის ღვინოს დაუდგამდა...

— უფროც ჩაკვდება, — რა გამხნევება, რომელი გამხნევება, ისინიც ამასვე დაუდასტურებდნენ.

სვამდნენ ყელქცეულურს და მოთქვამდნენ...

თითქოს დღიურის ჩანაწერია, თითქოს რეპორტაჟული ყაიდის სურათებია, მაგრამ ნოველაა, გამზადებული ნოველა, ღიმილით რომ იწყებოდა, სიცილით გრძელდებოდა და მწარე გულისტკივილითა და ცრემლით თავდებოდა.

საერთოდაც ძნელია ზუსტად განსაზღვრო, ჟანრობრივი საზღვრები დაადგინო, ოთარ ჩხეიძის ესა თუ ის თხზულება: სტატიაა, ესეია, ლიტერატურული პორტრეტია, მოგონებაა თუ ნოველაა!..

აკაკი წერეთელს როგორც სჩვეოდა!..

აბა იქ გამიჯნე ზუსტად, რა ჟანრის თხზულებას კითხულობ — სტატიასა თუ ლიტერატურულ პორტრეტს, მოგონებასა თუ ნოველას.

თითქოს დღიურიო...

თითქოს რეპორტაჟული ყაიდის სურათებიო...

არადა ნოველადაც ძალდაუტანებლად მოიხსენიებ.

ეპოქის სილუეტიც რაოდენ თვალსაჩინოდ წარმოისახებოდა და ქვედა დინებებისაც, მწერლობაზეც რომ მწვავედ დაეჩნია კვალი, მოეშალა და მოეფუტკნა, დაედონდლოვებინა და გაეუსახურებინა, თვით დაუნდობელი თავდასხმებიც რომ გერჩივნა ამ უსიცოცხლობასა და ჩაკვდომას.

ის, რომ თითქოსდა უბრალო ჩანაწერიც ან მოგონებაც ოთარ ჩხეიძეს შეეძლო ნოველად ექცია, ბევრი ამჩნევდა და ამბობდა, მაგრამ დაწერით მხოლოდ ვახტანგ ჭელიძე დაწერდა, რათა გამოეკვეთა მწერლის ეს განსაკუთრებული უნარი და კრიტიკისთვისაც საზრდო მიეცა, იმ კრიტიკისათვის, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა დაბრუნებოდა თავის ჭეშმარიტ მოწოდებას — შესაფერისად გაეანალიზებინა და შეეფასებინა მიმდინარე სალიტერატურო პროცესი და თავთავისი ადგილი მიეჩინა ყველასათვის — რაც შეიძლება სამართლიანად და მიუკერძოებლად, თორემ ქართულ მწერლობას გამოევლო ხანა ჯალათური კრიტიკისაც და უკიდურესად ტენდენციური კრიტიკისაც, მხოლოდ გარკვეული მიზნით რომ ლაგდებოდა ლიტერატურული მოვლენები და რკინის ჩარჩოში ემწყვდეოდა.

გურამ გვერდწითელი არა ყოფილა ჯალათური კრიტიკის მონაწილე, სამაგიეროდ იმ უკიდურესად ტენდენციურ კრიტიკას კი განასახიერებდა, XX საუკუნის 60-იანელობას რომ დაამკვიდრებდა ლიტერატორთა ერთი გუნდი — მთავრობის უშუალო ჩარევითა და ხელშეწყობით.

ესაა მინიშნებული ოთარ ჩხეიძის ამ იუმორისტულ, მეტიც — სატირულ რეპორტაჟსა თუ ნოველაში: ახალგაზრდა მწერლების ერთი ჯგუფის ქომაგად მოაქვს თავი და როცა იმათზეა ლაპარაკი, თავგამოდებულიცაა.

იმათ აქებ-ადიდებდა ძალების დაუზოგავად, თორემ ოთარ ჩხეიძეს არ მოერიდებოდა: მძიმეაო, ბუნდოვანიაო...

თან დაუმთავრებელ მოხსენებასაც რომ გამოიტანდა, ვერ მოიცლიდა მოსათავებლადაც, თორემ დახვეწა-დამუშავებას ვინ ჩივის.

საბოლოოდ მაინც არ მიატოვებდა იმ წერილს უნუგეშოდ და კიდეც დაბეჭდავდა.

ოთარ ჩხეიძე დიდად აღტაცებული არ დარჩებოდა.

მე კი მაინც აგერ კეთილგანწყობილ კრიტიკოსთა შორის მივუჩინე ადგილი.

მართლაც ასე წარმოდგება, თუკი შევუდარებთ იმ კრიტიკულ სტატიებს, მანამდე რომ ქვეყნდებოდა მის ნოველებსა თუ რომანებზე, და არამარტო „ბურუსსა“ თუ „მეჩეჩზე“, არამედ „ტინის ხიდსა“ და „ჯებირზეც“, და რამდენიმე წლის შემდგომ დაიბეჭდებოდა „ბორიაყზეც“, ჯალათური კრიტიკის ნიმუშებს შორისაც რომ არ მოაქცევდი, მთლად ბესარიონ ჟღენტივითაც არ უტევდნენ მწერალს, მაგრამ გამეტებით კი ისინიც ძალიან იმეტებდნენ, ანდრო ლომიძე იქნებოდა, გიორგი ციციშვილი, შოთა ძიძიგური, ნოდარ ნათაძე, თინა კოპლატაძე თუ ზურაბ ჭუმბურიძე...

ამ ფონზე გურამ გვერდწითელის სტატია კეთილგანწყობილი ანალიზის ნიმუშად გვეჩვენება, თუმც ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნის დართვა კი მოითხოვა მისმა გამოსვლა-მსჯელობამ.

დიდტანიანი მონოგრაფიის თემაა „ოთარ ჩხეიძე და ქართული სალიტერატურო კრიტიკა“, ვნებათაღელვითა და დრამატიზმითაც აღსავსე თემა, გარკვეულად და ზოგად მონახაზად ჩემს ბიოგრაფიულ რომანშიც რომ აისახებოდა — „აგვისტოს შვილები“, თუმც მასალა იმდენია და ისეთი მრავალწახნაგა და ნაირფერი, შესაძლოა იმ ერთმა დიდტანიანმა მონოგრაფიამაც ვერ ამოწუროს.

არადა საბჭოთა სამწერლო ცხოვრება ხელშესახებად წარმოისახება, ასეთი უხვი მასალით სხვა ვერც ვერაფერი რომ ვერ მოგამარაგებს — ერთი მწერლის ზურგზე როგორ გადაივლიდა საბჭოური კრიტიკის სხვადასხვა ნაკადი მთელი თავისი ძალმოსილებით.

თუმც... ამ ჩანაწერის კომპოზიციურ ქარგას არ ავცდეთ — და ამჯერად მხოლოდ ის ვიკმაროთ, მწერლის დღიურის იუმორისტული, მეტიც — სატირული რეპორტაჟი რომ გავიხსენეთ, მზამზარეულ ნოველად გამოკვეთილი, და ესეც იმიტომ, წლების შემდგომ აგერ კვლავაც რომ გამოჩნდა „კვერნაქი“ — აწ უკვე ახალწამოჩიტულ მკითხველთათვისაც, ვინ იცის, ეგებ აქედანაც რომ შეუყვნენ ოთარ ჩხეიძის მხატვრულ სამყაროს, და მათ შორის 24-წიგნიან რომანთა სერიასაც, ჩვენი საზოგადოების საგად რომ წარმოდგება და გიწვდის გასაღებს ურთულეს და უმწვავეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში გასარკვევად ჩვენი ერის დრამატული ბედისწერის შეცნობის გზაზე...

მინაწერი:

ლევან ასათიანი თავის უბის წიგნაკში შეიტანდა სანდრო შანშიაშვილის ნაამბობსაც სიღნაღში, 1946 წლის 19 მაისს.

1910 წელს, როდესაც იროდიონ ევდოშვილს გადასახლებაში გაგზავნიდნენ, სანდრო მას ლექსს მიუძღვნიდა, რომელიც ასე იწყებოდა:

— მშვიდობით, მიხვალ ცივ ციმბირისკენ!

დასასრული მე-11 გვერდზე

* * *

When I'm Sixty-Four

როცა გამოჩნდება ტელეეკრანზე
ძველი კადრები,
მაგალითად, მუნჯი კინოს დროინდელი —
პირველი, რასაც გავიფიქრებ ხოლმე, ესაა:
ვინც აქ თამაშობს — აღარავინ აღარ არი,
ფაფუ!
თან ფოკუს-პოკუს! —
აღარ არი, მაგრამ ისევ თამაშობს,
ანუ არ არი, მაგრამ მაინც არი...

და ასე:
ვუყურებ ტელევიზორს,
ოთახში თბილა,
გარეთ ქრის ქარი,
მარტის ქარი.
რამდენიმე დღეში 61 მისრულდება.
უაზრო ასაკია.
62-ც ეგრეა,
63-ც,
64... ცოტათი სხვაა:
When I'm Sixty Four-ს გამო,
თუმცა, სიმღერის ტექსტისა არ იყოს,
პერსპექტივას „სახალისოს" ვერ დაარქმევ...
მაგრამ მაინც კარგია — ის მარტივი,
ირონიული მელოდია...

ვგუგლავ,
ვპოულობ
და ვუსმენ ხმას,
რომელიც ახლა 75 წლის კი არის,
მაგრამ მაინც 25 წლისაა:
When I get older losing my hair
Many years from now
Will you still be sending me a Valentine
Birthday greetings bottle of wine.

* * *

კარგია მარტო რომ წევხარ აგვისტოში
ღამის მდელოზე
და ვარსკვლავებს შესცქერი

კარგია მარტო რომ არ წევხარ აგვისტოში
ღამის მდელოზე
და ვარსკვლავებს შესცქერით

კარგია მარტო რომ დგახარ
სასტუმროს ნომრის ფანჯარასთან
და ღამის შუქით განათებულ
უცხო ქალაქს გასცქერი

კარგია მარტო რომ არ დგახარ
სასტუმროს ნომრის ფანჯარასთან
და ღამის შუქით განათებულ
უცხო ქალაქს გასცქერით

კარგია მარტო რომ რჩები შინ
და შეჰყურებ ფერად-ფერადი აფეთქებებით
გაცისკროვნებულ ახალწლის ღამეს

კარგია მარტო რომ არ რჩები შინ
და შეჰყურებთ ფერად-ფერადი აფეთქებებით
გაცისკროვნებულ ახალწლის ღამეს

და ვინ იცის რაა უკეთესი

* * *

ზვიად და ლექსო რატიანებს

ჩემ დროს, პოპულარული პოეტების
საღამოებზე ფილარმონიის დიდი
დარბაზიც კი ივსებოდა...

ახლა — პატარა თეატრალური სარდაფი,
ჰა და ჰა, ან გაივსება, ან არა...

არადა — პოეზია უმაღლესი,
თან — ჭაბუკი ბარდი გიტარით —
ამომავალი ვარსკვლავი:
მამა კითხულობს — შვილი უსმენს,
შვილი მღერის — მამა უსმენს,
პროჟექტორის შუქი თითქოს
დროს აქრობს:
სიბნელიდან ამოძერწილები
აქ არიან და არც არიან,
არიან ერთად სადღაც შორს,
ძალიან შორს —
სიტყვისა და ბგერის სამყაროში...

და არა უშავს, ნუ გაივსება პატარა
თეატრალური სარდაფი,
არა უშავს —
ვიდრე ამ ქვეყნად ვინმეს შეუძლია
ასე შორს გასვლა —
არა უშავს...

* * *

გერმანიის რომელიღაც სოფელში

დრო არ არსებობსო,
ილუზიაოო,
მოძრაობის ფოკუსიაო,
მოძრაობაოო მხოლოდ...

აბა, მე როგორ შევაფასებ
ფიზიკოსების ფილოსოფიებს,
მაგრამ ასე კი მგონია,
რომ ეგ სულ ლექსებია:
რა მნიშვნელობა
აქვს —
რას დაუძახებ
მას,
რაც საათის ისრებით იზომება,
გინაოჭებს თანდათან სახეს
და საბოლოოდ —
გკლავს.

ისე კი, ვინიცობაა,
მართალია ეგ ყველაფერი
და მეტად აღარ დავბერდე...
უნდა ვცადო — აღარ ვიმოძრაო,
ნაბიჯიც კი აღარ გადავდგა —
აი, როგორც ამ წუთას:
ვზივარ სასტუმროს ეზოს სავარძელში,
თბილ პალტოში გახვეული,
აქაური შობის წინა კვირას,
შევყურებ ლამაზად მორთულ,
ელექტრონული სანთლებით განათებულ,
საშობაო ნაძვის ხეს,
რომელიც ჩვენებურ სოჭს ჰგავს
(და ალბათ ეგაა — ლამაზი ვარჯის გამო
აქ ზრდიან სანერგეებში, საშობაოდ).

აქაური შობა — ჩვენებური სოჭით...
ბორჯომ-ბაკურიანის გზა მახსენდება
და კიდევ „თბილისი და წაღვერი"

და ისიც, რომ — ხვალ ფრენაა:
უმოძრაოდ შინ ვერ დავბრუნდები...

* * *

დიდებსაც ენატრებათ თოვლი.

აი, მაგალითად მე: თბილისში
იანვარშიც თუ დაიგვიანებს ხოლმე —
ვეღარ ვძლებ და ყაზბეგისკენ
ან ბაკურიანისკენ მიმიწევს გული...

დათოვლილი მწვერვალები არასოდეს
დამიპყრია, თხილამურებზეც არასოდეს
ვმდგარვარ (თოვლთან ჩემი სპორტული
დამოკიდებულება ბავშვობაში
გუნდაობით და, ვარანცოვის მოედნიდან
სანაპირომდე, ციგაობით იწურება),
თან — 90-იანების შემდეგ სიცივე შემჯავრდა...

მაგრამ, სიცივე სხვაა,
თოვლი კიდევ — სულ სხვა...
ჰოდა, მენატრება ხოლმე —
60-ს გადაცილებულ კაცსაც
მეტისმეტად მენატრება ხოლმე...

დიდებსაც ენატრებათ თოვლი.

* * *

რამდენ მოგონებას იტევს
ფოლაქების ძველი ყუთი!..
თითქოს პატარა ვარ ისევ
და სასწაულ რამეს ვუცდი...

ცოლი მიხსნის:
— აი, ამ ჟაკეტს
არ უხდება ეს ღილები,
ეგებ სხვა ვიპოვო რამე
და რაღაცა შეიცვლება...

შემცქერიან ლალი, ქარვა,
ფირუზი და „პერლამუტრი":
მონუსხული აქ აღარ ვარ...
ცოლი კიდევ — დასტურს უცდის.

შეიცვლება ყველაფერი,
შენ ოღონდაც არ იდარდო...
არ იცვლება მხოლოდ ერთი —
ძველი ფოლაქების ჯადო.

* * *

ერევნის მოლში

რა ამაყად მართავს იატაკის საწმენდ
მანქანას ლურჯუნიფორმიანი,
მხრებგამართული, ჭაღარა,
გამელოტებული, სათვალიანი
ხანშიშესული კაცი!

აქეთ-იქით, ზოლებრივად დაჰყავს
მანქანა და თან აკვირდება იატაკს —
ხომ კრიალებს ყველა ფილა სათანადოდ...

ისე შენივთებიან ერთმანეთს, რომ
იფიქრებ — ასე, ერთად გაჩნდნენ
ამ ქვეყნადო...

არადა, სად იყო ჩვენში ასეთი მოლები
და მანქანები სულ რაღაც 10-12 წლის წინ...

აითვისა, კარგად აითვისა ახალი ტექნიკა —
ეტყობა ძველი, კეთილსინდისიერი მძღოლია,
ან ხელოსანი, პროტექციით მოწყობილი:
აბა, ისე ვინ აიყვანდა ფეშენებელურ
მოლში 60-ს გადაცილებულს?!

ჰოდა, კიდეც ირჯება, ბევჯითად ირჯება —
ლამის თავგანწირვით ასრულებს
მასზე დაკისრებულ მოვალეობას,
რადგან
ესაა მისი სიცოცხლე,
მისი დარჩენილი სიცოცხლე,
რომელიც მოსწონს...

* * *

სასტუმრო პატარაა, მაგრამ —
ხუთსართულიანი, თან — ულიფტო.
სასაუზმე ოთახი მაინცდამაინც
ამ მეხუთე სართულზეა,
მე კი მეორეზე მერგო ოთახი.
საუზმე ცუდია,
მაგრამ მაინც ვსაუზმობ —
დილის წამალი საუზმის დროსაა მისაღები.

ჰოდა, ვისაუზმე ხუთ წუთში,
მივიღე წამალი,
ჩამოვდივარ კიბეებით,
ჩამოვდივარ კიბეებით,
ჩამოვდივარ კიბეებით...

სიცოცხლე კი გადის...

* * *

ჩემ ფანჯარაში: პატარა ხეზე
შერჩენილ ნაყოფს მიირთმევს შაშვი —
კმაყოფილია — შაშვს ცოტა ჰყოფნის,
არც სამოთხისთვის სჭირდება საშვი.

თითქოს არსობის არსიც ესაა —
ასე წერია, ალბათ ასეა...
ჰოდა, მერე რა, თუ სულ დღესა ვარ,
სულ ცოდვა-მადლის გასაყარზე ვარ,

თუ გზას — ჩიტივით — ვერ ვიიოლებ, —
მაინც არც თავს ვგრძნობ მძევლად ცოდვების:
ვიცოცხლებ მანამ, სანამ ვიცოცხლებ,
მოვკვდები მაშინ, როცა მოვკვდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ ბაბუციძე

დეგიუტი

იოჰან

ზეცა ნუ გაიშლის წვიმიან ნაწნავებს!
ვუთხარი ხელახალ გაზაფხულს უარი,
იოჰან, მე შენი არმოსვლა მაწამებს,
თამამად არ ვყვები სხვა რეპერტუარებს,
უ შ ე ნ ო დ ვ უ ა რ ო ბ.

რა გითხრა, ოდნავი მოთმენის უნარიც
არ შემრჩა, შენ იცი, ბუნებით ლოთი ვარ,
არ ჩანს, რომ იტანდე ამაზე უარესს,
იოჰან, როდემდე მივმართო ლოდინებს,
მ ო ვ დ ი ვ ა რ.

იოჰან, ოთახში სამყაროს ოდენა
მოდიან ფოთლები, წვიმები, სიო... ხან
შენამდე ვერ ვყვები ქარების მიმოხრას,
გულს ვეღარ ვიოხებ, იმხელა ლოდი მაქვს.
და მინდა მოვასწრო, სხვას სანამ მიუხვალ,
ჩ ვ ე ნ ი მ ე ლ ო დ ი ა.

იოჰან, უშენოდ არ მინდა შებინდდეს,
ბოლოა სონატა, რომელსაც ვასრულებ,
იქნებ და გამოჰყვე სიკვდილის შეგირდებს,
აქ ვეღარ დავრჩები, ვერ ვუძლებ ავ სულებს,
შენამდე წასული რადგან ვარ, — ეს არა,
გ ა ქ ც ე ვ ა შ ე მ ი ნ დ ე.

შენი უპასუხო ზარი...

შენი უპასუხო ზარი...
გარეთ არ ღამდება მალე,
ალბათ ისე დავიღალე,
მცირე საყვედურიც მზარავს.

როგორც შუქნიშანი, ვდგავარ,
ქუჩა ხალხით არის სავსე,
მინდა, სულ ყველაფრით გგავდე,
გსვამდე, სანამ წლები გავა.

სხვები მოთმინებას რგავენ,
მე მჭირს მოთმინების დეფი-
ციტი, ციტირებაც კმარა,
სულში ისე გადამედე.

წუთით უშენობაც მზარავს
გარეთ არ ღამდება მალე
და გულს ძგერის ნაცვლად გასდევს
შენი უპასუხო ზარი...

ჩემი თავის პატრონი

არ აქვთ დროში სიზუსტე ჩემი ფერის მსგავსებებს,
ვჩქარობ თმაგაწეწილი, მარტოსული ხეების
ცეკვის გაკვეთილებზე,
მკვდარ სიჩუმეს ავსებენ
უმეწყვილო ვალსები ქარიანი რხევების.

არ ვდავრიშობ, ვარ მხოლოდ — ფეხით მოსიარულე,
რიტმი უსახელოა, რასაც გინდა, დაირქმევ,
თუმცა გავნახევარდი, ერთმანეთში არ ვურევ,
თითქმის ორნახევარი ცხოვრება მაქვს საფიქრი.

ბავშვობინდელ ოცნებას — ღია ფერის კარუსელს,
ვატრიალებ-ვანელებ, არაფერი ისეთი,
ერთხელ დანამთავრების გაგრძელებას არ ვუსმენ,
ის რა ჩემი საქმეა, მტერი რა დროს იხელთებს.

კლავს ყოველი სიზუსტე ჩემი ფერის მსგავსებებს,
არქივს — დღე-ღამ ტოლობა ღამის გამეფებიდან,
ცეკვის გაკვეთილებზე დერეფანი სავსეა
მტვერში დიდხანს ნადები, ძველი სარაფნებით და

ვჩქარობ, იქნებ მოვასწრო ბედის გადაფიქრება,
წვიმა აღარ იქნება, წვიმამ ისევ დაგვტოვა,
ჩემი ყველა ნაბიჯი საიდუმლო იქნება,
რომ ვერავინ გაბედოს, სადმე დამიმარტოვოს.

მე ვარ ამიერიდან ჩემი თავის პატრონი.

* * *

არსაიდან-არსაით, წინაპართა გზიდან ვარ,
მოგონების ხურჯინი ზურგზე შემომდებია,
მოდი, აღარ ვარგივარ ღამის გადამზიდავად,
უნდა მოგიმარაგო გულის ჩემოდნებიდან.
ხელზე შემომდნობია ზამთრის თეთრი კაბები,
ნეტავ არ იკადრებდეს ჩემში ყინვის რეისებს,
სათქმელი მაქვს იმდენი, თავს ვერ შეიკავებდი,
დატოვებდი ყველაფერს, შენთან მინდა მე ისე.
ბნელა, ლამპიონები პოეტებში არ დგანან,
მოეჭიდე ხელს, სანამ გულის გასკდა ნადები,
დნება ღამის კაბები სველ თვალებში, რადგანაც
ყელში ამომივიდა ბედის მასკარადები.
არსაიდან-არსაით, წინაპართა გზიდან ვარ,
გელი ისე, აღარსად რომ არ ელოდებიან,
მოდი, აღარ ვარგივარ ღამის გადამზიდავად,
უნდა მოგიმარაგო გულის ჩემოდნებიდან.

მე არ ვარ მარტო

მე არ ვარ მარტო,
ფაქტები იქით,
ჩაიცვა მანტო
წყეულმა ფიქრმა,
და როგორც ადრე,
მტოვებს და მიდის,
სამყაროს ყველა
მოთქმა და მითქმა.
მე არ ვარ მარტო
და როცა ოთახს
აკლია სუნთქვა
და მინა — სარკმელს,
არც წვიმს და არც თოვს,
უფანჯროდ უნდა
ვიცოცხლო, რადგან
დამჭირდა სარკე.

ვადაგასული ვარდები

ჰგავს შეღამება სართულთა ვარდნას,
შეკედლებიან ჩრდილები ჩარჩოს,
გზად, ფერწასული ბავშვების გარდა,
შავი ძაღლები ეძებენ სარჩოს.
დამხრჩვალ გვამებთან ტივტივებს მორი,
ვყვირი ამინდთა გაგულისებით,
არარსებითს და არსებითს შორის
პირობითად ვარ ნაგულისხმევი.
ელევა საწყობს მარაგი ყოფის,
დღე უკანასკნელ ხურდასაც მართმევს,
იმდენად მცირე მადლობა მყოფნის,
საკუთარ თავთან ბოდიში მმართებს.
ჩამესმის ყურში ორიოდ ნოტი,
მზე ეკიდება ჭიშკართან ატმებს,
ოდესმე ვიტყვი, რომ მივდიოდი,
ვეგებებოდი უპულსო დარტყმებს.
ოდესმე დავთვლი თქვენს შორის ყოფნას,
რადგან არყოფნის მეტობა მამტვრევს,
ძლივს დაბრუნება მიჯდება ოფლად.
მოვდივარ, მაგრამ ჰაერი არ მტევს.
თითის წვერებზე შევიგრძნობ ფურცლებს,
რომ ვერ შენიშნოს დროის ავსულმა,
ყრმობის სანაცვლოდ სიბერეს ვუძლებ,
სხვა მისამართზე ვგონებ წავსულვარ.
ჰგავს შეღამება სართულთა ვარდნას,
ცას გაელია ფერთა სასრული,
გზად ფერწასული ქარების გარდა,
ქრიან ვარდები ვადაგასული.

* * *

საღამოს ჩემი კანისფერი მოირგო ქვიშამ,
ან მე მოვირგე ქვიშისფერი და მთვარე დამდის,
ფეხშველა ახალ ნაწვიმარზე, რაც იმას ნიშნავს,
მოსვლამდე კართან ქოშებივით დატოვა დარდი.

დავკიდე ფარდა თვალებდათხრილ, უფანჯრო ოთახს,
შევცვალე ყველა არჩევანი იმ ერთის გარდა,
დავიწყე ათვლა: ერთი, ორი, სამი და ოთხთან
არ მეყო ძალა გაგრძელების, არ მეყო, არ და

ვპასუხობ მთვარეს შეკითხვაზე — წაშალე?
— წავშლი.
და ამის ნაცვლად კიდევ ერთხელ ვპოულობ შენს თავს,
რომ ხელმეორედ გადაგმალო
და სევდით ნაშალ
ძარღვებში ისევ დავეტიოთ მე, შენ და ღმერთი.
ღიმილი მლაშე,ზღვის ბრალია,
და აი, მიხმობს
ღრმა სუნთქვა, მერე ერთი, ორი, სამი და ოთხთან
თვალს ვხუჭავ, მბედავს ნაბიჯები თითო და თითო,
მეხვევა ყელზე წყლის კაბები, ცეკვავს და ფორთხავს.

მომეცი ხელი, ნუ მოიტან ნურაფერს, ისე
სამყაროს გჩუქნი და სანაცვლოდ არაფერს გართმევ,
შენ მოდი მხოლოდ, ამ დანაკლისს შენ ერთი მივსებ,
სხვა ყველაფერი ქოშებივით დატოვე კართან.

თეთრი ვერხვები

შემოქმედებამ დამიმარტოვა,
იწვიან ლექსის თეთრი ვერხვები,
და ჩემს ფიქრ-ნაკვებ კლავიატურას
ამოსუნთქვაში ერთხელ ეხება.
უცხო ხელების მჟღერი შეხვედრა,
შეშლილი ქარი მაცლის მანტიას,
იქნებ თვალებში შემოგეხედა,
მე ვერაფერმა გამამარტივა.
ვგავარ შემთხვევით მომხდარ შემთხვევას
და ულირიკოდ გაზრდილ ლირიკოსს,
წარსული ტკბილად შემომეხვევა,
მაგრამ ჯერ უნდა შემომირიგოს.
ამ დრომდე კვამლმა არ მიმატოვა,
იწვიან ლექსის თეთრი ვერხვები,
და ჩემს ფიქრ-ნაკვებ კლავიატურას
ამოსუნთქვაში ერთხელ ვეხები.

* * *

ბევრი არა, რომ ვიცოცხლო, უკედლებო სახლი მინდა,
ჩემს ოთახში შენს სუნთქვაზე აწყობილი როიალი,
შეღებილი კლავიშებით ოქტავებად გაგშლიდი და
შენში უსრულ მოტივებზე დავიწყებდი ბორიალებს.
მერე ზამთარს მაგ თვალების მყუდროებას გადავდებდი,
ყველამ ჩემზე უკეთ იცის, უბატონო მსახურს რა ვნებს,
გზა დიდია, გეფიცები, ასე რომ არ მადარდებდე,
მდგმურად აღარ შევრჩებოდი მარტოობის სახურავებს.
ან რა იცი, შენს ლოდინში რამდენ ღამეს გადავები,
მხოლოდ იმას გედავები, დაბრუნდე თუ არ დაბრუნდე,
დღე არ გავა,
უცხო გამვლელს რამით რომ არ გადარებდე,
იმ ქაოსშიც დაგინახავ, სამყარო რომ გადაბრუნდეს.
შემოვრჩები მოაჯირზე დარდშემოსილ დახრილ ხიდებს,
ისევ შენში დავბრუნდები, სიკვდილიც რომ მოვიარო,
ბევრი არა, რომ ვიცოცხლო, უკედლებო სახლი მინდა,
ჩემს ოთახში შენს სუნთქვაზე აწყობილი როიალი.

ბედს

ბედის გადამწერს ეთამაშე წესების შეცვლა,
თუ გსურს, წარსულის გაგრძელება გამოგიგოროს,
სანიშნად შენი არსებობის გვერდებზე კეცე,
რომ ხელმეორედ წაგაწყდეს და გამოგიგონოს.
დასაწყის სიტყვად პირველ რომელ ყოფილა ღმერთის,
იარე, თუნდაც ვერ მიაგნო შენსავე შემცვლელს,
მაშინაც, თუკი ყველა კითხვის პასუხი ვერ თქვი,
ან ერთის ნაცვლად უამრავი იცი და ვერ სცემ.
ეცეკვე წამმზომს სიკვდილის და სიცოცხლის ხაზზე,
ვერგაშლილ ხელებს შემოხსენი ათივე თითი,
ადამიანი იაფია, თუ გკითხონ აზრი,
დაადე ფასი მათი წონის უბრალო ნივთებს.
და ჰკითხე, როგორ გაყიდიდა მორგებულ ნიღაბს,
იმავე ფასში შეიძინე მცირედის როლი,
რამდენსაც ერთი მსახიობი ჩვეულად იღებს,
დო, ლა, ფა, ანდაც შემოიცვი სი, რე, მი, სოლი...
თითები არ გაქვს, მაგრამ ჟღერ და არ ეძებ შემცვლელს,
ბედის ჩანაწერს ჩუმად მისწვდი, არ გაიგონოს,
სანიშნად შენი არსებობის გვერდებზე კეცე,
რომ ხელმეორედ წაგაწყდეს და გამოგიგონოს.

ლევან ლორია

მამაო, შუქი როდის მოვა?

ბიჭია ჩვენი დირექტორი — დარწმუნებული ვარ, თეთრი ბილეთიც ექნება და მალავს; არც რეჟისორია ნაკლები. უპატრონობაში, უსინათლობაში, შილერის „ყაჩაღების“ დადგმა მოინდომა. ყვარყვარეში ბევრი ქეიფის სცენებია და ბუტაფორულ პურ-მარილს ხალხი ისეთი ნერწყვის ყლაპვით უყურებს, რეპერტუარიდან უნდა მოვხსნათო. ისე, ნაწილობრივ, არის ამაში სიმართლე. სპექტაკლების დროს უკვე სამი მაყურებელი გახდა ცუდად. სანამ სასწრაფო მოვიდა, თეატრის ექიმმა, რომელიც უხელფასოდ მუშაობს (სამაგიეროდ, სპექტაკლებს ესწრება უბილეთოდ — საკუთარი სკამით) სამივე მოაბრუნა; დიაგნოზი სამივე შემთხვევაში ერთი და იგივე იყო: გულის წასვლა შიმშილის ნიადაგზე. ახლა ხალხს კიდევ ყაჩაღები უნდა? გადი ქუჩაში, ყაჩაღობა და ძარცვა არ არის ყველგან? კი ვუთხარით ეს, მაგრამ ზუსტად იმიტომ უნდა დავდგათ, რომ ნაკლები იყაჩაღონო, თან ორ თვეში ნაცნობი გერმანელი პროდიუსერი ჩამოდის და შილერს თუ დავდგამთ, იქნება დავაინტერესოთ და გერმანიაშიც მიგვიწვიონ, გაზაფხულზე ლაიფციგში შილერის დღეებიაო. როდის გაზაფხული მოვა, ნოემბრის ბოლო დღეებია ჯერ. მერე მეც ამოვიღე ხმა, შილერს გერმანელები უკეთესად დადგამენ, არა სჯობს, რამე ქართული ვაჩვენოთ-მეთქი?! შენ მაინც გაჩერდი, თორემ წაგართვი ამალიას როლიო. წართმევაზე და ყაჩაღობაზეა ყველა. მერე აგრძელებს, კარლის როლზე მსახიობი უკვე შერჩეული მყავს, ხვალ მომყავს და აბა, თქვენ იცით, ნორმალურად მოექეცით, არ გამიქციოთ, ძლივს დავითანხმეო.

დავურეკო ერთი სვეტას, მოდის თუ არა, გუშინ მეუბნებოდა, თხლად მეცვა, გავიყინე დარბაზში, ფილტვების ანთება თუ ავიკიდე, მივახრჩობ დირექტორსო, თან ამას ისე საყვარლად ამბობს... რისი მიმხრჩობია, თაგვის კუდი რომ დაინახოს, ისე კივის... სამჯერ გამოიძახეს მეზობლებმა პოლიცია, აყაჩაღებენო. მოსვლით მხოლოდ ორჯერ მოვიდნენ, მესამედ იგივე მისამართი რომ იყო, ალბათ თაგვის ამბავია ისევო და არ მოსულან, ალბათ არც მოვლენ აწი, გინდაც რომ მართლაც დააყაჩაღონ. სვეტა ჩვენი ბუღალტერია და მზარეულობასაც ითავსებს; მდივანიცაა, სატელეფონო ზარებსაც ის პასუხობს და მოლარეობასაც ითავსებს, თან მეზობელ კორპუსში ცხოვრობს. თეატრში თითქმის სულ ერთად დავდივართ, ჯერ მეტრომდე ფეხით და მერე თუ გაგვიმართლა და შუქი იქნა, მეტრო. ცოტა მაგვიანდებაო, მაშინ მე წავედი-მეთქი. დღეს თორმეტზე პიესის წაკითხვა გვაქვს, თან ახალი მსახიობი გვაინტერესებს ყველას, ვინ იქნება ტყეში ყაჩაღად გავარდნილი ჰერცოგი კარლ მოორ. რეჟისორს გეპეის თეატრში უნახავს, ზედგამოჭრილი კარლიაო, ამბობს. მთელი დილა იმაზე ვოცნებობდი, მარჯანიშვილამდე მეტროში დენი არ გამოირთოს-მეთქი და ა, ბატონო, რომ მიხაროდა, ერთი სადგური რჩებოდა მხოლოდ, უცებ ათამაშდა შუქი, ერთი დაიხრიგინა და დადგა ჩვენი ვაგონი ჯორივით. ატყდა ყაყანი და ვაი-ვიში. ჩემს პირდაპირ სკამზე შუახნის ქალი ზის, მატარებელი რომ გაჩერდა, დაიჩოქა და ლოცვა დაიწყო „ღმერთო, მილხინე მე ცოდვილს ამას და შემიწყალე მე...“ განუწყვეტლივ იმეორებს. მე, პირველი, რაც გავაკეთე, გულში დავწყევლე ყველა მთავრობა, მივაყოლე ყველა მინისტრი, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის თამადობით, მინისტრის ყველა მოადგილე და ის იყო, უფრო ქვედა ეშელონებზე გადავედი, რადიოთი გამოაცხადა ვიღაცამ, დენი შეიძლება ოცდაოთხი საათი არ მოვიდეს და სადგურამდე ფეხით უნდა წახვიდეთო. რეპეტიციამდე ერთი საათი რჩება, არა უშავს-მეთქი, გულში ვფიქრობ. კიდევ კარგი, სვეტას არ დაველოდე, იმას ახლა ფეხით მოუწევს ალბათ თემქიდან მარჯანიშვილამდე გამოსვლა. კარი გაიღო, ხალხმა ნელ-ნელა დაიწყო გასვლა. ჩემს წინ მჯდომი ქალი ისევ ლოცვას აგრძელებს. ვაგონის მეორე თავში ვიღაც ქალი ყვირის: „გაისად, გაისად... “ მე ხო ასეთი რაღაცების ინტერესში ვვარდები, მისკენ წავედი. ქალბატონო, ხომ არ დაგეხმაროთ, ვეუბნები. ისეთი თვალით შემომხედა, ისღა გავიფიქრე, ახლა ეს ქალი თუ ფიქრობს, რომ ვაღადავებ და მეცა წელში, ან თმებით მითრია, ნეტა მე ვინ დამეხმარება-მეთქი. ქალმა ისევ გააგრძელა: „გაისად, გაისად...“ მაინც შეუპოვარი ვარ — ქალბატონო, რა ხდება გაისად-მეთქი. გაისად კი არა ვაი სად, შვილო, ვაი სად წავიდე, პურის რიგი მეკარგება, აი, ნახე, ორასსამოცდამეშვიდე ვიყავი (ხელის გულს მანახებს, მართლაც აწერია ორასსამოცდაშვიდი), ერთი საათით მივატოვე, ბავშვებს დავხედე და ახლა ისევ რიგში მივდივარ და რიგი თუ დავკარგე, სახლში უპუროდ როგორ წავიდე და მერე ვაი სად წავიდეო... ქალბატონო, შეიძლება დენი ოცდაოთხი საათი არ მოვიდეს, ფეხით უნდა გავიდეთ სადგურამდე, აქ მარტო ხომ არ იქნებით, წამოდი-მეთქი. დამიჯერა — გენაცვალე, რა კარგი ბიჭი ხარო. ბიჭი რომ ვგონივარ ხალხს, ამას შეჩვეული ვარ. მარტო თუ მიწევს სადმე წასვლა, ქუჩაში ბიჭის როლს ვთამაშობ, ხმასაც ვიბოხებ, ორ საქმეს ერთად ვაკეთებ, თან ვრეპეტიციობ. სანამ შილერზე გადავიდოდა, რეჟისორი ამბობდა, მაია წყნეთელი ხო არ დავდგათ, ზედგამოჭრილი მათე ბიჭი ხარ, ხალხს ჩვენი გმირული წარსული გავახსენოთო. გარდა ამისა, თავიდან ვიცილებ აბეზარებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ გოგო თუ მარტო მიდის გზაზე, აუცილებლად აქვს შანსი და უნდა დაელაპარაკოს; ეტყობა, არ ასწავლეს ამ ხალხს სახლში, რომ ქუჩაში უცნობთან გამოლაპარაკება უზრდელობაა. მანამდე ორჯერ სახლისკენ მიმავალ გზაზე სერიოზულ შარსაც გადავრჩი, თუ შეიძლება შარი დავარქვა სექსუალურად აღტკინებულ გამოტვინებულ ორ მამრს, რომლებსაც მთელი ჭკუა ფეხებს შორის ჰქონდათ წასული. კიდევ კარგი, სკოლაში კარატეს წრეზე დავდიოდი და ახლაც მახსოვს რამდენიმე მტკივნეული ილეთი. ორივეს სულ ვაიმე დედა ვაძახებინე ლირიკული მეცო სოპრანოთი, ჰოდა, ის ორივე მოძალადე მინიმუმ სამი თვე ქალისკენ გახედვასაც კი არ დააპირებდა, დარწმუნებული ვარ. იმის მერე ისევ არ დამხვდნენ-მეთქი, და ბიჭის მასკიროვკას ვიკეთებ. თმებს კაკარდიანი ქუდის ქვეშ ვიმალავ, გავროშს რომ ეხურა ისეთში. ბიჭური სიარულის მანერაც დავამუღამე... რაც მთავარია, არავინ მაწუხებს, ორ გოგოს თუ არ ჩავთვლი, თვალი რომ ჩამიკრეს; თავიდან კი ვიფიქრე, მომეჩვენა-მეთქი, მაგრამ ისევ რომ ჩამიკრეს თვალი, მე, ვითომ ვერ შევნიშნე, თვალი ავარიდე. სამაგიეროდ, მივხვდი, ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს და გინდა ამძუებული...

ქალი გამოყოლაზე დამთანხმდა, იქვე მის გვერდით სავარძელზე ბიჭს სძინავს, მთვრალი არ უნდა იყოს, ვიცი, ლოთებს რა სუნი ასდის. ასეთი სურნელით მუდამ სავსეა მეტროს ვაგონები. შეიძლება ღამით მუშაობდა სადმე და დაღლილია. ვაღვიძებ, ჩემი ძმა, მოვედით-მეთქი. თვალებს ახელს:

— შენ ვინა ხარ, სიმონ? — მეკითხება.

თუმცა ძლივს ბჟუტავს ვაგონის შუქები, ვამჩნევ, რა ამღვრეული აქვს თვალები. მგონი, განგრეულ კაიფშია. ესეც ახალი შარი, წადი რა შენს გზაზე, ჩემს თავს ვეუბნები. რაც შეიძლება ხმას ვიბოხებ და ახლა იმას ვეუბნები:

— ბრატ, მეტრო არ მუშაობს!

— მერე მე რა ვქნა, სიმონ! მემანქანე ვარ თუ დისპეჩერი?!

— ჩემი ძმა, ოცდაოთხი საათი შეიძლება დენი არ იყოსო და ფეხით უნდა მივიდეთ სადგურამდე. გაგაღვიძე, რომ ღამე აქ არ დარჩე მარტო და არ გაიყინო, აწი შენი საქმის შენ იცი!

— აუ, მართლა, ტო... მაგარი ხარ, ძმა... იმენნა რო დაგინახე, ვისქესე, მაგარი კაი ტიპია, ჩემი კარგის მხვნელი ვიყო თუ ასე არ იყოს, იმენნა მაგრად დამევასე. წამო, ჩემი ძმა, სასტავს ჩაგახუტო, მაგარი საძმოა, აკაესი ორი სავსე აბოიმით ჩემზე იყოს!

— არ მინდა, ბრატ, ვარ უკვე ერთ საძმოში, მუხები გვილაგია ოხრად! — ამას კი ნაღდად არ ვიტყუები, მართლა მოიტანა დირექტორმა შეშის ბაზრობიდან რამდენიმე მუხის დიდი მორი, „ყაჩაღებში“ ტყის დეკორაციისთვის გამოგვადგებაო. ამ საუბარში ვართ, უცებ შუქი მოვიდა, რადიოთი გამოაცხადეს, ათ წუთში მატარებელი დაიძრება, ვაგონებში დაბრუნდითო. თუ ვინმე უკვე დაბლა იყო, ფაცხა-ფუცხით ისევ უკან დაიწყო ამოსვლა.

ხო ხდება საოცრებები, მართლაც ათ წუთში, როცა ყველა მგზავრი ისევ უკან ამოლაგდა, მატარებელი დაიძრა. ის მლოცველი ქალი საერთოდ არ ჩასულა დაბლა, ლოცვა არ შეუწყვეტია; იქნებ მისმა ლოცვამ ჩართო დენი, რა ვიცი. ვკითხავდი, რა ლოცვას კითხულობდა, მამაო ჩვენო კი ვიცი, ჰოდა, აგერ ამ ქალისთვის თუ მოიცალა ღმერთმა და შუქი ჩართო, იქნებ მეც მიშველოს, რა ვიცი, როდის გამიჭირდება. მინდა, იმ ქალთან მივიდე და ვთხოვო, ის ლოცვა მასწავლოს, მაგრამ ამ ბიჭს, აკაესს რომ დამპირდა, მაგარი დერზკი როჟა ვგონივარ და ქალთან რომ მივიდე, ლოცვა მასწავლე-მეთქი, ხო აეშალა კუჭი სიცილით. მივედით ამასობაში „მარჯანიშვილამდე“, იმ ტიპს ვემშვიდობები. ესკალატორი გამორთულია, ავდივართ ფეხით... დაახლოებით ისე ვმოძრაობთ, როგორც საკეპ მანქანაში მწყობრი ნაბიჯებით მიმავალი ხალხი PINK FLOYD-ისკლიპიდან The Wall.

ზემოდანაც მოდიან ქვემოთ, გვირაბში, გაურკვევლობაში... იქ შეიძლება ისევ გამოირთოს შუქი და მატარებელი ისევ გაჩერდეს, ზემოთ კი, სადაც მივდივართ, სინათლე მაინც დაგვხვდება, მზის. რა კარგია, რომ მთავრობა ტარიფს არ აწესებს მზის შუქზე, ეს მაინც არის უფასოდ, ეს ღრუბლები რომ არ გვიწესებდნენ ლიმიტს, ან ვინ იცის, იქნებ ჯერჯერობით არის უფასო.

მივედი თეატრში. ჰო, თეატრს ქვია „თეატრი სხვენზე“, თუმცა ერთი ყოფილი უნივერმაღის სარდაფში ვართ. დირექტორია თეატრის ნათლია. აი, ეს ხო წრეა, — დედამიწაზე ამბობს, — ლაუაზიეს კანონია, შუა ადგილას დედამიწის გულია, ჩვენ ვართ ზედაპირზე ანუ დედამიწის სხვენზე.

მთლად სხვენი არც არის შეიძლება, მაგრამ არც მთლად სარდაფია, იმიტომ, რომ ფანჯრები სანახევროდ არის მიწაში, ანუ ნახევრად სარდაფია, ნახევრად სხვენი. სამაგიეროდ, უკანა ეზოში პატარა — ნახე, სიმონ, ეს პატარა ყვავები იმენა რას გალობენო. თავიდან მეც მიკვირდა შაშვები ქალაქის ცენტრში, თან რომ გალობენ კიდეც, მაგრამ შაშვს და ყვავს ვარჩევ ჯერ კიდევ.

თეატრში შევედი. ვხედავ, რეჟისორი ვიღაც ქერათმიან ტიპს ებაასება, რომელიც სახით რიჩარდ ბარტონს ჰგავს ახალგაზრდობაში, ელიზაბეტ ტეილორის ორჯერად ქმარს. ეს არ ვიცი და ის მართლა მაგარი იყო, აბა, ელიზაბეტ ტეილორი ორჯერ რატომ გაყვებოდა ცოლად? ანუ მართლა ჩამოვიდნენ გერმანიიდან? რეჟისორმა დამინახა და, მოდიო, მეძახის. მერე იმ ტიპს ეუბნება, ქართულად, აი, გაიცანი შენი სატრფო ამალია ფონ ედელრაიხიო. იმან ცალი თვალით გამომხედა, ეტყობა, დიდად არ მოხიბლა ჩემმა გამომეტყველებამ, რეჟისორს ეუბნება, კი კარგია, მაგრამ იქნებ ქალს ეთამაშა ამალიას როლი, ძველი დრო ხომ არ არის, ყველა როლს რომ კაცები თამაშობდნენო. ანუ ეს არის კარლ მოორ? რეჟისორი იცინის და მეუბნება, ქეთ, ეს ფრიდონია, კარლის როლზე მოვიწვიეთო. მიყურებს ეს ფრიდონი თუ კარლ მოორი დაახლოებით ისეთი მზერით, ვის დაკარგვიხარ რომ იკითხება. არც ხელი გამოუწვდია გამარჯობის ნიშნად. ვფიქრობ, ერთი მტკივნეული ილეთი ამასაც ხო არ ჩავუტარო, მაგრამ უცებ მახსენდება, რომ გავროშის როლში ვარ ახლა, ქუდს ვიხდი და კულულებიანი თმები მხრებზე მეშლება. ისევ რომ გამომხედა, უხერხული ღიმილი შეაშრა სახეზე და ბოდიშიო, ჩაიბუტბუტა — კარგად შეინახოს.

კოკა მეუბნება, რაღაც სხვანაირად უყურებ ამ ფრიდონს თუ ვიღაც ჩემ ფეხებსო. როგორ სხვანაირად, მე ვეკითხები. აი, სხვანაირად, ჩემთვის არასდროს არ შემოგიხედავს ასეო. როგორ ასე, ვეკითხები.რა ვიცი, სხვანაირად, თითქოს თვალები გიბრწყინავს, რომ უყურებ. შეყვარებულის როლს ვთამაშობ და აბა, სხვანაირად როგორ შევხედო-მეთქი. არა, რეპეტიციას არ ვგულისხმობ, სხვა დროსაც ასე უყურებ, თუნდაც შესვენებაზე, ან მაშინ, ჩაის რომ ვსვამთო. კოკას ფრანცის როლი აქვს. როგორც ფრანცია უსიამოვნო ტიპი, ესეც ისეთია, მომაბეზრებელი, მატყუარა. ერთხელ გეტყვის ადამიანი, არ მომწონხარ, გაიარე რა. ხო შეიძლება, ვიყოთ მეგობრები? არ შეიძლება კაცის და ქალის მეგობრობაო, ამბობს. კლასელი გოგო არ გყავს, არ ემეგობრები-მეთქი. კლასი სხვააო, მაგრამ იმათთანაც არ ვმეგობრობ, ნახევარი გაბოზდაო. საზიზღარი ტიპია, დარწმუნებული ვარ, იტყუება. ან თუნდაც ასე იყოს, კლასელზე ასე უნდა თქვა? მე რომ თეატრის დირექტორი ვიყო ან რეჟისორი, ამას თეატრს არ გავაკარებდი, მაგრამ სარდაფი კოკას მამას ეკუთვნის, უნივერმაღის ყოფილ დირექტორს და იჯარა რომ არ გაზარდოს, იძულებული არიან, როლებიც მისცენ.

თან ეს სხვანაირად ყურება რას ნიშნავს, არ ვიცი. აბა, ყველას ერთნაირად ხო არ შეხედავ?! ზოგის ყურება გსიამოვნებს, ზოგის არა, ასეა ყველა. ნანკას ვეუბნები, ჩემს დაქალს, ერთ სადარბაზოში ვცხოვრობთ, არ გინდა, თეატრში მოდი, ფრიდონი გაგაცნო-მეთქი. ეს რომელი ფრიდონია, მულღაზანზარის მეფე, ანუ მტირალა ტარიელის და ავთანდილის ძმაკაცი, მეკითხება. არა, გეპეის თეატრიდან გადმოვიდა ჩვენთან, თან ავთანდილს და ტარიელს მტირალა ეძახე, ჯერ ლომებს და ვეფხვებს გაავლეს მუსრი, მერე ქაჯებს ნესტანი მოსტაცეს-მეთქი. არ მინდა რა, შენი ჭირიმე, მტირალა სახლში ბებიაჩემიც მეყოფა, მოკლა კასანდრას დარდმაო. ყოჩაღ შენ, ანუ შუქი გაქვს-მეთქი. არა, მამაჩემმა პატარა ტელევიზორი მოუტანა და აკუმულატორით უყურებსო, აბა, მომიყევი რამეო. ვისზე, კასანდრაზე-მეთქი?! არა, გოგო, რა კასანდრა, შენს ფრიდონზეო. რა მოგიყვე, ამ სამყაროში თუ ასეთები არსებობდნენ, ვერ წარმოვიდგენდი, დახვეწილი, ინტელიგენტი... მოიცაო, — მაწყვეტინებს, — შენ არ მითხარი, გეპეის სტუდენტიაო? კი-მეთქი. კარგი რა, გეპეის სტუდენტი და დახვეწილი სად გინახავსო, — იცინის. მე ვაგრძელებ — საგრიმიოროში... საგრიმიოროც გაქვთ? — ნანკა მაწყვეტინებს. მაცალე რა, — მე ვეუბნები, — ხო, საგრიმიოროში მაგიდაზე აუწყობელი რუბიკის კუბიკი უდევს, ლოცვასავით აქვს, რეპეტიციის წინ ჯერ ააწყობს და მერე გადის სათამაშოდ, ამას რატომ აკეთებ-მეთქი, ვეკითხები. სამუშაოდ განმაწყობსო. მერე, იცი, თეატრის

საკუჭნაოში... საკუჭნაოც გაქვთ? — ისევ მაწყვეტინებს ნანკა. მაცალე რა, ხო, ვიოლინო ნახა, თავიდან ისიც ბუტაფორია მეგონა, თურმე ნამდვილია, ააწყო და შესვენებისას უკრავს. კაცი თუ ვიოლინოს უკრავდა, პირველად ვნახე. მოიცა, — ნანკა მაწყვეტინებს, — შერლოკ ჰოლმსი რა, კაცი არ იყო? არა, ის ხო წიგნის გმირია, ვეუბნები. იქნებ და ის შენი ფრიდონი გმირია, მეუბნება. ხო არაფერი, შენი ფრიდონიო, რომ მითხრა, თან ორჯერ, მესიამოვნა.

რეჟისორი აგვიანებს. ფრიდონს ვეკითხები, ამ რუბიკის კუბიკის ყველდღე დაშლა-აწყობა არ გწყინდება-მეთქი?! სამყარო რუბიკის კუბიკია, ამბობს, უფრო სწორად, ადრე იყო აშლილი რუბიკის კუბიკი, მერე უფალმა მოიღო ნება კეთილი და ააწყო. მეც კუბიკის აწყობა მსოფლიო ქაოსიდან წესრიგისკენ მაბრუნებს, მეხმარებაო. აწყობა მასწავლე-მეთქი. კიო, პრობლემა არ არის, მხოლოდ დაკვირვება უნდა და რამდენიმე უბრალო კომბინაციაო, ჯერ ჯვარით უნდა დავიწყოთ, ნებისმიერი ფერი აარჩიე, თუნდაც თეთრი, იდეალური ფერია, შეგვიძლია წითელი ავარჩიოთ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ მაინც თეთრი ფერი სჯობია, ყველაფერია მასში, თან არც არაფერიო. მთავარია, ჯერ ვაწყობთ ჯვარს და საოცარია, საპირისპირო მხარეს ჯვარითვე ვამთავრებთო. ხან ერთ მხარეს ატრიალებს კუბიკს, ხან მეორე მხარეს, თან ხელის ყველა თითი ციბრუტივით მუშაობს, თან რაღაცებს მიხსნის, მე კი უცებ თვალწინ წარმომიდგა, უფალი როგორ ზელს თიხას და უნდა ადამი შექმნას. ალბათ რამხელა მკრეხელობაა ჩემი ფიქრები... ვინმემ რომ გაიგოს, ცეცხლზე დამწვავენ. ის თან აწყობს, თან საუბრობს; კუბიკები მეზობლის ფერს უნდა შევუხამოთ, ამბობს. ყურს კი ესმის, მაგრამ ტვინი გათიშულია, ხელებში ვუყურებ, როგორ სწრაფად მოძრაობს, ამას რა დაიმახსოვრებს, რა მრჯიდა, ახლა რომ მითხრას, გაიმეორეო, მიხვდება, რა დებილიც ვარ. ალბათ ვერასდროს ვისწავლი, რუბიკის კუბიკია თუ რაღაც ჯანდაბა, აწყობას. უცებ ააწყო ყველა ფერი და ხო მარტივიაო, მეკითხება. კი, ძალიან-მეთქი, დავეთანხმე. სვეტა გვეძახის, სიგუას ხაჭაპურები არ გინდათო?! ასე არასდროს გამხარებია სვეტას ხმის გაგონება. არადა, აშკარად მეტყოდა, აბა, სცადეო, ჰოდა, მიხვდებოდა, რა დებილიც ვარ, გადავრჩი.

უშაქრო ჩაის ვსვამთ და უყველო ხაჭაპურებს ვაყოლებთ. ფრიდონის გვერდით ვზივარ, ისევ მინდა, საუბარი გავაგრძელო.

— ანუ შენ ღმერთი გგონია თავი, რადგან რუბიკის კუბიკს აწყობ? — ვეკითხები.

— არა, ეს რა შუაში, მე თავისუფალი ადამიანი ვარ, თა-ვის-უფა-ლი! — მარცვლავს.

— ანუ შენი თავის ღმერთი ხარ, გამოდის?

— ყველა ადამიანშია ღმერთი, უნდა დაინახო!

— ყველა ადამიანშია მზე, აცალე ანათოს! — ვამბობ მე.

— ეს ვინ თქვა? — გაკვირვებული მეკითხება დირექტორი.

— სახლიკაცია ჩემი! — ვშაყირობ და ფრიდონს შეუმჩნევლად თვალს ვუკრავ.

— ვიცნობ მაგას, სოკრატე ქვია, ხო? — ხიბლში ჩავარდნას არ მაცდის, თან აგრძელებს, — მაგი იმასაც ამბობდა, უნდა ჭამო იმისთვის, რომ იცოცხლო და არა იმისთვის უნდა იცოცხლო, რომ ჭამოო.

— იცი რა, გემრიელად თუ არ ჭამე, არაფერიც არ არის ცხოვრება! ახლა აქ რომ ხაშლამა შემოიტანონ, მოთანთალე, ორთქლადენილი, მარილმოყრილი, ოდნავ ქონშეპარული ხორცით სავსე დიდი გობით და გინდაც ჩამოტარებით, რომელი იტყვის უარს? — ამ დამშეულ ხალხს ჭრილობაზე მარილს გვაყრის დირექტორი.

— უარს არავინ იტყვის, უბრალოდ ჭამაში არ არის ბედნიერება! — ამბობს ყაჩაღი მოორ.

— მართალი ხარ, ბედნიერება გემრიელად ჭამაშია! — უკან არ იხევს დირექტორი.

— შენ ხო ჭკვიანი გგონია თავი, აბა, ადამიანი როგორ შეიქმნა? — ფრიდონს ეკითხება კოკა, ჩასაფრებული.

— თავი ჭკვიანი არ მგონია, ადამიანი კი უფალმა შექმნა, დარვინი ვერანაირად ვერ იქნება მართალი, ადამიანის დნმ-ი ვირთხის დნმ-თან უფრო ახლოსაა, ვიდრე მაიმუნთან. მაიმუნი მაიმუნად შეიქმნა, ადამიანი ადამიანად, ვირთხა ვირთხად!

მე რატომღაც კაციჭამია ვირთხები გამახსენდა „დათა თუთაშხიადან“, მაგრამ არაფერს ვამბობ.

— კარგი რა, რას გვაბოლებ! — ამბობს კოკა.

— ნება შენია, გინდა, დაიჯერე, გინდა, არა! აი, შენ შეგიძლია უბრალო ჭიანჭველა შექმნა?!

— არ მიცდია! — ამბობს კოკა

— მე შემიძლია, — ვამბობ უცებ, — აი, თუ ვნახე ნორმალური ადამიანი, ვისთანაც გაღვიძება გამიხარდება, იმასთან შევქმნი ცხრა თვეში!

— წარმატებებს გისურვებ, — იღიმის ფრიდონი, — ოღონდ ეს იქნება ბავშვი და არა ჭიანჭველა! ადამიანს, ყველაზე გონიერ არსებას, არ შეუძლია პაწაწინა ჭიანჭველა შექმნას, რომელიც დადის, იბრძვის, თავის წონაზე ათჯერ მეტ ტვირთს მიათრევს ოჯახში...

— შენ კიდე რა ჭიანჭველას აჯაზებ, რამე უფრო დასტოინი გეთქვა! — ამბობს სვეტა.

— თქვენ ფიქრობთ, ჭიანჭველა დასტოინი არ არის? — ისე უკვირს, თითქოს გაეროში ჭიანჭველის საკითხების მომგვარებელი ყოფილიყოს. მერე დგება და მიდის, სიგარეტი უნდა მოვწიოო. ეს კარგი იცის, თუ რაიმე არ მოწონს, დგება, ისე მიგატოვებს, ვითომც არაფერი. უიმისოდ გარეშე ისედაც ცარიელი სუფრა ცარიელდება. მეც ვდგები, ეზოში დგას და ეწევა.

— სიგარეტი მომე! — ვეუბნები.

— არა! — თავს აქნევს.

— გენანება!

— შენ უნდა გათხოვდე, ცხრა თვეში ჭიანჭველა გააჩინო! — იცინის, — სიგარეტი ნაყოფს ვნებს!

— უსტვენ, ხო იცი! ახლა მომეცი, რომ გავთხოვდები, აღარ მოვწევ!

— არა-მეთქი!

— გენანება?

— არა! — ამბობს უცებ და ორ ღერ სიგარეტს იღებს კოლოფიდან ხელით ფშვნის და ჰაერში ფანტავს.

— ცოტა გიჟი რომ ხარ, იცი?! — ვეუბნები და ჩემი მიკვირს, როგორ გავუშინაურდი!

— კი! — იღიმის.

— კარგი, მაშინ სხვას გამოვართმევ! — ვამბობ, მაგრამ არსად მივდივარ, — კუბიკის აწყობა მასწავლე, რა! წეღან ვერაფერი გავიგე.

— ერთი პირობით! სიგარეტს თუ არ მოწევ!

— არ მინდა ეს პირობები, არც შენი სწავლება მინდა, ისეც ვისწავლი.

— ნება შენია! აბა, სოკრატე შენი სახლიკაცია? — იღიმის ისევ.

— სკოლაში სპექტაკლს ვდგამდით და იქიდან მახსოვს!

— იცი, სოკრატე სიკვდილით დასაჯეს! მოსწავლეებმა, გაგაპარებთო და უარი თქვა!

— ალბათ სოკრატეც გიჟი იყო, სიცოცხლეზე უარი რატომ უნდა თქვა?

— კანონის უზენაესობა არჩია!

— ნეტა მაშინ რა კანონები იყო, ახლა ნახე, რა ხდება ქვეყანაში!

— ისტორია სპირალურია, სკოლაში არ გასწავლეს?!

— სკოლაში ის მახსოვს, სამჯერ ვინასკვავდი თმას, გაკვეთილი არ მკითხონ-მეთქი...

— მოვიდა! ყველანი რეპეტიციაზე, — იძახის სვეტა.

გული დამწყდა, პირველად არ მინდოდა არანაირი რეპეტიცია. ეს პატარა ბაღი სამოთხის მეგონა — რა მჭირს?!

რეპეტიციებს შორის შესვენებაზე სვეტას დაბადების დღე აღვნიშნეთ, მეფური სუფრა გაიშალა. სადილზე ღვინოც ჰქონდა და სოფლიდან გამოგზავნილი ამოლესილი ლობიო, ჭადები, პრასი. იუბილარის საპატივცემულოდ ფრიდონმა ვიოლინოზეც დაუკრა, მერე „My Way“ იმღერა, სვეტა ხო ნეჟნი კაროჟნაა, სულ ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები. კოკა შურისაგან ლამის გომბეშოსავით გაიბერა. ფრიდონი, ძირითადად, იუბილარს უყურებდა, ერთხელ მეც შემომხედა და მივხვდი, როგორ არტყამს დენი...

დამთავრდა ქეიფი, სანამ საგრიმოროში ვიყავი. ფრიდონის ხმა მესმის, კუბიკი სად არის, ვიღაცას აუღია, სულ აქ იდოო... გამოვედი — სხვანაირი იყო, ანერვიულებული. მართლაც აუწყობელ კუბიკს ჰგავდა, აჭრელებული, აშლილი და ნერვებმოშლილი. არ ვიცი, როგორ გავბედე, მივედი, მოდი, ჩაგეხუტო, მე ვიქნები შენი რუბიკის კუბიკი, ან სულაც ახალს მოგიტან, ახლა დამშვიდდი და რეპეტიციისთვის გაემზადე-მეთქი და მართლა ჩავეხუტე, ლოყა ლოყაზე მივადე, ისიც კატასავით გაიტრუნა, ერთი ეს არის, კრუსუნი არ დაუწყია — ვის აუნდა აეღოო, ჩაილაპარაკა, მაგრამ მივხვდი, როგორ დამშვიდდა. თვალში სითბო დაუბრუნდა. მართლა შენ იქნები, შენ რა აგაწყობსო, გაიცინა უცებ... სიტყვა, რაც ენის წვერზე მადგა, იყო — საზიზღარო, მაგრამ არანაირად არ იყო საზიზღარი და ამას ვერ ვეტყოდი...

რეპეტიციაზე მაინც დაძაბულია, არადა, რამდენიმე დღეში პრემიერა გვაქვს, აფიშები გაკრულია უკვე. რეჟისორს ეტყობა, რომ არ მოწონს რაღაც. მართლაც არაბუნებრივი იყო, ალბათ მე შევაჩერებდი რეპეტიციას, ცოტა ავყვირდებოდი კიდეც. რეჟისორმაც, დღეს საკმარისია, ხვალ რეპეტიციაზე არ დააგვიანოთო. გვერდით რომ ჩავუარე, ქეთ, საქმე მაქვს, ჩემთან შემოდიო. შევედი. იმ კუბიკს თუ ჯანდაბას ვინ აიღებდაო, ფრიდონს ვეღარ ვცნობო — მეუბნება. მე ვიცი, ვინც აიღებდა, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, იმიტომ, რომ არ დამინახავს-მეთქი. ოო, ვიცი, ვიზეც ფიქრობო, ახლა გამოძიების თავი არა მაქვს, დღეს ან ხვალ ეს კუბიკი თუ ჯანდაბა უნდა იშოვნო და უნდა უთხრა, რომ შენ ეხუმრეო. არა, მაგას ვერ ვეტყვი, ვერ მოვატყუებ, რუბიკის კუბიკს კი ვიშოვნი, მგონი, მეზობლის ბავშვს აქვს ან სადმე მაღაზიაში იქნებ იყოს-მეთქი. კარგიო.

სვეტა მელოდებოდა, მეტროსკენ წავედით. რა ცუდი დღე იყოო, ამბობს, კოკას აღებულია, დარწმუნებული ვარო, ნერვიულობდაო. დაინახე მეთქი? — ვეკითხები. არა, საიდანო. ჩანთით მძიმედ მოჰქონდა რაღაცა, რა არის-მეთქი, ვკითხე, ხერხი და ნაჯახი მომაქვს, დირექტორს ვთხოვე, სოფლიდან შეშა გამომიგზავნეს და იმისთვის მინდაო.

ჯერ პიკის საათი არ იყო, მეტროს ვაგონში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იდგა ფეხზე. მე და სვეტა შუა ადგილას ვისხედით. დიდუბეს რომ გავცდით, ვიღაცამ ვაგონის წინა თავში დაიყვირა, აბა, დროზე, ოქრო და ფულიო. მგონი, სამნი იყვნენ — ერთი, ვინც იყვირა, მასთან კი კიდევ ორი იდგა. მერე ერთი იქვე დარჩა და მგზავრების ჩანთებში ქექვა დაიწყო, მეორე შუაში ჩვენს სკამთან მოვიდა, მესამე კი, კურტკიანი, კოკა იყო. იმან ვერ შეგვამჩნია და ვაგონის მეორე თავში მივიდა ხალხთან, იყვირა, აბა, დროზე ფულიო. იცანი-მეთქი, ვეუბნები. კიო, მითხრა ფერდაკარგულმა სვეტამ. ამასობაში ჩვენ სკამთან მოვიდა ბიჭი, ხელში პისტოლეტი უკავია. შევნიშნე, რომ იარაღი მხოლოდ ერთს ჰქონდა. დროზე ბეჭედი მოიძრე, თორემ მიგახერხე თითიო, მიყვირის. ეს დედაჩემის ნაჩუქარი ბეჭედია, ესეც მასკიროვკა, მარჯვენა ხელის არათითზე ვიკეთებ, ვითომ გათხოვილი ვარ. ვერ ვიხსნი, აჰა, მომაძრე-მეთქი, ვეუბნები და ხელი გავუწოდე. იარაღი სანამ მარცხენა ხელში გადაჰქონდა, უცებ სწრაფი მოძრაობით წავართვი, თან ცალი ფეხი ისე ამოვცხე ფეხებს შორის, აშკარად გავიგონე კვერცხების მსხვრევის ხმა, დაახლოებით ისეთი, გლაზოკებს რომ ვაკეთებ სახლში და კვერცხებს ვამტვრევ. ბიჭმა — ვაი, დედაო — ამოიკვნესა, ჩაიკეცა და ვაგონის იატაკზე გველივით დაიკლაკნა. ვხედავ, ის ორნი ჩვენსკენ მორბიან, სვეტა, ნაჯახი და ხერხი დააძრე-მეთქი, ვუყვირე. ჩვენ წინ ქალი იჯდა, ადგა და ახლა გული წამივაო, თქვა და ისევ დაჯდა.

პისტოლეტს ორივე ხელით ვიკავებ და ხან კოკას ვუმიზნებ, ხან მეორე ბიჭს, სვეტას ფერი დაუბრუნდა, ხერხი ვიღაც გამხდარ გოგოს მიაჩეჩა და თვითონ ნაჯახით ხელში დადგა ჩემს გვერდით ვიკინგი მეომარი ქალივით. კოკამ ახლაღა გვიცნო და ახლა იმან დაკარგა ფერი. ის მეორეც შედგა, შეიარაღებით ჩვენ ვიყავით წინ. ვინმეს თუ რამე წაართვით, დაუბრუნეთ და აქედან მოუსვით-მეთქი. არაფერი არ აგვიღიაო, მეორე ბიჭმა ამოღერღა.

ამასობაში მატარებელი ღრმაღელის სადგურს მიუახლოვდა. ამათ ტრავმირებულ ძმაკაცს ხელი მოკიდეს, რომ გარეთ გაეყვანათ. დახრისას კოკას კურტკის ჯიბიდან რუბიკის კუბიკი ამოუვარდა, აშლილი... ისე იყო დაბნეული და შეშინებული, ისე გავიდა გარეთ იმ მეორე ბიჭთან და მესამე ნახევარბიჭთან ერთად, ვერაფერი შენიშნა.

მე კუბიკი ავიღე. სვეტამ ხერხი და ნაჯახი ისევ ჩანთაში ჩადო. ზოგი შეშინებული გვიყურებდა, ზოგი აღტაცებით და მადლობას გვეუბნებოდა. ერთი მეკითხება, სპეცნაზიდან ხართო? კი-მეთქი. აბა, იმას ხო არ ვეტყოდი, ყაჩაღის სატრფო რომ ვიყავი. ეტყობა, იარაღები არ გყოფნით, ხერხით და ნაჯახით რომ დადიხართო, ერთმა.

სახლში რომ მივედი, ჩემს ოთახში ჩავიკეტე და კუბიკის აწყობა დავიწყე. დედა მეძახის, საჭმელი ჭამეო, არ მშია-მეთქი. იმ კომბინაციებს ვიხსენებ, რასაც ფრიდონი მაჩვენებდა: ვიწყებ თეთრი ჯვრით, თან ხერხემალთან ფერებს ვუხამებ, მერე სამფერები კუთხეებში, მერე ზედა წახნაგი და ორი ზოლი, ახლა მეორე ჯვარი და ბოლო კომბინაციებს ვიხსენებ... მერე შუქი ჩაქრა და ლამპის შუქზე გავაგრძელე აწყობა, ალბათ ღამის საათი იქნებოდა, ყველა გვერდი დაჯდა... მგონი, მეორედ დავიბადე, ხვალ როგორ გაუკვირდება?

...მაგიდაზე რომ კუბიკი დახვდა, ძალიან გაუხარდა, ვინ მოიტანაო, ყველას ეკითხებოდა. ქეთიმო, უთხრეს. სად იყოო, მეკითხება, თან აუწყობელი იყო, ვინ ააწყოო. მე-მეთქი. შეიძლება, ჩაგეხუტოო და ნებართვას არც დალოდება, ისე მიმიხუტა გულზე, თითქოს ყველა რეპეტიციის დროს არ მკლავდეს. გავბედე და დღეს ვუთხარი საყვედური. მეც არ მომწონს ეს სცენა, არ მემეტებიო, — გაიცინა.

რეპეტიცია დაიწყო. კოკა არ იყო, მის როლს დუბლიორი თამაშობდა — თემო, რომელიც თან დარაჯიცაა, ისე, როლს კოკაზე ბევრად კარგად ასრულებს. ახლა მახსენდება გუშინდელი დღე, ნეტა კოკა სად არის? მე არაფერს ვიტყოდი, თვითონ თუ არ იტყოდა რამეს. ახალი დაწყებულია რეპეტიცია, მე კულისებში ვარ, ჯერ ჩემი როლი არ არის. კართან ხმაური ატყდა. კულისებიდან ვიხედები, ვხედავ, ხუთი ბიჭია, ყველანი ავტომატებით... წინ ვიღაც ნაცნობი ბიჭი მოდის, ისიც ავტომატით. გამახსენდა — ის ბიჭია, ვაგონში რომ გავაღვიძე. სულ უკან კოკა მოყვებათ.

— რა ხდება, სიმონ, აქ? — იკითხა წინ მომავალმა და ავტომატი ისე შეათამაშა ხელში, მელიტონ ქანთარია ყოფილიყოს ვითომ რაინსტაგზე.

— ახლავე დატოვეთ სცენა და მიბრძანდით აქედან! — თქვა რეჟისორმა.

— კოკა, ბრატ, ეს კაცი ვინ არის?

— რეჟისორია! — უთხრა ნირწამხდარმა კოკამ უხალისოდ.

— ბიძაკაცო, თქვენი სახელი?!

— გთხოვთ, დატოვოთ სცენა და დატოვოთ დარბაზი!

— სახელი მითხარი, თუ არა დაგაცალე ახლა აბოიმა! არ გაატრაკა ამან?!

— ნოდარი ქვია! — თქვა კოკამ.

— ჰოდა, ნოდარი ბიძია, ყაჩაღებს დგამთ და არ გეთაკილებათ, რომ არ გვეძახით! ჩვენზე უკეთესი ყაჩაღი გეგულებათ სადმე?

— გთხოვთ, დატოვოთ დარბაზი! — თქვა ისევ რეჟისორმა.

— ამან ხო ჩაიხვია რა, მოკლედ, აბა, სად არის ის, გოგლი-მოგლს რომ გოგო ამზადებს, მეორე დღეა, კაცი ვერ ავაწყვეთ!

გასაგებია, შურის საძიებლად მოვიდნენ. მე ჩანთაში გუშინდელ წართმეულ პისტოლეტს ვეძებ, ისიც არ ვიცი, დატენილია თუ არა, იქნებ სათამაშოცაა, თან ვუსმენ, დარბაზში რა ხდება. ის ლოცვა, ღმერთო გამახსენე, მეტროში შუქი რომ მოვიდა, უცებ დავიჩოქე, ახლა მიშველე, უფალო. „ღმერთო, მილხინე მე ცოდვილს...“

— ახლა კუკუდამალობანა არ მინდა აქანა მე, სამ დათვლაში ის გოგო თუ არ იქნება სცენაზე, რეჟისორით ვიწყებ!

თქვა და ავტომატიდან გაისროლა. სცენაზე ხმაურით ჩამოცვივდა ბათქაში. ავდექი და შევედი. გაკვირვებულმა შემომხედა.

— მოიცა, სადღაც მინახიხარ, მგონი! აა, გამახსენდა, მუხები გვიწყვიაო, ჰი-ჰი-ჰი, ეს რა მაგარი კულულები გქონია, გოგო! — და ხელით მოუნდა თმებზე მწვდენოდა. თავი უკან გავწიე.

— შენ, ე, ჯიგარო, ხელები დაიმოკლე! — თქვა უცებ ფრიდონმა, ამ ბიჭისკენ წამოიწია, მაგრამ სხვა ავტომატიანმა შეაჩერა.

დასასრული მე-13 გვერდზე



შოთა ზოიძე

მომავალი წიგნიდან — „მეთოთხმეტე მოციქული“

* * *
წიწამურამდე რა გზები გაიარე
და რას ფიქრობდი გზად წიწამურთან მისვლამდე?!
შენ მართალი ხარ, წმინდანად გაღიარეთ,
შენ მართალი ხარ უკუნითი უკუნისამდე!

შენი გზა იყო გზა ჩვენი გადარჩენის,
დღეს მე ყვარელში ღუზა ჩავუშვი მესამედ.
შენ უგვირგვინო მეფე იყავი ჩვენი,
ერის მამა ხარ, უკუნითი უკუნისამდე!

ახლა მთაწმინდას ჩვენი ცრემლები აწვიმს,
სველდება ვერა, სოლოლაკი და ისანი,
შენს უკვდავებას რა დაეწევა აწი,
შენ უკვდავი ხარ უკუნითი უკუნისამდე!

ყვარელი მიყვარს სახლიან-ბაღიანად,
წიწამურია საგურამოში მისვლამდე,
მთელმა ქვეყანამ წმინდანად გაღიარა,
შენ უკვდავი ხარ უკუნითი უკუნისამდე!

* * *
მონათლული ვარ სულიწმინდით და ცეცხლით,
სულიერება არ იზომება ადლით.
ჩემი ყულაბა ცარიელია ვერცხლით,
მაგრამ სავსეა მოწყალებით და მადლით.

მე მდიდარი ვარ ღვთისმშობელით და მრევლით,
მე ღარიბი ვარ, ღარიბი ოქრო-ვერცხლით,
ყულაბაში მაქვს ეპითეტების რვეული,
მეტაფორებში გუზგუზებს უფლის ცეცხლი.

ვუმასპინძლდები სტუმარს სამოთხის ყურძნით,
მწვანე კონცხით და მისი ლამაზი ბორცვით,
ამ მეტაფორას მე ჩემს პატრიარქს ვუძღვნი
და ვინათლები უწმინდესობის ლოცვით.

* * *
მაშინ, როდესაც სეტყვა გაროზგავს ყავარს,
როცა ღრუბელი ცაში დამალავს მზეს,
გაგახსენდება, რომ მეხამრიდი გყავარ,
ჩემს „ალტერ ეგოს“ ანუ მეორე მეს,

ავავსებ ჩემი მეტაფორების ჯარით,
ავამოქმედებ, როგორც ქარსაცავ ნაღმს,
რათა ორივემ ერთად ვიყაროთ ჯავრი,
მზე დავუბრუნოთ სემირამიდის ბაღს.

მადლობა უფალს, რომ მეხამრიდი გყავარ,
მზე სხივებს გაფენს, როგორც კალოზე ბზეს,
დღეიდან სეტყვა ვეღარ გაროზგავს ყავარს,
შავი ღრუბელი ვეღარ დამალავს მზეს.

* * *
აქ არი შენი ტაბლა და ხატა
და მზეზე თბება ბებერი კატა,
მე ვხატავ კატას და რასაც ვხატავ,
შენთვის და შენი გულისთვის ვხატავ.

მე ბროწეულის ყვავილებს ვხატავ,
ვხატავ შენს ტაბლას და ლამაზ ხატას,
მე ვხატავ, არა, მე კი არ ვხატავ,
ჩემი შეკვეთით რუბენსი ხატავს.

რუბენსი ხატავს და რასაც ხატავს,
ყველაფერს შენი გულისთვის ხატავს.
უფალი ხატავს ტაბლას და ხატას,
შენს ლამაზ ხატას და ბებერ კატას.

* * *
მივაგენი მე შენი საიდუმლო ოთახი,
ჩარაზული ფანჯარა, დაშვებული ფარდა,
მივაგენი, მაგრამ ვერაფერი ვერ ვნახე,
მზის თვალივით ცხელი სიყვარულის გარდა.

მე ამას ვადასტურებ, როგორც ნოტარიუსი,
შენი ვიდეოთვალი მაკონტროლებს მკაცრად,
ინფიცირებული ვარ სიყვარულის ვირუსით,
ჭლექი სიყვარულის ჩემ ცხელფილტვებს კაწრავს.

საიდუმლო ოთახში როცა მარტო დაწვები,
უჩინმაჩინივით იქვე გავიჩითები,
მინდა გავაგრილო შენი ცხელი ღაწვები,
მინდა დავაფეთო შენი მკერდის ჩიტები.

* * *
მზე თავისი გზით ჩადის და ჩადის,
ისევ ის ეზო, ისევ ის ლანდი,
როცა ერთმანეთს თვალებით ვჭამდით,
როცა ერთმანეთს თვალებით ვსვამდით.

როცა ერთმანეთს შორიდან ვცნობდით,
როცა ერთმანეთს ტკივილით ვგრძნობდით.
როცა ვიწვოდი მე შენი ცოდვით,
როცა იწვოდი შენ ჩემი ცოდვით.

ახლაც მაწვალებს ფერმკრთალი სახე,
მოდის ნუკრი და ხელებს გილოკავს,
ჩვენ ბედისწერამ დაგვიგო მახე,
დაგვარბია და დაგვაწიოკა.

* * *
ვინ მომაშავა ეთერი ღია,
მაწვალებს გულში ჩაკლული სიტყვა,
ხმელი ფოთლები ასფალტზე ყრია
და ცივი ქარი ცხვირპირში მირტყამს.

ამოუთქმელი სიტყვა მაწვალებს.
დარდი მაწვალებს გულში ჩაკლული,
როგორც შუშაში ირმის ნაწველი,
მზე ფერმკრთალია და დღენაკლული.

ეს მეტაფორაც გულში ჩავთვალე,
და მივათვალე შენს მსხვილ ნაწნავებს.
სულს მიწიოკებს მზის სიფერმკრთალე,
უთქმელი სიტყვა ახლაც მაწვალებს.

* * *
ახლა იმაზე რა უნდა გითხრა,
რაც დიდხანს გულის სიღრმეში ვმალე,
ძალიან დიდხანს, ძალიან დიდხანს,
რომ გარიდებდი ნაღვლიან თვალებს.

ძალიან მალე გატყდება ნავსი,
გატყდება ნავსი ძალიან მალე,
და გაზაფხული იმედით სავსე,
ჩამოწერს ყველა ვალსა თუ ვალებს.

ჯერ არაფერი არ არის გვიან,
ჯერ არაფერი არ არის ადრე,
ვიდრე აპრილი გამოფენს იებს
და გაზაფხული მოისხამს ვარდებს.

* * *
სამართლიანი ყოფილა ღმერთი,
ამჯერად ზუსტად დროზე გაწვიმდა,
შენი ცრემლივით ჩამოიღვენთა
წვიმის წვეთები ღმერთის ღაწვიდან.

ღელე კი თავდაყირა გარბოდა,
ღელე გარბოდა, საით არ ვიცი,
წვიმასთან ერთად წამომაბოდა
და შენი საიდუმლო წამომცდა.

* * *
მატკბობს ლამაზი ეზო და სახლი,
მიყვარს ზაფხულის ლამაზი წვიმა,
სადაც კი ლამაზ ქალს დავინახავ,
მე იქვე უფალს მადლობას ვწირავ.

ამით არაფერს არ ვამბობ ახალს,
ღვივდება ცეცხლი სულსა და ხმაში,
სადაც კი ლამაზ ქალს დავინახავ,
ჟრიანტელივით დამივლის ტანში,

მე ვიმეორებ შენს ლამაზ სახელს,
სახელს, რომელიც უზომოდ მიყვარს,
სადაც კი ლამაზ ქალს დავინახავ,
ჩემი ოცნების ქალაქში მომყავს.

* * *
როდესაც წვიმა იღვრება ციდან,
მე რიონივით შევდივარ ზღვაში,
ყმაწვილი ვიყავ, უფალი მცდიდა,
სხვა იყო ჩემი ცხოვრება მაშინ.

ხატით მოსილი, როგორც კანკელი,
ვდგავარ და წვრილი წვიმა მასველებს,
შენა ხარ ჩემი ჯვარზე გამკვრელი,
ჯვარზე გამკვრელი და გადმომხსნელი.

არ მიცხოვრია უქმად და ფუჭად
ამაო იყო ჩემი ამაგი
და სიყვარული, სულ ერთი მუჭა,
მიგია, როგორც დათვის ხაფანგი.

* * *
ჯერ კიდევ ბევრი საქმე მექნება,
მთვარეს აჩნია შავი ლაქები,
მე არ მიტაცებს უცხო ქვეყნები,
უცხო ქალები და ქალაქები.

აღარ ვუყურებ უცხო საქონელს,
უცხო გემებს და უცხო რაკეტებს,
ჯერ უფსკრულია ამოსაქოლი,
რასაც ყველაზე უკეთ ვაკეთებ.

ჩავაქრობ ხანძარს გულში გაჩენილს,
არა ვარ მხდალი და გულმავიწყი.
ჯერ იმედია გადასარჩენი,
დანარჩენს იმის მერე გაუწყებთ.

* * *
შენა ხარ ჩემი გულის წამალი,
წამალი წნევის ამწევ-დამწევი,
შენი სახელი გულში დავმალე,
ლოდივით მძიმე დარდი მაწვება.

როცა „ლამაზმა ქალმა დამწყევლა“,
როცა გაიგო ჩვენი ამბავი,
დაუბრუნდება წყევლა მაწყევარს,
უფალმა პირი თუ არ დაბანა.

მაგრამ ეს უკვე ნამეტანია,
თითქოს წამასწრეს დანაშაულში,
მე უკვე გემის კაპიტანივით,
ჩემს გულში შენი ღუზა ჩავუშვი.

გურანდა ბერია

* * *

ცვრიან ბალახებს წიწკნიდა ცხვარი,
ყასაბი იქვე ლესავდა დანას,
და არი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი,
ხეები მოწმეებივით დგანან.

მე კი, მე ვფიქრობ დანაზე, ცხვარზე,
რომელიც წიწკნის ბალახის აბებს
და ჩემი ფიქრით, საათის ცხრაზე
გაავსებს ხორცით ქვაბსა თუ ქვაბებს.

ვუყურებ მშვიდად წვიმას და ტალახს,
ტალახში ვაშლის ხეები დგანან,
ცხვარი კვლავ წიწკნის დაცვარულ ბალახს,
ყასაბმა უკვე გალესა დანა.

* * *

მე ამის ვიზა უფალმა მომცა,
ყველაზე ნაღდი, მქონია რაც კი,
სახსოვრად გქონდეს ის ერთი კოცნა,
კატასროფაში დაღუპულ კაცის.

სიზმარში მოვალ, მისურვებ როცა,
უფალმა მომცა ამისი ნიჭი,
სახსოვრად გქონდეს ის ერთი კოცნა,
კატასტროფაში დაღუპულ ბიჭის.

იქიდან მე თვალს არ მოგაცილებ,
აგაცდენ ავი სულების რისხვას,
ოღონდ ის კოცნა არ გააცივო,
ოღონდ ის კოცნა არ გამისხვისო.

* * *

ჩემი დუმილი დუმილს არ გავდა,
სიცილს არ ჰგავდა ჩემი სიცილი,
დროს მივყავდი და სადღაც მკარგავდა,
იქ, სადღაც იყო მკაცრი სიცივე.

გამოვაღწიე მძიმე კატორღას,
გადარჩენილი ქარს და ქარაშოტს
და მივადექი ადგილს რატომღაც,
სადაც სატანა ჭადრაკს თამაშობს.

გაიხსნა ცა და გამოჩნდა ნიში,
იდგა აპრილის ბოლო შაბათი,
გამოვუცხადე სატანას ქიში
და უპრობლემოდ დავაშამათე.

* * *

დღეს დამპატიჟეს სარფში ლაზებმა,
დღეს ყველაფერი მიყვარს და მომწონს.
დღეს ყველაფერი მელამაზება,
სხვა თვალით ვუმზერ ცასა და ოზონს.

შევყურებ ზღვას და ბობოქარ ტალღებს,
ზღვა გამორიყავს ფერად ნიჟარებს,
თითქოს ყამარი ბროლის კოშკს აღებს
და თავის კოშკში მეპატიჟება.

* * *

ვზივარ, იმიტომ რომ ავდგე,
ვდგავარ, იმიტომ რომ დავჯდე.
გაზაფხული კართან მოდგა,
ხალისიანად და მარჯვედ.

ბროწეული ვეღარ იტევს,
კვირტებს, გაზაფხულის ნიშანს,
ტყემლის აფეთქებულ კვირტებს,
მარტი საფანტივით გვიშენს.

მარტი, ჭირვეული მარტი,
გაფენს გვირილების ღილებს,
მესალმება, როგორც მარტვილს
და სიცოცხლეს მიადვილებს.

* * *

აზრი არა აქვს იტყვი თუ არა,
იტყვი ცეცხლია, არ იტყვი — ვერცხლი,
მე მაინც ვფიქრობ, დუმილი კმარა,
ვიტყვი, რომ მალე დაენთოს ცეცხლი.

მეც მინდა ვიყო წყალი და ცეცხლი,
თოვლი და წვიმა, შუქი და ქარი,
რომ მოგიტანო ოქრო და ვერცხლი,
ფართოდ გაგიღო ბუნების კარი.

ვიყავი შენი ალერსით სავსე,
შენმა ალერსმა დამასხა რეტი,
სუყველაფერი — ამისი მსგავსი,
და არაფერი — ამაზე მეტი.

* * *

ზოგჯერ მხოლოდ ფრთები არ კმარა,
რო გაფრინდე.
ჩემი ფრთები ჩემი იმედებია,
რომლებიც ბოლოს კი არა, —
ძალიან ადრე კვდებიან.
ვიგრძენი, როგორ ჩამომგლიჯეს ისინი
და მიწაზე დაანარცხეს.
ალბათ, საჭიროა მიწამდე დაეცე,
რომ შემდგომ,
ფეხზე წამომდგარმა
გამარჯვების გემო გაიგო.
ჯერ კიდევ სისხლშეუმშრალი ჩემი ფრთები მიწაზე გდია.
მეც გვერდით უნდა მივუწვე მათ,
რომ ისევ შევიზარდო,
რომ ისევ შევისისხლხორცო!

* * *

როცა ძალიან მენატები,
თვალებს ვხუჭავ და სახეზე ხელებს ვიფარებ.
ასეთ დროს მგონია,
რომ ჩემი თითებია გისოსები,
რომლებიც ვეღარ იტევს ამ სიყვარულს
და ერთხელაც,
ფართოდ დახუჭული თვალებიდან
გადმოხტება შენი მონატრება!
ვეფლობი!

* * *

გათენებული არც იყო, რომ დავინახე.
ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ შევამჩნიე,
რომ მეტროში ყოველთვის ერთსა და იმავე
დროს ჩამოდიოდა.
გვირილებიანი კაბა ეცვა, მუხლამდე.
მაგრამ,მანამ, სანამ კიბეებს ჩაივლიდა,
კაბა მუხლიდან ორ თითზე მაღლა იწევდა
და მე თვალნათლივ ვხედავდი მის რძისფერ ფეხებს.

ასეთ დროს იგი ისეთი სინაზითა და
ისეთი გრაციოზულობით
ჩამოუყვებოდა კიბეებს,
რომ ფორმა,
რომელიც ისედაც მიჭერდა, —
სულს მიხუთავდა!

მე რომ შემეძლოს ასეთი სამსახური არ მქონდეს,
მე რომ შემეძლოს ფეხდაფეხ ავედევნო
და მუდამ მისი ნაბიჯების უკან ვიარო,
ჩემი ცხოვრება როგორი ბედნიერი იქნებოდა-მეთქი! —
გავიფიქრე და შევკრთი.
რადგან ჩემს დღეებს,
რომლებსაც რუტინული ელფერი ჰქონდა,
მხოლოდ მისი ფერადი კაბები
მატებდა მრავალფეროვნებას.

ხანდახან მეჩვენება, რომ გოგოს,
რომელსაც რძისფერი ფეხები და
ჩამავალი მზისფერი თვალები აქვს,
ფრენა შეუძლია.
და,
ერთხელაც,
როდესაც იგი მატარებლის მოსვლას,
დასუსტებული ჩიტივით,
ნახევრად გაშლილი ხელებით დახვდება — გაფრინდება!

ამ დილით ის გოგო აღარ მინახავს,
არადა,
წუხელ მთელი ღამე ვფიქრობდი,
რომ დღეს მიხაკისფერი კაბა უნდა სცმოდა.

* * *

დღეს შენი ფოტოსურათი ვნახე.
თითქოს პატარა უჯრაში გამოკეტილს გადაგაწყდი.
სუნთქვა ხომ არ გიჭირს-მეთქი, გკითხე —
და სული შეგიბერე.
როგორ მალე მოგდებია მტვერი.
მახსოვს, ეს მაისური,
რომელიც ამ ფოტოზე გაცვია,
იასამნისფერი იყო.
ახლა კი ალაგ-ალაგ შავი წერტილები აჩნდა,
თითქოს ამ სურათს
მოხვედროდეს ყველა იმ საყვედურების გუნდა,
ერთმანეთს რომ ვესროლეთ.

მეორე ფოტო შენი ბავშვობისაა,
აქ ჯერ კიდევ არ იცნობენ ჩემი ხელები შენსას,
ვერც ჩვენი თვალები სცნობენ ერთმანეთს.
დგახარ ოდნავ გვერდზე გადაწეული თავით
და ფოტოაპარატიდან გამოფრენილ ჩიტს
ისეთი სევდიანი თვალებით უყურებ,
როგორადაც არაერთხელ შემოგიხედავს ჩემთვის.

ვერც ბაბუაწვერებმა დამაბრუნეს შენამდე,
რადგან ვხედავდი,
რომ არც ჩემს არსებობას მოუტანია
შენს თვალებში ჩაუმდგარი ბედნიერება.
და, მაინც,
ყოველთვის, როდესაც შენზე ვფიქრობ,
მგონია, რომ ზუსტად ამ დროს სახლის თბილი ფეხსაცმლით
ოთახიდან ოთახში დადიხარ
და მეძახი:
— სად ხარ?.. სად ხარ? სად ხარ?!
— შენს ზურგს უკან, —
იქ, სადაც ყოველთვის ვიდექი-მეთქი, —
ვჩურჩულებ და მთელი სხეული მითრთის.

* * *

მე ვთოვ,
შენ კი, სველი მიწის მსგავსად,
ვერ მიმჩნევ.
რა ხანია, ჩემი ფიფქები გაშმაგებით ასკდებიან შენს ზედაპირს,
მაგრამ გუბეებშივე უკვალოდ ქრებიან.
შენი გული ეს მიწაა,
რომელზეც წვიმამ დიდი ხნის წინ დაიდო ბინა.
შემამჩნიე...
შემიმჩნიე...
აცადე ჩემს ფიფქებს
გუბეებივით პატარ-პატარა იარების ამოვსება,
მომეცი ნება, შენს მიწაზე დავსახლდე.

მე ისევ ვთოვ,
შენ კი, სველი მიწის მსგავსად,
ვერ მიმჩნევ.
ჩემი ფიფქები წვიმის მიერ გაჩენილ გუბეებში იკარგებიან.
მე ყველაზე უკეთ შემიძლია გაგიგო,
თუ როგორ გტკივა.

* * *

...და, ერთხელაც,
როდესაც მე დავხატავ ბიჭს
შავი თმითა და ფერადი ბუშტებით,
შენ გაგაკვირვებს მსგავსება საკუთარ თავთან.
ასეთი ზუსტი, ასეთი მკვეთრი შტრიხებით.
გაგაკვირვებს,
რადგან ხატვა არ ვიცი.
თორემ, რომ ვიცოდე,
ნეტავ, ვიცოდე...
აუცილებლად დაგხატავდი შენ —
ბიჭს შავი ბუშტითა და ფერადი ხასიათებით!

ჟაკლინ სირაძე

ფსევდონიმი და ჭადრაკის დაფა

თანამედროვე პოეზია...

პოეზია ერთ დროს უმშვენიერესი და ნელსურნელოვანი ყვავილებით დამშვენებული ბაღი იყო, რომელშიც თავანკარა წყარო მორაკრაკებდა და ფრინველები თავდავიწყებით გალობდნენ.

დღეს კი ის მწვანე ფერის, დამყაყებული, ბლანტწებოვანი ჭაობია, რომლიდანაც ბაყაყების მომაბეზრებელი ყიყინი ჩაგვესმის.

მაგრამ ხომ არსებობენ წმინდა პოეტებიც? დაუღალავად რომ განაგრძობენ სასოწარმკვეთ სიმღერას, ღმერთის დაკარგვით სასომიხდილებს ხან ქვითინი, ხან კი ზახილი აღმოხდებათ გულისგულიდან.

ისინი ეპოქის თავზარდამცემ, წყვდიადით მოსილ ღამეს განიცდიან.

საიდუმლო სურნელი

ერთხელ მეგობარმა მითხრა: „ყველაზე ცუდი გემოვნების მაჩვენებელია, როცა შენს სტილზე საუბრობ. ეს ისეთივე სასაცილოა, როგორც შენი საიდუმლო — შენი გემოვნების შესაბამისი სუნამო განმარტო. დილით ქალი თუ ერთ სუნამოს დაიპკურებს, შუადღეზე უკვე მას სულ სხვა სუნამო ჩაენაცვლება, ხოლო საღამოს კი — მისგან სრულიად განსხვავებული.“

მე აღტაცებულმა, რაღაც თრობა-შეპარული სიხარულით მოვისმინე ეს გაფრთხილება და მას შემდეგ სულ თვალწინ მიდგას მშვენიერების განმასახიერებელი ლამაზი ქალი. მას სუნამოს დაპკურება სულაც არ ესაჭიროება, რადგან თავად მისი სული იმოსება სხვადასხვა ფერის კაბით და ასე გვამცნობს და ასე გამოხატავს დილისა თუ საღამოს განწყობას, შეგვაგრძნობინებს ხეებისა თუ ყვავილების არსებობას და ადამიანის სულის ყველაზე დაფარულ, უფაქიზეს მოძრაობას, რადგან მისი დიდი საიდუმლო ის პოეზიაა — მრავალფეროვანი სუნამოს მაგიით რომ გვატყვევებს.

ნიცშეს მემკვიდრეთა ილუზია

კულტურიდან, რელიგიიდან, ისტორიიდან გასული ადამიანი არარაობაა, ანუ არსება, რომლის განსაზღვრისთვის არცერთი საგანი არ გამოგვადგება. ის არის არსება, რომელმაც თავისი წინაპრის — ძველი ადამიანის შექმნილი უკლებლივ ყველა ნაწარმოები თუ ნებისმიერი სისტემა გააუქმა.

ის შლის ისტორიას, ის შლის კულტურას, ის შლის რელიგიას, რადგან სულ სხვა დისტანციიდან სურს შეხედოს თავისთავს.

და როცა მავანთ არა მარტო აძრწუნებს, აშინებს, თავზარს სცემს ეს დისტანცია, მის შიშში მაინც გამოსჭვივის რაღაც აღმტაცი, აღმაფრთოვანებელი და სიამაყის მომგვრელი, რომ ადამიანებს იმ მანძილიდან (რომელსაც ვერც სიმაღლეს ვერ ვუწოდებთ და ვერც უფსკრულის სიღრმეს) პირველად შეუძლიათ წარმოიდგინონ ადამიანი „უსასრულობაში“, ადამიანი ყოველგვარი განსაზღვრის გარეშე.

და ხანდახან მას თავის ამ ილუზიაში ისიც კი ეჩვენება, რომ ის ამ მდგომარეობაში ყველაზე უფრო დაემსგავსა ისეთ ადამიანს, რომელსაც ჭეშმარიტად სურს გაიაზროს თავისი თავი.

ოკეანეში ამოზრდილი კუნძული

ყოველ საღამოს ვსეირნობ და ასე ვცდილობ ჩემს თავს დავუბრუნდე.

და როცა ქარიშხლიან დღეს მჭკნარი ფოთლები სახეში მეხლება, ვგრძნობ, რომ ეს ჩემი სული გლოვობს რაღაცას და ეს რაღაც ჩემი არსებობაა.

ვარსებობ — ამ განცდის გაცოცხლება, წვდომა და გაცნობიერება უმთავრესია.

ეს ოკეანის უსასრულო სივრცეში ამოზრდილი კუნძულია, რომელზედაც შეიძლება ფეხი შესდგა და შენს არსებაში უსასრულობა მოიხილო.

ძველი ანდაზის ახალი ვერსია

ადრე ლათინები ამბობდნენ: იჩქარე ნელა.

მე ამ შეგონება-პარადოქსს ასე ვკითხულობ: ისწავლე და წერე ისე, რომ არ გამოგეპაროს ცხოვრების რიტმი, სიცოცხლის ტკბილ-მწარე გემო და განცდა, რის გარეშეც ადამიანის აზროვნება აბსტრაქციისა და უსახურობის ნიმუშს ემსგავსება, ხოლო მისი სული ბერწი დედაკაცივით უნაყოფობისთვისაა განწირული.

ლათინები ამბობენ: იჩქარე ნელა.

დღევანდელი თაობა კი გაჰყვირის — იჩქარე ჩქარა, ანუ დაემსგავსე უსახურობას და ბერწი დედაკაცივით უნაყოფო გახდი.

თანამედროვე ეპოქის ორი ხედვა

ყოველ ეპოქას თავისი ზნე-ჩვეულებანი, თავისი ცხოვრების მანერა, მაშასადამე, სტილი დაჰყვება. ამიტომაცაა, რომ ხანდახან ლიტერატურის რომელიმე ჟანრი სრულიად გაბატონდება და ასე ცდილობს ეპოქის ყველაზე ურთიერთმოურიგებელი, მოუხელთებელი თვისებები ერთ ტომარაში ჩაყაროს.მით უფრო, რომ ვსაუბრობთ ჩვენს დროებაზე. ცხადია, სიტყვა ეპოქას პირობითად მოვიხმობ, თანამედროვე უღმერთო სამყაროს აღსანიშნავად. ეს ის ეპოქაა, რომელმაც სხვა ეპოქებისგან სრულიად განსხვავებული მდგომარეობა აირჩია — ეპოქა, რომლის დროსაც კაცობრიობა ისტორიისგან, თუ კულტურისაგან გადაღლილი მისგან დროებით უკუიქცა — გავიდა, ანუ „შატალოზე წავიდა“. და თუ დღეს ის, ჩვენი ქალაქ-თბილისის სახით განგვეცხადება, მას მისსავე სარკეში არეკლილს ვიპოვით, რომელსაც ჩვენს დროში გაბატონებული ჟანრი გვთავაზობს ჩანაწერების სახით. მასში იკვეთება ჩვენი ქალაქის ქაოტურობა, მისი ნერვიული პულსაცია, აფორიაქებული ადამიანის სულსწრაფობა თუ მისი უკიდურესად სასოწარკვეთილი, მოუსვენარი ხასიათი, რომელიც ერთ საგანზე ვერა და ვერ ჰყოვნდება და ცდილობს, თავისი წუთიერი განწყობილება, გაელვებული ფიქრები ქაღალდზე სასწრაფოდ გადაიტანოს.

მაგრამ მოდი, გავიხსენოთ, რომ ამ „ეპოქას“ ერთის მხრივ, ჰყავდა ისეთი წმინდა პოეტი, როგორიც რილკეა, რომლის ჩანაწერები დაბრმავებული ანგელოზის ხილვების მოსმენაა (და ის მარტო სულაც არ არის) და მეორეს მხრივ კი, ძრწოლით და ცთომით აღვსილი სულსწრაფი ადამიანი, სამყაროსაგან, ადამიანისაგან, თავისი თავისაგან გაუცხოებული აბსურდული ჩანაწერებით.

და მე ასე მეჩვენება, და მე ასე მესახება, რომ თანამედროვე ეპოქას ორი ექო, ორი ხედვა, ორი რიტმი გააჩნია.

უილიამ ფოლკნერის რჩევა

როცა ამერიკელი მწერალი უილიამ ფოლკნერი წერს, რომ მწერალმა არამც და არამც ბოლომდე არ უნდა ამოხაპოს თავისი ჭიდან წყალი, ეს ალბათ იმასაც ნიშნავს, რომ მან დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და შემოქმედის მთავარი საყრდენი — მეხსიერების ძაფი — არ უნდა გაწყვიტოს.

კითხვა და მოგზაურობა

ამბობენ, კითხვა ყველაზე მეტად მოგზაურობას მოაგავსო, და ეს ასეცაა.

კითხვისას ხომ ადამიანის სული ტოვებს თავის სხეულს, რათა არა გლობუსზე აღნიშნულ, კონკრეტულ ქვეყანაში, არამედ წარმოსახვით ქვეყანაში იმოგზაუროს.

ამიტომაცაა, რომ კითხვის პროცესში ადამიანი ძილსა და ღვიძილზე უფრო აღმატებულ მდგომარეობას აღწევს, რომელსაც რელიგიები ხან ექსტაზს, ხან ნათელხილვას უწოდებენ.

კითხვისას, როცა ჩვენ დროისა და სივრცის ჩარჩოებს გავარღვევთ და ვიმოგზაურებთ კაცობრიობის მეხსიერებაში, ოკეანის ტალღებში მოცურავე იმ გემს ვემსგავსებით, კაცობრიობის მეხსიერების უსასრულობას რომ მიარღვევს და აცნობიერებს.

ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ძველი ეგვიპტელები თავიანთი სხეულის მუმიცირებას რომ ახდენდნენ, რათა მიღმურ სამყაროში გაღწეულ სულს გარდაცვალების შემდეგ ისევ ეცნო და ეპოვნა თავისი „თავშესაფარი“, ანუ თავისი სხეული. ჩვენ კი მხოლოდ იმას ვცდილობთ, ხელახლა ვიპოვოთ და ვიცნოთ ჩვენი დაკარგული მე.

ენა — ზარდახშის ოქროს გასაღები

ენა ინახავს ყველაფერს, რაც შეიძლება ითქვას, ეს იქნება ჩვენი ისტორია თუ ფილოსოფია, პოეზია თუ პროზა... უფრო ზუსტად კი ენა ინახავს, არა მარტო იმას, რაც გვიფიქრია, რაც გვიგრძნია, რაც გაგვიკეთებია, არამედ იმასაც, რაც შეიძლება ვიფიქროთ, რაც შეიძლება შევიგრძნოთ და რაც შეიძლება გავაკეთოთ.

ის ძვირფასი თვლებით მორთულ ზარდახშას მოაგავს, რომელშიც ძევს ამ ენაზე მოსაუბრე ყოველი ინდივიდის მოგონებანი.

მაგრამ მისი გასაღები მხოლოდ რჩეულ ადამიანს უპყრია ხელთ და, უპირველეს ყოვლისა, ესენი არიან ჭეშმარიტი პოეტები და მწერლები.

ორი განსხვავებული დროის შინაარსი

როცა ბიბლია განგვიცხადებს, რომ ადამიანი ბალახივით წარმავალია, ეს გამონათქვამი ჩვენ თითქოსდა ცის უსასრულობაში „გვაგდებს“ და აგვამაღლებს, რადგან ეს სულის მაღალ საფეხურზე მდგომი ადამიანის გოდებაა.

ხოლო როცა თანამედროვე ტექსტებში იწერება, რომ ადამიანის ცხოვრება ამაოებაა, ჩვენ იმგვარ სულიერ დაცემას განვიცდით, რომელსაც ბოლო არ უჩანს, რადგან ის იმ ადამიანს განეკუთვნება, რომელიც ყოფიერებაზეა მიჯაჭვული და ვნებების ბრმა ტყვეა.

კოცნა — მიტოვებული სიბრმავე

ჩვენ უკლებლივ ყველა საგანს ვეჩვევით და ვბრმავდებით.

ჭეშმარიტი შეყვარებულები კი კოცნისას ჩვევის რუხ ტანსაცმელს ფერად ტანსაცმელში ცვლიან, როცა ორი ბაგის შეერთებით იმ საერთო მდინარეში ვარდებიან, რომლიდანაც ისინი ერთ დროს გამოიდევნენ.

დაიბადნენ რა, დედამიწას მოევლინენ და მიატოვეს დედის წიაღიც და კოსმოსის საიდუმლო ენაც.

ორი ბაგის შეერთებამ კი ისინი ამ საიდუმლო ენას ისევ აზიარა.

კოცნის „მდინარეში“ მდუმარე ყოფნაც კი საკმარისია, რათა ხელახლა ეზიარო კოსმოსის სიბრძნეს.

ART (ხელოვნება) და თანამედროვე ადამიანი

ყოველთვის მიიჩნეოდა, რომ ხელოვნება გადაარჩენდა ადამიანს, რადგან ის ზნეობრივი ადამიანის, მისი სრულყოფილი გზის ერთგვარი გამოხატულებაც იყო.

ზნეობა, ის ფარული მდინარე იყო, რომელიც მის ლამაზ ყვავილებს ასე უხვად და უანგაროდ რწყავდა.

და დღეს, როცა ზნეობა აღარ არის და შესაბამისად, აღარც მშვენიერი, ღირსეული Homo Moralis აღარ არსებობს, ხელოვნების ფარული მდინარეც დაშრა, დაიწრიტა.

ლამაზი, ფერადი ყვავილები კი არა თუ დაჭკნა, მისი მოგონებაც კი აღარ შემორჩა იმ არსებას, რომელმაც დაივიწყა Homo Moralis — ის, ვინც ოდესღაც ცის სარკეში ჭვრეტდა თავის რაობას და ხელოვნებას.

და დღეს, თანამედროვე ხელოვანი გაბერწებული დედაკაცივით იტანჯება, და შეშლილივით იმეორებს ერთი და იმავე უაზრო ამბავს: თავისი გაბერწების მწარე ისტორიას.

ყბადაღებული ლირიკის გახსენება

ძველი თაობის წარმომადგენელთა მსგავსად მეჩვენება, ყველა ჩვენი მიდრეკილება რომ გაგვეცნობიერებინა, აღმოვაჩენდით, რომ ის სხვა არაფერია, თუ არა წყურვილი შეგვეგრძნო და მოგვესმინა ბუნების მღელვარე ხმა, მისი ფაქიზი ამოოხვრა, და ეს, დღევანდელი ხელოვნებისთვის ხომ ყბადაღებული ლირიკაა, ან მისთვის ასე საძულველი რომანტიკა.

მაგრამ მე, ისევ და ისევ ძველი დროების ერთგულების ნიშნად, როცა ჩემი სულის ჩურჩული ან კვნესა ჩამესმის, ასე მეჩვენება, რომ ეს ბუნების დიადი ძალაა ჩვენ სულს რომ იქვემდებარებს, ეწყვილება და ასე ასმენინებს თავის ხმას. ამიტომაცაა, რომ წვიმის წკაპწკაპა ხმა ისე ჩამესმის, როგორც ჩემი სულის „ინსტრუმენტზე“ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოები, ხოლო როცა ტყე ნისლში ეხვევა, ამ ბინდ-ბუნდში ჩემში ისევ და ისევ ხმიანობს ბუნების მთრთოლვარე ხმა, რომელიც თავისი ქალური საწყისით ცდილობს მოგვხიბლოს და თავის ჯადო-ბანგში გაგვხვიოს.

ამიტომაც ითვლება, რომ შემოქმედი, განსაკუთრებით კი პოეტი ქალს ბაძავს — მასავით განიცდის და იმსჭვალება ბუნების მოვლენებით, მთვარის დარად მეტა-მორფოზას განიცდის და თავის თავზე ყოველ უმნიშვნელო ცვლილებას აისახავს.

თანამედროვე ხელოვნების სახელი — ნაბოკოვი და სხვანი

ამბობენ, თანამედროვე რუსული ლიტერატურა გოგოლის „შინელიდან“ მოგვევლინაო, მათ შორის დოსტოევსკის სამ-

ყაროც. დოსტოევსკიდან კი დაიბადა თანამედროვე სამყაროს არქიპელაგი.

მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ თანამედროვე სამყაროს შიგთავსი, ის რაც ხელოვნებას დაცემულ ხელოვნებად აქცევს, ნაბოკოვიდან იწყებაო, რომელშიც ბერწი ხელოვანის ორი თვისება ორ აქსიომასავითაა წარმოდგენილი: პირველი — ადამიანის ღვთაებრივ წარმოშობაზე უარისთქმა, და მეორე — მოყვასისადმი თანაგრძნობის უარყოფა იმ მიზეზით, რომ ეს სიყალბეა.

ფსევდონიმი და ჭადრაკის დაფა

როგორც ამას ერთი რუსი მწერალი აღნიშნავდა, ფსევდონიმში ხანდახან მთელი თაობის ტრაგედია აისახება. ასე მაგალითად — ნაბოკოვის ახალგაზრდობის დროინდელ ფსევდონიმში. მისი ფსევდონიმია Сирин — იგივე სირინოსი, და თურმე ეს ის ფრინველია, რომელიც სამოთხიდან იმისთვის გამოფრინდა, რათა დედამიწაზე თავისი სიმღერით მოაჯადოვოს ადამიანები.

მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ სამოთხიდან გამოფრენილი ეს ფრინველი საბოლოოდ მიწაზე სულაც არ დაშვებულა, არამედ ისეთ სიმაღლეზე შეყოვნდა, საიდანაც დედამიწა უზარმაზარი ჭადრაკის დაფას მოაგავდა.

ჭადრაკის დაფა — მასში ხომ უკვე მთელი თანამედროვე ხელოვნების არსია მოცემული.

ერთი ცნობილი მოაზროვნე კი ზუსტად განმარტავდა თანამედროვე ლიტერატურის ბედს:

— თუ ადრე გენიოსები ლიტერატურის მეშვეობით ქმნიდნენ ცხოვრებას, ახლა ტალანტი აკეთებს (ჭადრაკის დაფის ხელმძღვანელობით — ჟ.ს.) ლიტერატურას.

რწმენადაკარგული თაობის „უსასრულობა“

თანამედროვე თაობა ცდილობს, მოიპოვოს სული, რომელიც არაფერს ჰგავს:

— არც ბუნებას, არც სახელმწიფოს, არც ადამიანის ბუნებას, არც ჯოჯოხეთს და არც სამოთხეს. მირჩა ელიადეს რომ დავესესხოთ, თანამედროვე თაობა ქმნის იმ საგნებს, რომელთაც არ გააჩნიათ ზეციური არქეტიპები. ეს არის საგნები, ღვთაებრივი ორეულების გარეშე.

მაგრამ ჩვენ უკვე ვიხილეთ ამ „უნაპირო“ სულის სიცარიელე, ვიხილეთ, თუ როგორ დაეწყვილა ის თავის გზაზე ყოფიერების უბადრუკ საგნებს და გაამჟღავნა „უსასრულობაში“ მოგზაური, რწმენადაკარგული თაობის ფიასკო.

თევზაობა და აზროვნება

აზროვნების პროცესი შეიძლება ბევრ რამეს შევადაროთ.

თუნდაც — თევზაობას.

შეიძლება მთელი დღე იყურყუმალო და მაინც ერთი ლიფსიტაც კი ვერ მოიხელთო. და შეიძლება მოულოდნელად ორი, სამი მსუყე თევზი მოედოს შენს ანკესს.

აზროვნებას სწორედ ასეთი მოულოდნელობა ახასიათებს. არასოდეს არ იცი, თუ რა მოჰყვება შენს თევზაობა-აზროვნებას: დახუნძლული, მძიმე ბარგი თუ ცარიელი ბადე.

სიზმარი და შინაგანი სახლი

ღრმად მჯერა, რომ მხოლოდ სიზმარეულ მდგომარეობაში გვეხსნება დიდი სინამდვილე.

ოღონდ ეს სიზმარი ცხოველი განცდის, დიდი ტანჯვის, წუხილის თუ სასოწარკვეთილებისაგან მოგვრილი სიზმარეული მდგომარეობა უნდა იყოს. ის სიზმარეული მდგომარეობა, რომელიც დრო-სივრცის მიღმა გვიხსნის კარებს, მძაფრად შეგვაგრძობინებს ყოფიერების ზედაპირულობის სიმყიფეს და მაშინ ტკბილ-მწარე ჟრჟოლვით ჩავწვდებით, რომ იქ არის ჩვენი დავიწყებული შინაგანი სახლი.

დასასრული

ცენზორის მოთხოვნით პოეტი იძულებული შეიქნებოდა, სათაური „ირ. ევდოშვილს“ შეეცვალა ასე: „მგოსანს“, ხოლო პირველ სტრიქონში სიტყვა „ციმბირისაკენ“ მოეხსნა და მის ნაცვლად ჩაეწერა: „სამხრეთისაკენ“.

გამოვიდოდა „ცივ სამხრეთისაკენ“, რაც უცნაურად გაისმოდა, მაგრამ ცენზორი ამას არ დაგიდევდა, სანდრო კი შეგნებულად დახუჭავდა თვალს, შეელეოდა სტრიქონის დამახინჯებას იმის გამო, რომ „ცივის“ ჩატოვება მკითხველს ძალდაუტანებლად მიახვედრებდა, თავდაპირველად „სამხრეთი“ არ ეწერებოდა, ალბათ უფრო „ციმბირი“ იქნებოდაო.

მაგრამ ამ ლექსის თავგადასავალი აქ არა მთავრდება:

ის ასევე შეუსწორებლად შევიდოდა სანდრო შანშიაშვილის ლექსების 1926 წლის გამოცემაში: ტომი 1, გვ. 59.

და ეს იმიტომ, რომ ავტორს აღარ გაახსენდებოდა მისი შესწორება.

ამჯერად დამაფიქვრელი სწორედ ეს არის, ავტორი რომ ვეღარ მოიგონებდა

როსტომ ჩხეიძე

განხილვის რეპორტაჟი — ნოველად

ცენზორის იმ მოთხოვნას, ტომის მომზადებისას კი მზერა ისე გადაირბენდა ამ სტრიქონზე, სიტყვათშეთანხმების უცნაურობას ვეღარც შეამჩნევდა.

მიხეილ ჯავახიშვილი კი თავის უბის წიგნაკში ჩაინიშნავდა 1925 წელს, რომ:

დაბეჭდილიყო სია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებისა ანბანით. და ელიავა... ბოლოში მოხვედრილიყო.

ანბანით თუა, ელიავას ბოლოში რა უნდა?

მიზეზს ადვილად ახსნიდა მწერალი:

თურმე ეს სიაც რუსულად ყოფილიყო შედგენილი. ასო Э ხომ რუსული ალფაბეტის ბოლოსაა. ქართულად მექანიკურად გადმოიტანდნენ წევრთა შემადგენლობას და... ეს კაზუსიც ამას გამოეწვია.

აღარ ჩაკვირვებოდნენ, თორემ შეცდომის გასწორებას რა უნდოდა.

ეს ორი პასაჟი წამომაგონდებოდა ძალაუნებურად, როდესაც პაატა ნაცვლიშვილი ერთ ცოტა არ იყოს უცნაურ ფრაზას წააწყდებოდა ოთარ ჩხეიძის „კვერნაქის“ 2016 წლის გამოცემაში...

მთავარი გმირი რომ გადაწყვეტდა წამოეყენებინა წინადადება სახელმწიფო ხარჯების მომჭირნეობის თვალსაზრისით, რამდენიმე კაცის აყოლიებასაც განიზრახავდა, რათა უფრო მჭექარედაც გახმაურებულიყო გასახმაურებელი და უფრო დროულადაც განხორციელებულიყო. ისინი ამასთან ერთად მოაწერდნენ ხელს თავიანთი თანამდებობისა და წარჩინების ნიშნებით, უარი ვითომ რატომ უნდა ეთქვათ, მაგრამ...

— გაჭირდა, ვერ იქნა და ვერ გამოსძებნა ისეთნი, რომელთა გვარები ამის გვარის ქვეშ მოეწერებოდა ანბანის მიხედვითა; ყველა ზევიდან მოჰქცეოდა, ყველა ზევიდან გადმოჰყურებდა, ანბანის მიხედვითა რაღათქმაუნდა, მაგრამ ესეც დიდი რამ გახლდათ ასეთ შემთხვევისასა, მაშ რაო, — თაოსანი ეს უნდა ყოფილიყო, წერილი თუ გაანგარიშებანი ამას უნდა შეედგინა, სხვები უნდა გამოცხადებულიყვნენ პირველადა. ეს მაჩანჩალადა, ერიჰა!.. არ ივარგებდა, არა, ნწ. არა, რახან ეგრე გამოდიოდა, აღარც აღარავის ინდომებდა, მხოლოდ თვითონ გამოცხადდებოდა, თვითონ და მარტო...

მთავარი გმირის ამბიციები ვერ ეგუება, რომ ხელისმოწერისას სადღაც ბოლოში უნდა აღმოჩნდეს, არადა ანბანის რიგი სხვა გამოსავალს არ უტოვებს.

მაგრამ... გვარად რომ ბონიძეა, სანდრო ბონიძე?

ანბანის მიხედვით სწორედაც თავში შეიძლება ჩაუდგეს ხელისმომწერთა სიას. მისი ნება არ არის? ისე შეარჩევს დანარჩენებს, რომ მისი თაოსნობა თვალნათლივაც გამოჩნდება.

აბა მაშ რაღა უმღვრევს გულს, როგორღა შეიძლება სხვანი ზემოდან მოექცნენ და ზემოდან გადმოხედონ, როგორღა შეიძლება სხვანი გამოცხადდნენ პირველად და ეს მაჩანჩალად?..

უცნაურობად მოჩანდა და... ვერც პაატა ნაცვლიშვილი ახსნიდა, ვიდრე „კვერნაქის“ განხილვაზე — ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების სხდომისას ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, 2017 წლის 14 თებერვალს — ჩემს მოხსენებაში „განხილვის რეპორტაჟი — ნოველად“ არ გავამჟღავნებდი, რომ სანდროს გვარი თავდაპირველად ცხოიძე გახლდათ და მხოლოდ მოგვიანებით შეეცვალა მწერალს ბონიძედ.

და ერთბაშად ყველაფერი დალაგდებოდა.

განსხვავებით „ბან“-ისაგან, მოგეხსენებათ, „ცან“-ი სადღაც ბოლოშია ანბანისა და ამ გვარის პატრონს მართლაც გაუძნელდებოდა, რომ თავში ჩადგომოდა ხელისმომწერთა სიას, რათა ყველა ზევიდან არ მოჰქცეოდა, ყველას ზემოდან არ გადმოეხედა. სხვანი პირველებად გამოჩნდებოდნენ აბა რა იქნებოდა, და ეს კი — მაჩანჩალად!..

„ცხოიძე“ „ბონიძედ“ რომ შეიცვლებოდა, მწერალს გამორჩებოდა, რომანის ამ ადგილისთვისაც მიეხედა — იმ ცვლილების კვალობაზე გადაეკეთებინა.

ახლა აღარავის აქვს ტექსტში ჩარევის უფლება, მაგრამ რედაქტორს შეეძლო კომენტარი დაერთო და განემარტა მკითხველისათვის იმ ფრაზების „უცნაურობის“ მიზეზი.

პაატა ნაცვლიშვილი — ტექსტში ჩაკირკიტებისა და ჩხრეკის უნარითაც რომ გამოირჩევა — მისაყვედურებდა ამგვარი კომენტარის არარსებობას.

გავითვალისწინებ-მეთქი.

— აქაც კი უნდა გაგეთვალისწინებინა, ოთარ ჩხეიძის რომანია, ძმაო...

მართალი ხარ-მეთქი.

ისე მომავალი გამოცემისას მოკლე კომენტარის ნაცვლად იქნებ ექსკურსიც ჩაერთოს და, გარდა სხდომის იმ წუთების აღდგენისა, ის ამბებიც გავიხსენოთ, ლევან ასათიანისა და მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკებში ჩანიშნული.

მოტივები სულ სხვადასხვაა, მაგრამ მთავარი ამჯერად ისაა, სამივეგან — მიუხედავად ჩასწორებისა — პირვანდელი ვერსიის კვალი რომ ჩარჩენილა უნებურად.

სანდრო შანშიაშვილის ლექსშიც.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა სიაშიც.

ოთარ ჩხეიძის რომანშიც.

არა, შალვა ელიავასათვის მაინც როგორ არ გაემართლებინა:

რუსულად შედგენილი სიების ბოლოში რომ მოექცეოდა და სხვანი ზემოდან გადმოხედავდნენ, თითქოს ისინი პირველები ყოფილიყვნენ, ეს კი მაჩანჩალა, გულს იმით დაიმშვიდებდა, ქართულ სიებში ხომ მაინც გადავუსწრებ ბევრს, თუ ყველას არაო, მაგრამ... მექანიკური გადმოტანა რუსული სიისა გაუცრუებდა ამ იმედს.

რა უნდოდა ელიავას სიის ბოლოს, ამ ცხოიძეს სიის თავში?!. თუმც ამას გვარი მაინც შეეცვლებოდა ახალ გამოცემაში და აღარც ის საწუხარი შემორჩებოდა, სხვანი ზემოდან მომექცევიან, ზემოდან გადმომხედავენო.

იმას კი რა ეღონა, უნდა დარჩენილიყო ასე მაჩანჩალად, რადგან ნაფიც ბოლშევიკთა სიები — ფურცელზე თუ წარმოსახვით — რუსულად დგებოდა და ადვილი შესაძლებელია, ვერც სხვა დროს გადარჩენოდა მისთვის დასანან ამ მექანიკურ გადმოტანას ანბანის რიგისა, გარეგნობა ანბანისა ქართული რომ გახლდათ, მაგრამ თანმიმდევრობა რუსული შემორჩებოდა და რაღაც იმგვარი გაუგებრობა გამოდიოდა: ფორმით ქართული და შინაარსით რუსულიო.

ხოლო მიხეილ ჯავახიშვილს ყოველგვარი სიის ბოლოში რომ უნდა დაეკავებინა ხოლმე ადგილი და მისი თაოსნობით შემდგარი სალიტერატურო ჯგუფის — „არიფიონი“ — სიასაც ყველაზე ბოლოს რომ მოაწერდა ხელს, არ დაგიდევდა ამასა და ამისთანებს და წამითაც არ გაივლებდა გუნებაში: სხვანი ზემოდან მომქცევიან და ზემოდანაც გადმომყურებენო.

განა ამ სიის თავშიც არ იგულისხმებოდა და თვით სალიტერატურო პროცესისაც?!.

თუმც ეს ისე, თორემ დიდად არც ამას დაგიდევდა, რადგანაც თავისი მოვალეობა დაჰკისრებოდა საქართველოს, ქართული მწერლობის, ქართული კულტურის წინაშე და იმ გზასაც მიჰკვალავდა ერთგულად.

ოთარ ჩხეიძისა არ იყოს, რომელიც — განსხვავებით თავისი პერსონაჟისაგან — ოდნავადაც არ ინაღვლიდა, ყოველგვარი სიის ბოლოს თუ მიეჩინებოდა ადგილი.

მოვალეობა მოვალეობაა.

და მხოლოდ ერთგულება აგასრულებინებს ამ მოვალეობას, წვრილმანებისათვის რაიმე ანგარიშის გაწევა რომ მხოლოდ ჩამოგარჩენს.

დაე თავისი გზით ედინათ სიებსაც და მათ შემდგენლებსაც. ვის პირველობა დაეჩემებინა, ვინ ვერ ან კიდეც შეგუებოდა მაჩანჩალას სახელს.

გაერიდებოდნენ ანბანზე გაწყობილ სიებს სანდრო ცხოიძეები.

სანდრო ბონიძეებს კი სულაც მშველელად დაესახათ ამგვარი სიები, ასე მაინც მოვექცევით ზემოდან სხვებს, ასე მაინც გადმოვხედავთ ზევიდანო!..

...ეს „ცივი სამხრეთი“ მაინც რამ დამაწერინაო — მერე ეგებ ესეც ვეღარ გაეხსენებინა სანდრო შანშიაშვილს...

კიდევ ერთი მინაწერი:

ვიდრე ეს მემუარულ-ფსიქოლოგიური ნარკვევი გამოქვეყნდებოდა, „კვერნაქიანას“ ციკლს მიემატებოდა კიდევ რამდენიმე ესეი: „ფარული, ნაცრისფერი ტრაგიკულობა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 2017, 21 თებერვალი), „36: ჩვენი ცხოვრების საბედისწერო ასაკი“ („ქართული სიტყვა“, 2017, 20 სექტემბერი) და „ოთარ ჩხეიძის კვერნაქიანა“ („ქართული სიტყვა“, 2018, 10 იანვარი).

კიდევ რამდენიმე პროფესიონალის კრიტიკულ-ესთეტიკური განსჯა.

ქართული კრიტიკის ახალი ტალღის კიდევ რამდენიმე გამორჩეული წარმომადგენლის: ინგა მილორავასი, ოქტაი ქაზუმოვისა და თამარელა წოწორიასი.

და ასე თანდათან თავს მოიყრის ლიტერატორთა ის გუნდი, რომელთა ღრმააზროვანი გამოხმაურებანიც სწორედ საპირისპირო პოლუსზე აღმოჩნდება სატირულად წარმოსახული დისკუსიისა, როგორც შორეულ წარსულში დარჩენილი ეპიზოდისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონა კუპრეიშვილი

მწერლის ბედი და მისია

ცნობილი მიზეზების გამო არსებობს სრულიად ლეგიტიმური, გნებავთ, პროფესიული ინტერესი იმისადმი, თუ როგორ ადაპტირდნენ დღევანდელ ლიტერატურულ სივრცეში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ცნობილი მწერლები, რომლებიც იმდროინდელი პოეზიისა თუ პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლებად იყვნენ მიჩნეულნი. მით უფრო, რომ აქ საუბარია არა მხოლოდ გარკვეულ ქრონოლოგიურ მონაკვეთზე, არამედ „საბჭოთა სულიერების ტერიტორიაზე“, რომელიც მწერლისგან საკმაოდ მზაკვრულად ჩაფიქრებულ „ერთგულებას“ მოითხოვდა.

ყველას გვახსოვს, საიდან მოვდივართ, თუმცა ზოგიერთმა მაშინდელმა ავტორმა, რომელიც უდრტვინველად იზიარებდა ცენზურის მიერ დაწესებულ აკრძალვებს, ზოგი რუპორიც კი იყო ხუთწლედებისა თუ შვიდწლედების გალიმათიის, საბჭოთა ოფიციოზთან მუდმივად დაპირისპირებული დისიდენტის მანტია მოისხა და თუ თვითონ ბოლომდე ვერ მოასწრო ახალი ამპლუის მორგება, საქმის გასრულება, ამ სიტყვის სრულიად კონკრეტული მნიშვნელობით, შვილებსა და შვილიშვილებს უანდერძა. ზოგმა ნოვატორობის უპირატესობა დაინახა და საკუთარ ხელწერას „გადახედა“, ზოგი კი, უკიდურესად დაბნეული, ახალი დროის მოთხოვნით, სულაც გაჩუმდა... კიდევ ერთხელ გაირკვა, რომ სინამდვილეში ანტიოფიციოზური მიმართულებისა და შინაგანი ავტონომიის მქონე მწერლები ყოველთვის თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ და არიან.

ისიც ხომ ფაქტია, რომ „პოსტსაბჭოური ლიტერატურული სივრცე ფორმირდებოდა იმ საბჭოთა მწერლების მიერაც, რომლებიც არასოდეს იზიარებდნენ სოცრეალიზმის დოგმებს“. მათ ამგვარ პოზიციონერობას, სხვადასხვა ფაქტორთან ერთად, დამაჯერებლობა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებულმა ქართული მოდერნისტული კულტურის შესახებ შემორჩენილი ხსოვნის გენერირებამაც შესძინა. ყველაზე ძლიერი დარტყმა მაინც იდეური წინააღმდეგობიდან სრულ დეიდეოლოგიზაციაზე გადასვლა იყო, რომელსაც მწერლის სტატუსის ცვლაც მოჰყვა. მწერალი „საზოგადოების მნიშვნელოვანი და გავლენიანი ფიგურიდან, მასების ფიქრთამპყრობელიდან გადაიქცა კერძო პირად, რომელსაც გააჩნია (და ისიც არა ყოველთვის) საკუთარი ინტელექტუალური საკუთრება“. არაერთხელ თქმულა, რომ სქელტანიანმა ჟურნალებმაც დაკარგეს ლიტერატურული პროცესის მაკორორდინებლის ფუნქცია და ადგილი საგაზეთო ჟურნალიზმს დაუთმეს.

ამ ჭრილში მოწმე გავხდით არა მარტო საბჭოთა რეჟიმის მხარდასაჭერად, არამედ მის წინააღმდეგ, მისივე ნამდვილი სახის ლუსტრირებისთვის XX საუკუნის 70-80-იან წლებში დაწერილი არაერთი კრიტიკული ტექსტის ღირებულებითი გადაფასებისა, როდესაც ამ ტექსტმა დროის ახალ კონტექსტში დამაჯერებლობა დაკარგა და გროტესკული სახეც კი მიიღო ის, რაც გადარჩა და რამაც რეალიზმისა და ანტილოგოცენტრიზმის ნანგრევებზე განაგრძო არსებობა, არამარტო ნიჭიერებით აღიბეჭდებოდა, ეს თავისთავად, არამედ კიდევ ერთხელ ხაზგასმით გავიმეორებ, იმ შინაგანი ავტონომიით, რომლის შენარჩუნება იმ ბაქხანალიაში იქნებ ყველაზე რთული საქმე იყო. უადგილო არ გამოდგა არც გონივრული დისტანცირება პოსტმოდერნიზმისა მისთვის დამახასიათებელი ყველა კულტურული ფორმის დასრულება-ამოწურვით და ამ ფორმებით თამაშით პროვოცირებული სკეპტიკურ-ჰედონისტური განცდისგან. ვერ ვიტყვით ბევრმაო, მაგრამ რამდენიმემ მაინც დაწმინდა და დაიგულა თავისი სათქმელი, რომლისთვის, როგორც აღმოჩნდა, არც ფორმის შეცვლა ყოფილა გადამწყვეტი, არც ენობრივ-ლექსიკური მასალის გართულება. იმავდროულად, და ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი, აქცენტი გაკეთდა მწერლად დარჩენის ისეთ კრიტერიუმებზე, რომლებიც ხშირად რაციონალურ ახსნას არ ექვემდებარება, თუმცა, როგორ პათეტიკურადაც უნდა ჟღერდეს, სამყაროს წინაშე გარკვეული პასუხისმგებლობის პიროვნულ განცდაზეა დაფუძნებული.

ამ წერილის გმირი, მწერალი და დრამატურგი გურამ ბათიაშვილი, რომლის პროზაული თუ დრამატურგიული ტექსტები თავის დროზე სათანადო გამოხმაურებებს იმსახურებდნენ (ამ მხრივ ნიშანდობლივი იყო მისი პიესის „ვალის“ გასცენიურება), არც გაჩუმებულა და არც აღთქმულ მიწაზე დაბრუნებულა, დღესაც აგრძელებს სამწერლო საქმეს და ეს იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია, რომ მინდა გავერკვე ამ მოვლენის მექანიზმში.

ცხადია, გურამ ბათიაშვილიც ტრადიციულად წუხს ოფიციოზის მიერ შემოქმედებითი კავშირებისთვის თავის დროზე მიცემული შელავათებისა და მრავალათასიანი ტირაჟების გამო, თუმცა აქ უფრო დიდი წუხილის საგანია მწერლის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ჩამოშორების ტენდენცია, რომელიც დიდი ეპოქალური გარდატეხის ყველაზე კრიტიკულ მომენტში ერთბაშად და უაპელაციოდ გაცხადდა. სწორედ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი არც თუ ისე მწყობრი საზოგადოება დემორალიზებული აღმოჩნდა ცხოვრებისეული ავანსცენიდან მწერლის ცოტა არ იყოს ნაადრევად დათხოვნის გამო, ღირსებააყრილი და მარგინალიზებული მწერლის გარეშე კი იგი თითქოს დაიბნა კიდეც, ზნეობრივი ორენტირებიც უცებ შემოეცალა და თვითკმაყოფილებას, სინამდვილეში კი, თუ ძალიან ხმამაღალი ნათქვამი არ გამომივა, თვითგანადგურებას მიეცა. არადა, მოუწყობელი ცხოვრება, და ამასაც კარგად ვხედავთ, მწერალს კვლავ ყოველდღიური პრობლემებისკენ ექაჩება...

სტერეოტიპული აზროვნება, ჩვენ რომ კლიშეებს ვუწოდებთ, მეტ-ნაკლებად ყველა დროს ახასიათებს. ცხადია, იგი საბჭოთა კავშირშიც არსებობდა და საკმაოდ სერიოზული თემების ვუალირებას ან სულაც მიჩქმალვას ემსახურებოდა. გამონაკლისი არც ჩვენთან მცხოვრებ ებრაელთა საკითხი იყო. ჩვენ არ ვიცნობდით საკუთარ თავს და შესაბამისად არ ვიცნობდით ებრაელობასაც (აქ მთელი ჩამონათვალი შეიძლება ვიგულისხმოთ აფხაზების, ოსების, ბერძნების თუ სხვათა სახით), ანუ ჩვენ იმდენად შეჭმული ვიყავით იდეოლოგიზებული გარემოთი, იმდენ მეორე-მესამეხარისხოვან თავსმოხვეულ თემებზე ვხარჯავდით დროს, რომ რეალობაში გარკვევისთვის აუცილებელ ძალისხმევას ვკარგავდით. შესაძლოა, ამ მოცემულობამაც უბიძგა გურამ ბათიაშვილს, აერჩია ერთი კონკრეტული პრობლემა, რომელსაც მისი, როგორც მწერლის, მთავარი ნოტი ან მხატვრული ამოცანაც შეგვიძლია ვუწოდოთ. ნახეთ, როგორ აყალიბებს ამ თავის დედაიდეას უკვე ორიათასიანების დასაწყისისთვის: „ახლა რასაც გეტყვით, ბაქიობად არ უნდა ჩამომართვათ. მე სურვილს გიმჟღავნებთ და არ ვლაპარაკობ შედეგზე. დიდი სურვილი მაქვს, მკითხველს ვუამბო ებრაელის თვალით დანახულ საქართველოზე, ქართველ ებრაელობაზე, იმ ფენომენზე, ქართველ-ებრაელურ ურთიერთობას რომ უწოდებენ. იქნება ვცდები, იქნებ ეს ჩემი აკვიატებული იდეაა და სხვას არაფრად აინტერესებს, მე კი ეს სურვილი არ მასვენებს...“ (გაზეთ „ახალი ეპოქის“ ლიტერატურული დამატება „ჩვენი მწერლობა“, 2001, ინტერვიუს ავტორი თემურ აბულაშვილი).

„ცოცხალი, ჭეშმარიტი ადამიანური ისტორიების“ მოყოლის შეუძლებლობამ თუ ტაბუირებამ, მავანთა მიერ მომავლის სურათებში რეალობის, როგორც ასეთის, სრული კრახის წარმოსახვამ, საბჭოთა რეჟიმგამოვლილი მწერლისთვის იქნებ კიდევ უფრო გაამყარა ერთგულება ერთხელ არჩეული თემატური რკალისადმი. თუმცა უფრო სწორი იქნება „ერთგულების“ ნაცვლად აქ „ნიშის“ ცნება გამოვიყენოთ. გურამ ბათიაშვილს, როგორც ქართველ ებრაელ მწერალს, სწორედ საკუთარმა წარმომავლობამ, საკუთარი ხალხის მწარე ხვედრმა, ქართულ ისტორიაში გამოტარებულმა ებრაელთა ფიზიკურ-სულიერმა სახემ აპოვნინა ეს ნიშა. აღმოჩნდა, რომ პირველ ყოვლისა, იგი მოწოდებული ყოფილა, მიეძღვნა თავი, როგორც თვითონ განმარტავს, „ფიქრისთვის ებრალთა ადგილზე საქართველოს ისტორიაში, იმ უნიკალური ფენომენის გაანალიზებისთვის, რასაც ქართველი ებრაელობა ეწოდება“ (ისევ იმ ინტერვიუდან). ეს კი წერის ერთხელ არჩეული მიმართულების, კერძოდ კი რეალიზმის, დღეს რომ „ნონფიქშენს“ უწოდებენ, ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო (მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი გმირები ძირითადად ისტორიული პირები არიან). კლდიაშვილი ჩემი მეტრიაო, ამასაც ამბობს, უფრო ზუსტად ჩემი იდეალი „კლდიაშვილისებური კალმის სრიალიაო“, ანუ წერა მხოლოდ იმაზე, რაც კარგად იცი და კიდევ უბადლო უნარი, მიაღწიო „პერსონაჟთა მეტყველების ადეკვატურ ინტონაციურობას“ (ეს უკანასკნელი, გურამ ბათიაშვილისთვის, როგორც დრამატურგისთვის, იქნებოდა განსაკუთრებით საგულისხმო). რაც შეეხება წერის ამოჩემებულ რეალისტურ მანერას, ამაზეც აქვს თავისი ახსნა: ვიცი და კარგადაც ვხედავ, რომ მარკესი, როგორც დიდი მწერალი, ახალ, ყველასგან განსხვავებულ, რეალობას ქმნის, თუმცა ჩემთვის ამ მაგიურ რეალიზმზე ოდნავ მეტი წონა, ვთქვათ, ყაზბეგის ლიტერატურულ პრინციპებს აქვსო. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „თუ დაგივიწყო, ერუშალაიმისთვის“, „მეათე კაცისთვის“, „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისათვის“ და ჩვენი ინტერესის დღევანდელი ობიექტის, რომან „ელიგულა და ხავასთვის“, მწყობრ სიუჟეტურ ხაზზე აგებული თხრობა, გმირთა ცოცხალი დიალოგები, რეალურ მოვლენებთან უშუალოდ მიახლოებული ამბავი მკითხველისთვის ქმნის იმ ერთადერთ გარემოს, სადაც მას ყურადღების კონცენტრირება მწერლისთვის მნიშვნელოვან აქცენტებზე შეეძლება. რა აქცენტებია მაინც ეს? ებრაელობამ, როგორც დევნილმა ერმა, შეძლო საქართველოსთვის შეეფარებინა თავი, სადაც მას ცხოვრების გაგრძელების უფლება მიეცა; წარმართობის ნაცვლად მონოთეიზმის დამკვიდრებაში მას სერიოზული წვლილი აქვს შეტანილი; ჩვენი ქვეყნის ძლიერების დროს, თამარის ეპოქაში, „მოსაქმე და მოაზროვნე“ დიდვაჭრის, ზანქან ზორაბაბელის მსგავსი ავტორიტეტული პიროვნებები ჩნდებოდნენ და სათანადო როლსაც თამაშობდნენ პოლიტიკურ ავანსცენაზე; მეათე კაცის ამბავი სინამდვილეში უკვდავი იგავია ერთიანობისკენ სწრაფვის შესახებ, რაც თანაბრად სჭირდებათ ებრაელებსაც და ქართველებსაც; ებრაელთა საქართველოში არსებობის დასასრულს კი აუცილებელია მათი ქართული კულტურული სივრცის ორგანულ ნაწილად აღქმა და აქედან გამომდინარე ყველა იმ ქმედების შეფასება, რაც ებრაელებს ამ ქვეყნის სასარგებლოდ გაუკეთებიათ თუ ვერ გაუკეთებიათ.

„ელიგულა და ხავა“ XX საუკუნის დასაწყისის ცნობილ ისტორიულ პერიპეტიებზე, დამოუკიდებელი რესპუბლიკის წლებზე აგებული რომანია, რომელიც კიდევ ერთი და ამასთან სრულიად ახალი კუთხით წარმოგვიდგენს ებრაელთა და ქართველთა თანაცხოვრებას. „დიდი იმედების მსხვრევა“ შეიძლება ვუწოდოთ ამ პოსტილიასეულ პერიოდს, როდესაც ცოდნით, განათლებით აღჭურვილმა ილიას კვალზე მოსულმა თაობამ ახლებურად გაიაზრა არაერთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი და უკვე კონკრეტული მიზნისთვის, დამოუკიდებლობისთვის, დაიწყო ბრძოლა, თუმცა სულ მალე სოციალიზმით გამოწვეულმა ეიფორიამ (ზოგიერთი მკვლევარი მარქსიზმით საყოველთაო ინფიცირებასაც რომ უწოდებს), მასთან ერთად კი სოციალური რევანშის ძლიერმა ტალღამ იგი წალეკა და დაამარცხა. არის რამდენიმე პერსონაჟი რომანში, რომელიც გულწრფელად მიიჩნევს, რომ ქართველთა მიერ წამოწყებული პოლიტიკური ბრძოლების ორომტრიალში ებრაელი არ უნდა ჩაერთოს. და ამას ამბობს არა ვინმე, არამედ მთავარი გმირის, იოსებ ელიგულაშვილის, იგივე ელიგულას, მამა, ქალაქის ხმოსანი და პირველი გილდიის ვაჭარი, აარონ ელიგულაშვილი. ამასთან მამაც და შვილიც ჩვენი უახლესი ისტორიის ორი ცნობილი წარმომადგენელია, როგორც იტყვიან, ისტორიული პირია: „...წარსულზე ლაპარაკი იმით არი კარგი, იქნება მომავალი დაგვანახოს. ხო არ დაგავიწყდა, სპარსიც იყო, ოსმალოც, ამ ქვეყანას არავინ დაკლებია წამგლეჯად და მიწასთან გამასწორებლად, მაგრამ ყველაზე დაუძლეველი მტერი ვინ გამოდგა? — ელიგულა ყურადღებით შესცქეროდა მამას. აარონი დარწმუნდა, პასუხს ჩემგანვე ელოდებაო და განაგრძო — შენჩემობა, ჩვენში კანონში ის მოსწონთ, რაც თავად გამოადგებათ, დანარჩენს აბუჩად იგდებენ... ამიტომაც ვამბობ „მაგრამ“. მაგ „მაგრამს“ ვერც შენი პარტია მოერევა... ჯერ რუსეთს კი არა, საკუთარ თავს მოერიეთ, საკუთარ თავში ჩაკალით „მე მითქვამს და მე მინდაო!“ „შენი პარტია“ — ეს სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური ფრთაა, რომლის წევრიც ხდება ელიგულა. მოგვიანებით იგი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის მოადგილეა, ხოლო ბოლშევიკების თბილისში შემოსვლამდე სახელმწიფო ხაზინის გამყოლის რანგში ეროვნული განძის მეთვალყურესთან, ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად სამუდამოდ ტოვებს საქართველოს (მისი შემდგომი ბიოგრაფიაც მოვლენებით მდიდარი აღმოჩნდება. განსაკუთრებით ნაცისტების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის წლებში, როდესაც პატიმრობიდან მოგვიანებით „ქართველ შინდლერად“ წოდებული მიხეილ კედია გამოიხსნის და მერე მასთან ერთად ყველა ღონეს ხმარობს — მაგალითად, ქართველ ებრაელთა სემიტურის ნაცვლად ქალდეველური წარმომავლობის მტკიცება — ფიზიკური განადგურებისგან ებრაელთა დასახსნელად).

საკუთრივ ებრაელურ პრობლემაზე თუ ვისაუბრებთ, რომანში იგი წარმოდგენილია სიონიზმად, რომელიც, ფაქტობრივად, ამ ერის შვილების გამჭრიახობისა და გონიერების სასინჯ ქვად იქცევა (არსებობდა ერთი ნაწილიც, რომელიც საერთოდ უარყოფდა ებრაელთა გარედან მოსვლას, და საკუთარ თავს იუდაიზმზე გადასულ ქართველებად აღიქვამდა). საბჭოთა კავშირში სიონიზმი კაპიტალისტური სამყაროს მორიგ მზკვრულ ხრიკად იყო მიჩნეული. გამუდმებით გვესმოდა ლოზუნგი „ძირს სიონიზმი!“ (სწორედ ამ თემას ეძღვნება წიგნში რომანთან ერთად შეტანილი სამი მოთხრობიდან ერთ-ერთი, სახელწოდებით „ერთ პატარა დაბაში“). რომანში კი ეს ცნება არა მარტო განმარტებულია, არამედ მისი საქართველოში შემოტანის ზუსტი კოორდინატებიცაა მითითებული. ეს არის ევროპაში მყოფი ახალგაზრდა კონსტანტინე გამსახურდიას წერილი, რომელშიც იგი თბილისში მყოფ მეგობარს სწორედ სიონიზმისა და მისი შემქმნელის, ავსტრიელი დრამატურგისა და ჟურნალისტის თეოდორ ჰერცლის წიგნის „ებრაელთა სახელმწიფოს“ შესახებ უყვება. საგულისხმოა, რომ ეს წიგნი არა მარტო რომანის ერთ-ერთი კოლორიტული პერსონაჟის, შელომო ციციაშვილისთვის ხდება საეტაპო, არამედ ევროპაში განათლებამიღებული არაერთი ქართველისთვის, რომლებიც მიიჩნევდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ „ამ წიგნით ქართველებმაც უნდა ვისწავლოთ საკუთარი სახელმწიფოს შენება“. ერთი საუკუნე გავიდა ამ მოვლენიდან და ქართული პოლიტიკური მოღვაწენი ახლაღა ალაპარაკდნენ ისრაელის გამოცდილების გაზიარებაზე, თუმცა, ვფიქრობ, რომ ესეც, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, უსასრულოდ დაგვიანებულია და არავინ იცის, რა შედეგს გამოიღებს.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ გურამ ბათიაშვილი თანატომელთა უნაკლო საზოგადოებას ხატავს (საილუსტრაციოდ თუნდაც კიდევ ერთი მოთხრობა „სალოცავში“ გამოდგებოდა). ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს ეწინააღმდგება მის არა მარტო შემოქმედებით, არამედ პიროვნულ პრინციპებს. ამიტომაც რომანში რთული და წინააღმდეგობრივი დროის დინებაში მოქცეულ ებრაელთა თვითწვდომისა და თვითდადგენის არც თუ ისე მარტივი პროცესია ასახული. ბენციონ ხოტოველის მიერ „აგუდათ ისრაელის“, ასე ვთქვათ, პროქართული ორგანიზაციის შექმნა და იდეურად მისი მოწინააღმდეგე გაზეთის „ებრაელთა ხმისა“ და მისი რედაქტორის დავით ბააზოვის მოღვაწეობაც სწორედ ამითაა ახსნილი (დავით და გერცელ ბააზოვების ისტორია იდენტურია მაშინდელი ქართველი მოღვაწეების ბედისგან და ესეც ძალზე სიმპტომატურია). საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გურამ ბათიაშვილის მიერ XX საუკუნის დასაწყისის მშფოთვარე მოვლენები დაწყებული, პირობითად რომ ავიღოთ, თბილისის გადაწვისა და დატოვების გენერალ მიშლაევსკისეული ავანტიურისტული გეგმიდან, ვიდრე 1921 წელს თბილისის აღებისთანავე სერგო ორჯონიკიძის მიერ მოსკოვში აფრენილ დეპეშამდე (რომანის მთავარი გმირი ქალი, ხავა, ასე შიფრავს ამ დეპეშის ტექსტს: „თქვენი დავალება ძალიან კარგად შევასრულე, სწორედ ის გავაკეთე, რაც გეწადათო“) აბსოლუტურად ადეკვატურადაა შეფასებული. რა თქმა უნდა, კოლონიალური წნეხისგან გათავისუფლებული ქვეყანა, რომელიც თავის მომავალს წარმატებული ევროპული ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკებს დაუკავშირებდა, ქართველი ებრაელობისთვის ისევე სასურველი იქნებოდა, როგორც საღად მოაზროვნე განათლებული ქართველისთვის, რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელიც უნდა ყოფილიყო იგი. თუმცა ისტორიამ სხვაგვარად გადაწყვიტა, ამასთან დატოვა მძიმე და იქნებ გადაულახავი გამოცდილებაც, რომელიც რომანის ფინალურ ნაწილში ნამინისტრალ კანდელაკს ათქმევინებს: „მთავარი ხვალინდელი საქართველოა. ვინ მოვა ხვალ? თუ ისევ თქვენნაირი, ჩვენნაირი მოვიდნენ... — ხელი ჩაიქნია“.

რომანისტის ბედი ასეთია, დროებით უნდა გადასახლდეს, უფრო სწორად, შეაბიჯოს იმ ქრონოსში, რომლის შესახებაც წერას აპირებს, ამისთვის კი ხანგრძლივი მუშაობაა საჭირო. ამ მხრივ „ელიგულა და ხავა“, ისევე როგორც გურამ ბათიაშვილის სხვა რომანები, მოსამზადებელი ეტაპის მთელ სირთულესა და მიზანდასახულობას გვიჩვენებს. გარდა იმისა, რომ განსხვავებული რაკურსით წარმოგვიდგება პერსონაჟთა დინჯი თუ ნერვიული ნაბიჯებით გაზომილი სინაგოგის მიდამოებისა და ზოგადად ებრაელთა უბნის იერი, რომანის მხატვრულ ქსოვილში კონკრეტული დროის ინტიმური აღქმის მიზნით ჩართულია არაერთი დასამახსოვრებელი დეტალი, რომლებიც ნარაციის მთლიანობასა და სიცხადეს ქმნიან (ამ დეტალებზე მწერალთან ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ გამართულ შეხვედრაზე შემთხვევით როდი გაამახვილა ყურადღება მაია ტურავამ). მაგალითად, სამხატვრო სასწავლებლიდან გარიცხული ახალგაზრდა მაიაკოვსკის დასაცავად დები მიქელაძეების მიერ გამართული საპროტესტო აქცია, რომელსაც სასწავლებლის დირექტორის კაპიტულანტური შეფასება მოჰყვა: „ან ეგ მაიაკოვსკი უნდა დავაბრუნოთ, ან სწავლებაზე ვთქვათ უარი“; მოსკოვის სათვისტომოში ახალგაზრდული მაქსიმალიზმით გამართული ერეკლე მეორის ლიტერატურული გასამართლება; ქვეყნის ურთულეს მონაკვეთში ნოე ჟორდანიასა და ირაკლი წერეთლის გაჭიანურებული კამათი საქართველოს გერბის გარშემო: ქართული განძის ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირის, ელიგულას მიერ ყუთებზე წინდაუხედავად მიწერილი წარწერის „სავალუტო ქონების“ სასწრაფოდ გადაღებვა; ებრაელთა მიერ შეკეთებულ-შელამაზებულ სახლში ერთი პატარა კუთხის ხელუხლებლად დატოვების ტრადიცია, რომელმაც მეპატრონეს შორეული მოუწყობელი სამშობლო და ასეთივე დაულაგებელი საკუთარი ცხოვრება უნდა მოაგონოს და სხვა. ფონად კი ამ ყველაფერს გასდევს დიდი და გამანადგურებელი ცვლილებების მოლოდინით სახედაკარგული ქალაქის უტყუარი სურათები, რომლებიც კონსტანტინე გამსახურდიას „დიდ იოსებში“, ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში „შელოცვა რადიოთი“ ან სულაც ვახტანგ კოტეტიშვილის პუბლიცისტურ წერილში „ტფილისი“ გვაქვს ამოკითხულ-გააზრებული.

ამასთან, მკითხველს საშუალება ეძლევა, ახლებურად გაიაზროს ქართველთა და ებრაელთა თანაცხოვრების, როგორც, მართლაც, უნიკალური ფენომენის, კიდევ ერთი ასპექტი, რითაც ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმაც ებრაელობის ისტორიით დაინტერესებულთათვისაც საცნაური ხდება XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული ამბები. ესე იგი, გამოდის, რომ ქართველობა ეცნობა ებრაელობას, ხოლო ტექსტის თარგმნის შემთხვევაში კი ებრაელობის საშუალებით ქართველების საგაც უცხოელთათვის ხელმისაწვდომი ხდება.

თავად ავტორის დამოკიდებულებას საკუთარი ერისადმი რომანში თანმიმდევრულად გამჟღავნებული კრიტიკული პათოსიც, ანუ საღი და ფხიზელი აზრის გამ-



ოვლინება ქმნის (სხვათა შორის, აქ მახსენდება ზოგიერთი დღევანდელი ჩვენი სასულიერო პირის მსგავსად, რაბინებიც რომ არ ურჩევენ ახალგაზრდებს ხელობის დაუფლებას და არწმუნებენ: ლოცვა გიშველისო...). პარალელურად, დომინირებს მუდმივად ვარირებადი უჩვეულოდ ნათელი განცდა ებრაელობის უძველესი, არქაული წარმომავლობისა, რომელიც ბევრ ეპიზოდთან, გმირთა რეპლიკებთან, ავტორისეულ შეფასებებთან ერთად ჩანს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, იმ ორნამენტულ რელიგიურ ტერმინოლოგიაში, რომლითაც მთელი ტექსტია გაჯერებული. მაგალითად, ფესახი, ხანუქა, ესთერის წიგნი, შახრითი, ნეშამა, ხუმაში, ნიდუი, მინხა და დღევანდელი საქართველოსთვის განსაკუთრებით საგულისხმო „დორ ჰამითბარ“, რაც „უდაბნოს თაობას“ ნიშნავს... ამ ფონზე ბუნებრივად აღიქმება თამარის გადაწყვეტილებების ესთერის სიბრძნესთან, ხოლო ბოლშევიკების შესაგებლად თებერვლის იმ ცივ დღეს თეთრი ბაირაღით გამოსული პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის იერუსალიმის განადგურებისგან დამხსნელ რაბინებთან შედარება.

ორიოდე სიტყვა იმ სასიყვარულო ხაზზეც, რომელიც რომანს, როგორც ჟანრული აუცილებელობა, ახლავს და სათაურის პოეტიკაშიც იკითხება: ებრაელი ახალგაზრდები, ელიგულა და ხავა, როგორც ეს მაშინ ხშირად ხდებოდა, რთული და წინააღმდეგობრივი დროის გამო, ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკში აღმოჩნდებიან. ელიგულა, როგორც აღვნიშნეთ, მენშევიკია, ხავა კი, როგორც მას ერთგან ავტორი უწოდებს, „ბოლშევიჩკა“. ვინც იცის ამ ტრაგიკული დაპირისპირების ისტორია, დამეთანხმება, რომ იგი, ფაქტობრივად, გადაულახავი აღმოჩნდა. იდეოლოგიური მტრისადმი დაუნდობლობამ ბოლშევიკები იმდენად გააძლიერა, რომ ეს ენერგია მათ მომავალში საკუთარი თანაპარტიელების გასანადგურებლადაც ეყოთ. რომანში ამ შეუთავსებლობას სიყვარული აგვარებს, რომელიც რეალურად ფანატიზმით გაბრუებულ მასაში, ჩემი აზრით, უძლური იყო რამე შეეცვალა. თუმცა ავტორმა ასე ისურვა — სიყვარული, თუკი ის ნამდვილია — ყოვლისშემძლეა და ეს, როგორც იტყვიან, მისი არჩევანია. მკითხველს შეუძლია გაიზიაროს ან არ გაიზიაროს ეს მოსაზრება. რომანის ძირითად გზავნილს კი ეს მაინც ვერ ცვლის.

რომელი დეტერმინირება უნდა ავირჩიოთ: გურამ ბათიაშვილი — ქართველი ებრაელი მწერალი, ქართველი მწერალი თუ მხოლოდ ასე — მწერალი გურამ ბათიაშვილი. პასუხი ასეთ კითხვებზე, შესაძლოა განზოგადებების დიდოსტატთან, იოსებ ბროდსკისთან, ვიპოვოთ. აი, რას ამბობს იგი: „ადამიანი არ უნდა განსაზღვრავდეს საკუთარ თავს ისეთი აბსტრაქტული კატეგორიით, როგორიცაა ნაციონალობა. უფრო კონკრეტულ კატეგორიებს ვამჯობინებდი. მაგალითად, ვინ ვარ მე: მშიშარა თუ არც ისე; კეთილი თუ ძუნწი, პატიოსანი ვარ ქალებთან თუ არა. ჯერ ამ კითხვებს უნდა ვუპასუხოთ და ამის შემდეგ შესაძლებელია ამა თუ იმ ნაციონალობასთან, კულტურასთან, გეოგრაფიათან თუ ფილოსოფიურ კატეგორიებთან მიმართებით ჩვენი იდენტობის დადგენა. დაბნეულობა კი შეუძლია გამოიწვიოს რამ? თუკი წაიკითხე ჰეგელი ან ბერდიაევი, გამოდის, რომ უკვე კარგი ხარ ან თუ ებრძვი საბჭოთა სისტემას — მაშინაც სიკარგე გარანტირებულია, ანუ ობიექტური რეალობის არსებობა გათავისუფლებს თვითანალიზისგან. სინამდვილეში... ადამიანი უპირველესად საკუთარი ქცევების ჯამია...“. ჩვენს შემთხვევაში ამ შეფასებას მხოლოდ ნაწილობრივ გავიზიარებთ, ვინაიდან საქმე გვაქვს ქართულ-ებრაული ურთიერთობის, მართლაც რომ უპრეცედენტო შემთხვევასთან (გაიხსენეთ თუნდაც საბა კლდიაშვილი, გრიგოლ ფერაძე, მიხეილ კედია), ამდენად, გურამ ბათიაშვილის სახელს ზედსართავების გარეშე მაინც ვერ ვახსენებთ. დიახ, იგი ქართველი ებრაელი მწერალია, რომელიც ამ ტვირთს არ გაექცა და, თავისი საქციელითო, ბროდსკი რომ ამბობს, ანუ თავისი სამწერლო შრომით, რომელიც არის კიდევაც მისი საქციელი, ახდენს არა მარტო თვითგამოხატვას, არამედ ჩვენი აღქმებისა და დამოკიდებულებების კოორდინირებას. ესაა მისი ბედიც და მისიაც, რომელიც ჩვენ სულიერად მხოლოდ გვამდიდრებს...

ლევან ლორია

მამაო, შუქი როდის მოვა?

დასასრული

— ბრავო, ბრავო, უნაკლო შესრულებაა! და ვითომ რატო უნდა დავიმოკლო ხელები?

— საცოლეა ჩემი და დავაი, დაახვიეთ ახლა აქედან!

— ვაჰ, რა მაგარი მითხარი, ტო, არ გინდათ ჯვარი დაგწეროთ?!

ვინც ფრიდონი შეაჩერა, იმ ბიჭს ანიშნა, გაიწიეო და ავტომატის ჯერი მიუშვა. ლულამ თითქოს მართლაც ჯვარი გამოსახა ჰაერში. ფრიდონი დაეცა, კოშმარული სიზმარი მეგონა ყველაფერი. ვატყობდი, გონებას ვკარგავდი და სანამ თვალი დამიბნელდებოდა, ამ ბიჭისთვის თვალების ამოთხრა მინდოდა ფრჩხილებით. მისკენ წავედი, უცებ გამახსენდა, რომ ჯიბეში გუშინდელი წართმეული პისტოლეტი მედო, ამოვიღე, დავუმიზნე და ჩახმახს თითი გამოვკარი. სროლის ხმა არც გამიგია, ბიჭს ჯერ ავტომატი დაუვარდა და მერე თვითონ წაიქცა. მერე ვიგრძენი, როგორ მომხვდა თავში რაღაც და თვალით დამიბნელდა...

...თურმე ყველანი აქ არიან, მოხუცი მოორ, კოლონსკი, ფრანციც, მოხუცი დანიელ — ოღონდ კოკა არა, კოკა დაიჭირესო, ბატონო რეჟისორო, ეს ვინ მოგიყვანიათ კარლის როლზე, ფრიდონზე უკეთ ხომ ვერავინ ითამაშებს, დებილები, დეგენერატები, სულელები, ხმას არასოდეს გაგცემთ...

...რა გიჟები არიან, რატომ ფიქრობს ყველა, რომ გავაფრინე. რატომ გგონიათ, რომ ფრიდონი მოკვდა, ფრიდონი ახლა აქ არის, აი, ნახეთ, როგორი სიმპატიურია, რიჩარდ ბარტონს ჰგავს... მამაო, თქვენ ხო მაინც გესმით ჩემი, ხალხს ვერ ვაგებინებ, ყველას ჰგონია, რომ ეს უბრალოდ რუბიკის კუბიკია, ის ხო ჩემი ფრიდონია, იცით, ცოტა მორიდებულია და სიტყვაძუნწი, მაგრამ სამაგიეროდ ვიოლონოზე უკრავს და იცით, რა ტკბილად მიმღერის My Way-ს. იცით, მამაო, მე ვიცი, როგორ ავაწყო, თუ დამეშალა ჩემი ფრიდონი, პირველად ჯვარს გავაკეთებ, მერე კუთხის კუბიკებს, მერე ორ ზოლს და ბოლოს ისევ ჯვარი, ჩვენ ჯვარი გვინდა, დავიწეროთ. ხო დაგვწერთ ჯვარს, ანუ თქვენც უარს გვეუბნებით... თქვენ შეიძლება უარი გვითხრათ, მაგრამ ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით. ის მაინც გვითხარით, მამაო, შუქი როდის მოვა...

— ქეთ, საყვარელო, ნანკა ვარ!

— ნანკა...

— ქეთ, გესმის ჩემი?!

— ნანკა, სად ვარ?

— ქეთ, გესმის ჩემი, ქეთ, მიხაილოვის საავადმყოფოში ხარ, თხუთმეტი დღე გათიშული იყავი, წეღან კი ბოდავდი, რუბიკის კუბიკზე ჯვრის დაწერა მინდაო, თითქოს მამაოს ეხვეწებოდი, კიდევ კარგი, დედაშენი არ გისმენდა, მაგრად დამაფრთხე.

— დედა სად არის?

— დღეს მე ვმორიგეობ შენთან, დილით შევცვალე!

— ვინ მამაოს ვეხვეწებოდი ჯვრის დაწერას?

— აქ ფრიდონი იყო, მისი ხელი ხელში გეჭირა და რუბიკის კუბიკი ჩემი ფრიდონიაო, მამაოო, ეუბნებოდი! ის კი ტიროდა, ასე კაცი ცრემლებს აღვარღვარებდეს, არ მინახავს ჯერ, ტარიელი მონაგონია.

— ნანკა, როგორ თუ ფრიდონი, ფრიდონი ხო მოკვდა! ჩემი თვალით ვუყურებდი, ავტომატი როგორ დააცალეს!

— არ მომკვდარა, გადარჩა. ფეხში და ხელშია დაჭრილი, ერთი კვირაა, გამოწერეს საავადმყოფოდან, იმის მერე არ მოგცილებია, ყოველდღე აქ არის. ახლახან გავიდა, ცოტა ხანში მოვალო.

— მატყუებ, ნანკა?!

— არ გატყუებ, აბა, რატომ უნდა მაგატყუო!

— მე რა ვიცი, გეცოდები, ისევ გონება რო არ დავკარგო ალბათ!

— არ გატყუებ-მეთქი, შენებს თეატრში როგორ ყვარებიხარ, ყოველდღე მოდიან და გეფერებიან, ეს სვეტა რა საყვარელია, მოვა და სისხლი ხო არ გინდათო, გვეკითხება.

— ის ბიჭი, მე რომ ვესროლე?

— გადარჩა, მხარშია დაჭრილი, შენ რომ თავში ავტომატის კონდახი ჩაგარტყეს, სპეცნაზი შემოცვენილა დარბაზში, დირექტორს დაურეკია, მისი ძმაკაცი ყოფილა იმათი უფროსი და ყველანი აიყვანეს, კოკაც, ვერც მამამისმა უშველა.

— ნანკა, სიმართლე მითხარი რა, ფრიდონი მართლა ცოცხალია?

— უიმე, ცოცხალია-მეთქი, გოგო. იცი, საერთოდ ხმას არ იღებდი, ექიმებმა ჩუმად მითხრეს, დედაშენს რომ არ გაეგო, შეიძლება, გონება არც დაუბრუნდეს და შეიძლება, ვერც ილაპარაკოსო. იცი, როდის ამოიღე ხმა? ფრიდონმა დღეს ხელი მოგკიდა ხელზე და არ გინდა, ქეთ, კუბიკი მოგიტანოო, გითხრა და უცებ ბოდვა დაიწყე! რატო ტირი, ქეთ...

მოდი და ნუ ატირდები, პალატის კარში ხელშეხვეული, ყავარჯნიანი ჩემი ფრიდონი იდგა და მიყურებდა, საღ ხელში აუწყობელი რუბიკის კუბიკით და თვალზე ცრემლით...

დალილა ბედიანიძე



* * *

აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს.
ისე ვარ, როგორც საახალწლო ნაძვის ხე ნაახალწლევს,
რომელსაც საქორწინო სამოსელი გახადეს
და მტვრიან საკუჭნაოში გამოკეტეს ყინვა-ყიამეთში.
დამთავრდა ჩემი დღესასწაული
და სიტყვების სამოსელი შემომეხა
ყინვის ეკლებით.
აღარ ბრჭყვიალებს ჩემს თავზე ვარსკვლავი
და აღარც საახალწლო სიმღერებით მესალმებიან.
მე კი მაინც ვდგავარ, რადგან სხვაგვარად არ ძალმიძს.
მალე გაირბენს ეს წელიწადიც
და ვიცი, ისევ გამიხსენებენ,
ისევ მომრთავენ და ახალი წელიც
ისევ ემგვანება მხიარულ ქორწილს,
მე კი უკვე მოკლული
სიხარულს ვეღარ ვიგრძნობ,
არამედ გულზე დავიკრეფ ტოტებს
და ვარსკვლავებით დაჭორფლილ ზეცას მივაჩერდები,
რათა კარგად დავინახო გზა,
რომლითაც ჩემი სული შარშან ცაში ავიდა
და უკან აღარასოდეს დაბრუნდება.

* * *

ხეების ფოთლებზე ლექსები წერია
და ამ ფოთლებს წიგნის ფურცლებივით
ფურცლავს ქარი
და ხმამაღლა კითხულობს ლექსებს
შუაგულ ტყეში,
სადაც ბევრია მსმენელი და გამგონებელი.
ყვავილებზეც ლექსები წერია
და ლექსის ბოლოს მითითებულია ავტორი,
მაგალითად, გვირილა, ყაყაჩო, ია
და ფუტკრები ერთგული, დაუღალავი
მკითხველები არიან
და საზრდოობენ ლექსების ნექტრით
და სკაში ერთმანეთს უყვებიან,
ვინ საიდან მოიტანა ლექსების თაფლი.
ხეების ფოთლებზე ლექსები წერია
და ტყე ჰგავს თეატრს —
სცენაზეა ქარი — დიდი მსახიობი.

* * *

სუფთა ფურცელი ჰგავს ბრკეს,
რომელიც ღვინოს მოუგდია ქვევრის თვალში.
ხელი გადავუსვი სუფთა ფურცელს
და ღვინოს ბრკე გადავაცილე
და ქვევრის თვალიდან ლექსმა შემომცინა.
მზის თვალს ღრუბელი ფარავს,
როგორც ქვევრში ღვინოს ბრკე.
ქარმა ხელი გადაუსვა ღრუბელს
და ბრკე გადააცალა
და მზის თვალმა შემომცინა.
დაღვინებამდე დუღს სულში ლექსი,
როგორც მაჭარი, ნაპერწკლებს ისვრის
და მათრობელა, სურნელოვანი
ისმევა, როგორც წყალი უკვდავებისა,
რომელსაც ხავსი გადააცილა ჩემმა ხელმა.
ჰგავს ეს ბრკეს გადაცლა,
ეს ხავსის გადაცლა
თვალის ახელას
და მე ვხედავ ზღაპრულ სამყაროს,
ჯადოსნურ სამყაროს
და გამომწყვდეული ვარ ლექსში,
როგორც ღვინიან ქვევრში
და სუფთა ფურცელი აღარ მაშინებს
როგორც შეკრული ცა —
ბრკეს გადავაცლი და ლექსად გაიხსნება.

* * *

თეთნულდის თავზე კოტორ ნისლს სძინავს,
მიძინებულან უშბა და შხარა
და მიგრუხუნებს მწვერვალთა ძირას
აზავთებული ზვავების ხანა.
მიძინებულა თერგი და მტკვარი,
ბებერ რიონს და ენგურსაც სძინავს.
თუმც — მძინარეა და არა მკვდარი
ყველა და სძინავთ და ძილში სცივათ.
წინ სიფხიზლეა და გაბრწყინება,
ოღონდ არ ვიცით, როდის და როგორ.
ვითმინოთ — ღმერთმა ასე ინება —
და მომავლისთვის ძალა დავზოგოთ.
გამოვიზამთრებთ, როცა იქნება,
გამოიღვიძებს შეძრული სული.
ვის ქება ხვდება, ვის — განქიქება,
ვინ — მოსულია, ვინ კი — წასული.
როგორც მძინარე მზეთუნახავი,
გამოიღვიძებს ასი წლის შემდეგ
ჩემი სამშობლო, რომელსაც თავი
მწვერვალზე უდევს, ეხვევა ქედებს.
მოჯადოებულ ქალწულის მსგავსი
ჩემი სამშობლო ჯერ ღრმა ძილშია
და უფლისწული — ღირსებით სავსე,
გამოაღვიძებს ქართველს ჯიშიანს.

* * *

ორმოცი წელი მეგონა ბევრი,
ახლა სამოციც მგონია ცოტა.
ვარ გრძნობით სავსე, ვით ღვინით — ქვევრი,
უსიყვარულოდ ცოდვა ვარ, ცოდვა.
დღეები მიდის, დღეები მოდის,
მეც ნაშუადღევს მივუკაკუნე.
და დამთავრდება ჩემი გზა როდის
არ ვიცი, ცხვრისებრ მივაბაკუნებ.
რამდენ რამეზე დამწყდება გული,
რამდენი რამე ვერ მოვასწარი.
როგორ დავკარგე ის უფლისწული,
რომელმაც შექმნა ჩემი ზღაპარი.
ორმოცი წელი მეგონა ბევრი,
აღარც ცოტაა, კეთილო ჩემო —
და ტრიალდებდა ჩემს თავზეც კევრი,
მაინც გავუგე ცხოვრებას გემო.
ორმოცი წელი მეგონა ბევრი,
ორჯერ ორმოციც არ ვიცი, დარჩა?
მე მაინც მივქრი და მივიმღერი,
ო, ჯერ-ჯერობით ფინიში არ ჩანს.

* * *

„ამ საწუთროსი როა კანონი:
უკან წინანი!
წინ უკანანი!“
მუხრან მაჭავარიანი

ეს ქვეყანა აირია,
ვინ წინა და ვინ — უკანა.
ის აღარ ჩანს, ვინც წინ ჩანდა,
ახლა უკანანი ჩანან.
რათა კარგად დაალაგო,
აურიო უნდა კარგად
და პასუხიც იმან აგოს,
ვინც კარგად ვერ დაალაგა.
ასე იყო, ასე არის
და იქნება ალბათ ასე —
წინ მწვერვალებს ებრძვის ქარი,
ქარი — ჩემი ცოდვით სავსე.
რომ ქვეყანა კარგად მართო,
უნდა სცვალო მართვის ხერხი.
მომავლებს ეს მხოლოდ ართობთ,
არ უნახავთ მათ ჯერ მეხი.
მომავლებმა რა იციან,
მათ ჰგონიათ — ასე უნდა.
დრო იცვლება — გაიცინა
ბრძენმა მასხარამაც მრუდად.
და დრო კიდევ შეიცვლება
და თუკი არ დაიზარა,
კოჭლი ცხვარიც, შეიძლება,
რომ მოექცეს თავში ფარას.

მიპატიებია

მიღალატე და მიპატიებია,
რადგან ჩემს სულში მაგ თვალთა იებია.
მომატყუე და მიპატიებია,
რადგან შენზე გული არ გამციებია.
დამივიწყე და მიპატიებია,
რადგან ჩემს ზეცაზე შენი მთიებია.
ჩემი ცრემლები მიპატიებია,
უძილო ღამეები მიპატიებია,
ჩემს დარდს შენი სახელი ჰქვიებია,
დარდისთვის საშველი ვერ მიძიებია,
ბევრჯერ მწყურებია, ბევრჯერ მშიებია,
ჩემი მოთმინებით გამიკვირვებია
ყველა და საქმე არ გამიჭირვებია.
მიღალატე და მიპატიებია,
შენ რომ მაჩუქე, ეს ის იებია.
როგორ მენატრები, როგორ მენატრები,
თურმე უშენობა როგორ მტკიებია.
დაბრუნდი! — ვლოცულობ წინაშე ხატების —
შენთვის ყველაფერი მიპატიებია!

პანაშვიდის ყვავილები

პანაშვიდის ყვავილები ჯერ კიდევ სამი დღის წინ
ცოცხლები იყვნენ და ბაღში იდგნენ
და ზეცას გულუბრყვილო თვალებით აჰყურებდნენ
და მათი ფესვები მიწის საიდუმლოს ეზიარებოდნენ,
ახლა კი აქ დგანან, მხარდამხარ, შეკონილი,
როგორც მგალობელთა გუნდი
და დაწყვეტილი ფესვებიდან თეთრი სისხლი სდით
და გულუბრყვილო თვალებით
კუბოს აჰყურებენ
და შიშით ეკვრიან ერთმანეთს.
ეს მიცვალებულიც ჯერ კიდევ სამი დღის წინ
ცოცხალი იყო
და გულუბრყვილო თვალებით ზეცას აჰყურებდა.
გალობენ პანაშვიდის ყვავილები „სულთა თანას“,
უხმოდ გალობენ
და მათი ხმები მხოლოდ მიცვალებულს ესმის,
რომელიც უკვე მოწყვეტილი ყვავილია
და სხვა სამყაროს ბინადარია.
ირგვლივ — ლანდები, ირგვლივ — ცრემლები,
ირგვლივ პანაშვიდის ყვავილები, როგორც სტუმრები,
სასაფლაოზე რომ გაყვებიან მიცვალებულს
და საფლავს დაფარავენ და ზედ დააკვდებიან
და გაახსენდებათ მიწის საიდუმლო,
რომელსაც ფესვებით ეზიარნენ.

სპაიდერმენები

სპაიდერმენებს ჰგვანან პოეტები,
რომლებიც სათქმელის სალ კლდეებზე დაცოცავენ
და როგორც გიგანტური ობობები
სტრიქონებს ქსელად ხლართავენ
და ლექსად აქცევენ.
სპაიდერმენებს ჰგვანან პოეტები,
მოქნილები, ძლიერები და იდუმალები,
სიტყვებით დატვირთულნი
ბეწვის ხიდზე რომ გადიან.
და ყოველ წუთს ჩავარდნა ელით
მღვრიე, დაუნდობელ მდინარეში.
მათ სხვა გზა არ აურჩევიათ.
ისინი სპაიდერმენებად დაიბადნენ.
სპაიდერმენებს ჰგვანან პოეტები
და ყოველდღე ახალ-ახალ სიმაღლეებს იპყრობენ
და ვაი იმას, ვისაც სიმაღლე თავბრუს დაახვევს
და ჩამოაგდებს...
ყველა პოეტი ლამაზია — ყველა სპაიდერმენი ლამაზია
და არ ბეზრდებათ მაღლა-მაღლა სიარული
და ისინი კი არ კვდებიან,
ისეთ სიმაღლეზე ადიან,
სადაც კაცის თვალი ვერ წვდება ხოლმე.



პაატა ჩხეიძე

ნოველები რომანისათვის

უყვართ ჩვენში უქმი კამათი და ვკამათობთ ანუ ვმსჯელობთ საკითხზე, არის თუ არა ბიოგრაფიული რომანი — რომანი!

ვთქვათ, რომელიმე ლიტერატურული კონკურსის ჟიური, სადაც საუკეთესო რომანი უნდა გამოარჩიონ, თავს იმტვრევს, უნდა დაუშვან თუ არა კონკურსზე ბიოგრაფიული, ან მხატვრულ-დოკუმენტური რომანი, ან მრგვალი მაგიდის მონაწილენი დავობენ, უნდა შემოვიდეს თუ არა დისკუსიაში „ნონფიქშენი“ „ფიქშენის“ გვერდით.

ეს ერთგვარი ლიტერატურული სეგრეგაცია ხშირად შეეპარებათ ხოლმე ჩვენი ლიტერატურის პრობლემებზე მსჯელობისას, მაგრამ ამაზე ვეღარ შევჩერდები, მთავარი ისაა, რომ ბიოგრაფიული რომანი და დოკუმენტური პროზა ძალზე პოპულარული გახდა პოსტმოდერნულ ეპოქაში და დღემდე ასე მოვიდა. რაა ამის მიზეზი? ისტორიისაკენ მიბრუნება და დაინტერესება? პოსტმოდერნული სუბიექტივიზმი თუ ინტერტექსტუალობის სიყვარული? შეიძლება ერთიც, მეორეც და მესამეც და კიდევ სხვა რამაც, და ალბათ ამასაც გამოიკვლევენ მკვლევარები, მთავარი ისაა, რომ ბიოგრაფიულ რომანს მკითხველი გაუმრავლდა დასავლეთშიც და ჩვენშიც და სასიხარულოა, რომ „იზმების“ არადჩამგდებ მწერლებს მივიწყებული სახელების გამომზეურების შესაძლებლობა ეძლევათ.

კრიტიკოსისათვის უფრო საგულისხმო თხზულისა და არათხზულის მიმართება უნდა იყოს. ბიოგრაფიული რომანი დოკუმენტურ პროზას განეკუთვნება და თავისი სპეციფიკა აქვს. აქ მწერლის წარმოსახვა ფართოდ ვერ გაშლის ფრთებს, სიზუსტე მოეთხოვება და, რაც უფრო ბევრი რამაა ცნობილი პროტაგონისტზე, რაც უფრო ახლოსაა ჩვენს დროსთან, მით უფრო ეზღუდება მწერალს წარმოსახვა და ქრონიკის ჩარჩოებით იზღუდება. სწორედ აქ ცდილობს მწერალი მწერლად დარჩეს და ისტორიკოსად არ გადაიქცეს. თუ მწერალი არათხზულში შეთხზულ ამბავს შეიტანს, ამბავს, რაც არ მომხდარა რეალური პირის ცხოვრებაში, იგი არღვევს არათხზულის კანონს და ერთხელაც იქნება ამხელენ. მაგრამ თხზულისა და არათხზულის საზღვრები მაინც ვერ იქნება მკაცრად განსაზღვრული, თუკი ორივე მწერლობაა და არა ისტორიული მატიანე ან ქრონიკა.

საქმე ისაა, რომ თხზულში მხატვრული ლიტერატურის (ამ შემთხვევაში პროზის) ჟანრები შედის, არათხზული ლიტერატურის საზღვრები კი უფართოესია, აქ ყველაფერია: ბიოგრაფია, ბიზნესი, მზარეულობა, დეკორაცია, დიზაინი, ცხოველებისა და მცენარეების მოვლა, მოგზაურობა, გენდერი არ დამავიწყდეს... მაგრამ თუმცა ყოველივე ეს ლიტერატურად იწოდება, და თუნდაც კარგად იყოს დაწერილი, მწერლობაში ვერ ჩაითვლება. ამიტომაც განასხვავებენ ხოლმე მწერალსა და ავტორს.

მწერლობა წარმოსახვის გარეშე არ არსებობს და, თუნდაც უმკაცრეს ჩარჩოებში მოაქციო მწერალი, მისი წარმოსახვა მაინც მოქმედებს, მაინც მუშაობს და აწესრიგებს არათხზულის გზებსა და ბილიკებს.

თუ ბიოგრაფიული რომანი რომანია, მაშინ მწერლობა უნდა იყოს და მკითხველიც უნდა ჰყავდეს, არა „სპეციალისტი“ მკითხველი, არამედ მწერლობის მკითხველი, გემოვნებიანი მკითხველი, ვინც გთხოვს ჭეშმარიტი ლიტერატურა მიართვა და ვის თვალსაც სიყალბე არ გამოეპარება. მას უგემური არა უნდა მიაწოდო რა, არ უნდა მოაწყინო და წიგნი ხელიდან არ უნდა გააგდებინო.

და ეს ძნელი არაა, როცა სოლომონ აშორდიაზე წერ ან თუნდაც აკაკი წერეთელზე (ამათ ერთად რა უნდოდათ? მაგრამ ორივე მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობდა, ოღონდ სხვადასხვაგვარად...), მაგრამ როცა სამსონ თოფურიაზე წერ ან სვიმონ გიორგის ძე წერეთელზე, მაშინ რაღა უნდა ჰქნა? რა უნდა დაწერო ამ მშვიდ, კონსერვატორ ადამიანებზე, პატიოსნად და მეტ-ნაკლებად უხმაუროდ რომ გაატარეს თავიანთი სიცოცხლე?

სწორედ სვიმონ გიორგის ძე წერეთელზე დაწერა ბიოგრაფიული რომანი, „მარშალი და მარშლის შვილი“, ელგუჯა თავბერიძემ. ჰო, აშორდიაზე დაწერილმა რომანმა გამოიწვია ეს ახალი რომანიო, გვაუწყებს „მინაწერში“; პეტრე ვაჭრიძემ შემაგულიანაო და ჰე, მაინც რა უნდა დაწერო სვიმონ გიორგის ძე წერეთელზე ისეთი, რომ მკითხველისაკენ ემოცია მიმართო და შეძრა, გულისხმა გაუღვიძო?!

მასალები, ოქმები, გადმოცემები, გაზეთები, მოგონებები... მოაგროვე და აკინძე, საპატიო და სანაქებო საქმეა, მაგრამ ამით ემოციას ვერ აღძრავ, მწერლობაში ვერ შემოხვალ, რომანს ვერ დაწერ.

ანდა გაჰყვები სვიმონ გიორგის ძე წერეთლის ცხოვრებას, მოგვიყვები ამ პატიოსანი კაცის შესახებ. მაგრამ როგორ უნდა დაგვაინტერესო, თუნდაც ცრემლი მოგვგვარო ორი ვაჟის დამკარგავი კაცის ცხოვრების გადმოცემისას?

სათავადაზნაურო კრებები, რუსთხელმწიფის სამსახური, ოღონდ მაინც ქართველთა საკრებულო და საქართველოზე ფიქრი და ზრუნვა. მაგრამ აქედანაც რა უნდა გამოწურო საგულისხმო და საინტერესო მკითხველისათვის, რომანის მკითხველისათვის — ვერაფერი, რადგან თვითონ პერსონაჟი არაა ფათერაკებიანი და მებრძოლი კაცი.

„სვიმონ გიორგის ძე წერეთელი... თანადროული და წინაპარი მოგვარეებისაგან ამითაც გამოირჩეოდა — რბილი ხასიათის, მიმნდობი, ლმობიერი და დამყვავებელი ბუნების, ტკბილად მომუსაიფე თავადი ბრძანდებოდაო — იხსენებდნენ თანამედროვენი.“

ამისთანა კაცს კაი სადღეგრძელოს კი ეტყვი, მაგრამ საყურადღებო რა უნდა დაწერო მასზე, თუ რაიმე დიდ ფათერაკში არ გაება; და საქმეც სწორედ ისაა, რომ გაება და მაგრადაც გაება, სოლომონ აშორდიას თაღლითობისა და მაქინაციების მსხვერპლი გახდა, უნებური მსხვერპლი, — თავადაზნაურთა მარშალი შენ იყავი, ყველაფერი შენს თვალწინ ხდებოდა და ვერაფერი დაინახეო, თვალი შეგნებულად ხომ არ დახუჭეო... დანაშაულებრივ დაუდევრობაში და მოვალეობისათვის თავის არიდებაში დაედო ბრალი და გაგრძელდა სასამართლო პროცესი...

ვინც იცის თუ რას ნიშნავდა აზნაურის წოდების მიღება, ეგებ იფიქროს კიდეც, სწორადაც თვალს დახუჭავდა ეს პატიოსანი ქართველი კაცი, რატომ არ ენდომებოდა, რომ ქართველებს რუსული სახელმწიფოსაგან დახმარება მიეღოთ და რაც მეტი მიიღებდა მით უკეთესიო...

მაგრამ ეს ყველაფერი სასამართლო საქმის მასალებია და რომანის მკითხველის ყურადღებას ვერ მიიპყრობს, ვერ მოახედებს, ვერ ჩააღრმავებს თავის სიღრმეში, იმიტომ, რომ სიღრმე არა აქვს, ყველაფერი ზედაპირზეა.

მოკლედ არაა სიმონ გიორგის ძე წერეთელი სარომანე კაცი და ან რა რჯიდა, ან რა უნდა ექნა ელგუჯა თავბერიძეს, რა გზას უნდა დადგომოდა, რომ რომანი გამოსვლოდა?!

მწერალია და ისევ წარმოსახვისათვის უნდა მიემართა, მწერლური თვალი გაეღვიძებინა და ამ ურიცხვსა და მოსაბეზრებელ მასალებში ემოციის აღმძვრელი ეპიზოდები აღმოეჩინა; აღმოეჩინას ვამბობ, მაგრამ თუ არ იცი ეს როგორ ხდება, ვერაფერსაც ვერ აღმოაჩენ, ისე გაგეპარება ხელიდან ამბავი, რომ აზრზეც ვერ მოხვალ, რა ძვირფასი რამ დაჰკარგე.

მოკლედ ამბავი მთავარია, და მერე იმ ამბიდან ხასიათი უნდა გამოარჩიო და ფრთხილად ამოქსოვო ეტიუდი იქნება თუ ნოველა, ერთი, ორი, სამი, ბევრი... მერე დაალაგო, სიუჟეტში ჩააწყო და რომანიც სახეზეა. რომანი ხომ სიუჟეტი და ხასიათებია, მთავარი ხომ ესაა რომანში! ამას ადრეც ხომ ამბობდნენ ლიტთეორიაში და არც ახლა უარჰყოფს თანამედროვე ნარატოლოგია, არც ლინეარული თხრობა და არც — არალინეარული...

„გოთურმანის“ ეტიუდს მძაფრი სატირა უდევს საფუძვლად. კოწია დადიანის ხუმრობას, თუ როგორ გაისტუმრა ერთხელ აბეზარი სტუმარი გოთურმანის თამაშით, აუხდენელი ნატვრა და პასიური სევდა მოჰყვება: „თათრებთანაც რომ მათამაშა გოთურმანი და კავკასიონს ქედს იქით გადამარეკინა — რა უნდოდათ თათრებს კავკასიონის ქედს გადაღმა ამას აღარ აკონკრეტებდა კოწია — ჩემს ბედს ძაღლი არ დაყეფდა. ისინიც სტუმრად მოვიდნენ თავიდან, მერე გაბატონდნენ და გამასპიძლდნენ, ჩავკეტავდი დარიალის გზას და... ეჰ, მაგათთან მათამაშა გოთურმანი და მომკლა მერე... — იტყოდა და გულს ამოაყოლებდა.“

მეორე ეტიუდი, სხვისთვის არ ვიცი და, ჩემთვის ტრაგიკომედიაა; ბრაზითა და სირცხვილით მადუღებს ფუნქციადაკარგული და გადაგვარებული თავადის იდიოტიზმამდე მისული სისულელე; თავადისა, ვინც აზნაურებს უნდა გასძღოლოდა ბრძოლაში და მტრისა და საკუთარი სისხლი ეღვარა, სახელი და მამული ეშოვა, ახალ მიწებზე გლეხები დაესახლებინა და გაელაღებინა; ასე ხდებოდა წინათ, ახლა კი:

„თადეოზ აბაშიძეს ვარდიგორაში სასახლე ჰქონია; იქიდან ზღვა ჩანდაო. მამა-პაპიდან მოდევნებული სიმდიდრით განცხრომასა და სიტკბოებაში ათენაღამებდა... გლეხებში ჩაჯდებოდა და მღეროდა — შორს, ძალიან შორს გაუშვებდა ხმას, სხვები მისდევდნენ, ვერც მისდევდნენ, მერე ნელ-ნელა ისევ დაიბრუნებდა, მიწაზე ჩამოიყვანდა, თითქოს მთა-გორები შემოატარა, მოაგუმბათა ხმის სამრეკლოო, დამიწებულ ხმაზე უკეთესად ეწყობოდნენ. ვინც ძალიან კარგად იმღერებდა, უსაჩუქროდ არ დატოვებდა: — ერმილემ ისე იმღერა, მისი ხმა ისე დამედევნა და ამომიდგა გვერდით, ალალია, წალაზე რომ ყანა მაქვს, ვუფეშქაშოო.“ ასე დაჰკარგა მამულები, ცენზიც და ხმის უფლებაც საკრებულოში და გაოცებულია, რას მერჩოდნენო.

აი, ეს ამბავი კი მართლაც სანოველეა: ყვირილას გაღმა-გამოღმა ნაპირზე მცხოვრებნი წყალს იყოფენ და ვერ გაუყვიათ; „ყვირილას გაღმა ნაპირი როდის და ვინ უბოძათ ლეჟავებს, არ ვიცით, გამოღმა საყვარელიძეებს ეკუთვნოდა, ზაფხულში წყალს შუაზე ყოფდნენ, ჯერ სიგანეზე, ნაბიჯებით გადაზომავდნენ, მერე მთელ სიგრძეზე ქვებს ყრიდნენ. ადიდდებოდა მდინარე, წაიღებდა ქვებს. ერთხანობა სარებსაც ასობდნენ, იქითა ლეჟავებისა იყო, აქეთა საყვარელიძეებისა. შემოდგომით, ხანდახან მანამდეც, მიჟინებული წვიმების დროს, წყალი მოიმატებდა, სარებს მოთხრიდა და წაიღებდა. ზაფხულში, ისევ, ხან ქვით, ხან სარებით, ხან რით და ხან რით ღობავდნენ.“

ეს კომიკური ეტიუდი სინამდვილეში მძიმე გასაჭირია ქვეყნისა, რომელმაც სახელმწიფოებრიობაც დაჰკარგა, თემობაც, სამართალიც და მოსამართლეც. ამ სადავო საკითხს იოლად გადაჭრიდა ქართული სამართალი, მაგრამ რუსთხელმწიფის სამართალს რა ენაღვლება, პირიქით — უხარია, რაც უფრო მეტად დაჭამენ ერთმანეთს ქართველები და რაც უფრო მეტად სასაცილონი და უგუნურნი გამოჩნდებიან.

„ტრაგიკულად დასრულდა ერთი დიდებული თავადური ოჯახის ისტორია“, წერს წიგნის დასასრულს ელგუჯა თავბერიძე და მკითხველი მადლიერი რჩება მწერლისა, რომ ამ თავადის ისტორიის მოთხრობისას არ მოგვაწყინა და განგვაცდევინა სევდა კაცისა და აღარ ახსოვს კამათი საკითხზე, არის თუ არა ბიოგრაფიული რომანი — რომანი!



ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი

რეზო თაბუკაშვილი

რეზო თაბუკაშვილი მწერალთა იმ თაობას მიეკუთვნება, რომელიც ლიტერატურულ ასპარეზზე მაშინ გამოჩნდა, მოთხრობებს, და ზოგადად კულტურას, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები რომ შთანთქავდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში სულ სხვა თემები იყო აქტუალური...

თუმცა, იმავე საუკუნესა და ეპოქაში მაინც ბევრი რამ ხდებოდა საინტერესო — მათ შორის, ჟურნალი, რომლის გამოცემაც სწორედ რეზო თაბუკაშვილის ოჯახმა ითავა და რომლის რედაქტორის მოადგილეც თავადვე იყო — „XX საუკუნე“.

დადგა ახალი საუკუნე და „ახალი საუკუნეც“ ორ ენაზე გამოჩნდა.

მაშინ მართლაც საკვირველი ამბავი იყო ინგლისურენოვანი ჟურნალის გამოცემა და კიდევ უფრო გასაკვირი — ორმოცდაცხრამეტი ავტორის სხვა სამყაროსთვის გაცნობა.

ასეთი გასაოცარი ამბებიც ხდებოდა საქართველოში.

პირველი წიგნი 1999 წელს გამოსცა („ავტობიოგრაფია პროფილში“), რასაც „არასაფრენი დღეები“ მოჰყვა, მოგვიანებით ვიხილეთ დოკუმენტური პროზის ჟანრში მის მიერ შექმნილი „დაულაგირი. ABC (ანაპურნას საბაზო ბანაკი)“, 2009 წელს რჩეული — „მზეო არ ამოხვიდე“, 2012-ში კი — „გემების ჩრდილქვეშ“, რომელმაც მკითხველისთვის მანამდე ცნობილი მოთხრობები გააერთიანა. წერდა კინოსცენარებს, ტელევიზიით მისი რამდენიმე საავტორო ფილმიც გადაიცა.

გარკვეული პაუზის შემდეგ რეზო თაბუკაშვილი მკითხველის წინაშე ერთდროულად ორი წიგნით წარსდგა — პროზაული კრებულითა („მესამე თვალი“) და რომანით („13 დღე“). ინტერვიუც სწორედ ამ უკანასკნელზე საუბრით დავიწყეთ.

„გახედვაც არ უნდათ უკან“

— ბატონო რეზო, პირველი კითხვა თქვენი ბოლო რომანის — „13 დღე“ — შესახებ მინდა, დაგისვათ. როდის გაგიჩნდათ ამ ჟანრის ნაწარმოების შექმნის იდეა და ეს რაიმე ფაქტორით იყო თუ არა განპირობებული?

— ზოგიერთი მოთხრობის, ანდა რომანის დაწერა, შეიძლება, განპირობებული იყოს რაღაცით, რასაც ერთი, ცალსახა მიზეზი აქვს. მაგალითად, მოთხრობების შემთხვევაში, ხშირად კონკრეტული რამ გამხდარა გამომწვევი. რასაკვირველია, ჩემს რომანსაც აქვს თავისი წინაპირობები — მაგალითად, გოგო, რომელსაც ჰყავს პროტოტიპი, თუმცა ეს ყველაფერს ახლავს და ლოგიკურიცაა. მწერალი ყოველთვის გარემოსგან იკვებება და შემდეგ ცდილობს, დაგროვილი სათქმელი ისე გადმოსცეს, როგორც სურს. ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო.

— რომანში ამბის მთხრობელი ქალია. რამდენად რთული იყო თქვენთვის, როგორც საპირისპირო სქესის წარმომადგენლისთვის, ქალის ემოციების, განცდებისა და ფიქრების გადმოცემა?

— ნამდვილად რთული იყო, თუმცა თავიდანვე ვიცოდი, რომ ქალის მიერ დაწერილ დღიურებთან მქონდა საქმე. აქედან გამომდინარე, პროტაგონისტს ისე მივუდექი, როგორც გმირს. ქალის კუთხეების ძებნა რომ დამეწყო, ნამდვილად არ გამომივიდოდა. ამიტომაც არ დამიწყია ძიება. ეს უბრალოდ ჩემი გმირია და ამ გმირის თვალით დანახული სამყარო გამოვიყენე.

— რატომ 13 და არა, დავუშვათ, რომელიმე სხვა რიცხვი? უბრალოდ, ასე დაემთხვა, თუ რაიმე სიმბოლური დატვირთვა აქვს?

— ტექსტისთვის ამ რიცხვს დიდი დატვირთვა არ ჰქონია. არც რაიმე სიმბოლოს მატარებელი ყოფილა. ავტორს ეს თავისთვის უნდოდა, ესაა და ეს.

— 2009 წელს გამოიცა თქვენი კრებული „მზეო არ ამოხვიდე“, რომელმაც თვრამეტი ერთმანეთისაგან განსხვავებული მოთხრობა გააერთიანა. რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი მოთხრობის წერის პროცესში?

— ამ თვალსაზრისით, მგონი, ყველას აქვს მოთხოვნები და დაწუწუნებაც, თავისებურად, ყველას შეუძლია. რასაკვირველია, სტიმული გჭირდება, ეგრე არ არის, დაჯექი და დაწერე. უზარმაზარი შინაგანი სამყაროს მობილიზება და მუდმივად ფორმაში ყოფნაა საჭირო. მოკლედ რომ ვთქვა, კარგი გარემო და შინაგანი მდგომარეობაა მთავარი. რა თქმა უნდა, არის ხოლმე ძალიან ცუდი მდგომარეობაც, რომელიც წერისას ბიძგისმომცემია, თუმცა ხშირად სიმშვიდე სჯობს. ალბათ მაინც მოგზაურობაა მნიშვნელოვანი. პირადად ჩემთვის, ყოველთვის ახლოს იყო ეს. მოგზაურობისას მუდმივად ვწერდი და გამოქვეყნებული ტექსტების უმეტესი წილიც ამ დროს დავწერე. თბილისშიც, გინდა არ გინდა, წერ, თუმცა რის შექმნასაც ქალაქში ცხრა თვეს ვანდომებ, მოგზაურობისას ფინიშამდე გასასვლელად ერთი თვეც მყოფნის. ამიტომ არის ჩემთვის მოგზაურობა წერის პროცესში საუკეთესო საშუალება.

— მოთხრობა თუ რომანი? რომლის წერის დროს გრძნობთ თავს უფრო კომფორტულად?

— რა თქმა უნდა, ორივე. რომანისა და მოთხრობის გაყოფა არ შემიძლია. სულ სხვადასხვა მოცემულებები და მოთხოვნილებებია. როცა შენს საყვარელ საქმეს აკეთებ, სულერთია, რომელ ჟანრში იხარჯები, მთავარია, წერ. ყველაზე კარგია, როცა შრომისთვის ხარ განწყობილი და გაქვს რეჟიმი, რომელიც აუცილებელია. სანამ საწერად დაჯდები, იქამდე ხდება რეჟიმისკენ სვლა. სწორედ განვლილი გზის გახსენებაა ის, რაც შემდგომ ტრფობას განიჭებს. ტრფობასთანაც მუდმივი დისტანციაა საჭირო. მიხვალ ფსკერთან, გამოეცალე, მიხვალ ფსკერთან, გამოეცალე და ასე მარადიულად.

— 90-იან წლებში თქვენ ჟურნალ „XX საუკუნის“ რედაქტორის მოადგილე ბრძანებოდით; შემდეგ „New Century“-სა და „ახალი საუკუნის“ მთავარი რედაქტორი. როგორ შეაფასებდით იქ მუშაობის პროცესს?

— „XX საუკუნის“ პირველი ნომერი 1994 წელს ჩვენი ოჯახის სახსრებით გამოვიდა. ზაალ სამადაშვილი იყო რედაქტორი. მაშინ ამ ჟურნალზე ბევრი რამ არ თქმულა, თუმცა ახლა ვხედავ, რამდენად საჭიროა დღეს ამ ტიპის ჟურნალის არსებობა საქართველოში. იმხელა მოცულობის ჟურნალი, როგორიც „XX საუკუნე“ იყო, დღესდღეისობით არ არის. მასში ხარისხიანი ლიტერატურა იბეჭდებოდა.ბევრი კარგი მწერლისთვის, როდესაც რედაქციისგან შეკვეთას იღებდა, სწორედ ეს ჟურნალი იყო სტიმული. ყველაფერი ეს მწერალს ძალიან გეხმარება. მატერიალურის გარდა, როდესაც გეგულება ასეთი შემკვეთი და ამგვარი გემოვნების ჟურნალისთვის სასურველი ავტორი ხარ, ძალიან დიდი სტიმულია. იმდროინდელმა შეთავაზებებმა დიდი ხნის გაჩერებული მწერლებიც კი გემრიელად აამუშავა. ამას მოჰყვა „New Century“-ს ოთხი ნომერი, რომელიც 2000-იან წლებში გამოიცა. სწორედ ამ ჟურნალის დახმარებით ინგლისურად ითარგმნა ორმოცდაცხრამეტი ქართველი ავტორი — პოეზიაც, პროზაც. ასევე გამოიცა მხატვრების ილუსტრაციებიც. ამის შემდეგ ყველაფერი აირია და ეს საქმეც გაჩერდა. სწორედ „XX საუკუნის“ გამოძახილი იყო „New Century“.

— ალბათ არაერთი ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებას ეცნობოდით. როგორ დაახასიათებდით თანამედროვე და 90-იანელ დამწყებ შემოქმედთა თაობას?

— ზოგადად, შედარება არ მიყვარს ხოლმე. ასე ხომ ვერასდროს მიხვალ დასკვნამდე?! ვფიქრობ, ასე შეხედვა არ შეიძლება. ძალიან ადვილად დაატაკეს ერთმანეთს თაობები, რაც შეცდომად მიმაჩნია. თან ეს ისე გააკეთეს, წარსულის დანახვაც არ მოინდომეს. გახედვაც არ უნდათ უკან. ერთმანეთს თუ კარგად არ გავიცნობთ — საიდან მოვდივართ, რა ხედვებით ვსაზრდოობთ — ამას ვერ შევაფასებთ. მწერალს სხვისი წარსულის ინტერესი თუ არ გაქვს, არ არსებობს, წერა გამოგვიდეს. დღევანდელ რეალობას სწორედ იმ წარსულში პოულობ. ესაა მთლიანი ჯაჭვი. ეს უნდა იცოდე. შენი საქმე, მწერლობა ითხოვს — როგორ მოვიდა ადამიანი აქამდე, იმის სურნელი რომ გაიგო, როგორ სუნთქავდა. თუ გინდა, რომ წერო, წარსულის სურნელი უნდა იგრძნო. მჯერა, ლიტერატურა ყოველთვის მსუყე ნაკადად იჩქეფებს, რადგან ის ჩვენი საზოგადოების ხერხემლის ერთ-ერთი ძლიერი მალაა.

— წლებია, ქართველი ხალხისთვის თაბუკაშვილების გვარი განსაკუთრებულად ძვირფასია. ვის მიუძღვის ყველაზე დიდი წვლილი იმაში, რომ წერის სურვილი გაგიჩნდათ?

— სიმართლე გითხრათ, იმ სფეროში, სადაც გინდა, რომ სიტყვა თქვა და სწორედ ამ სფეროშივე ასეთი წინაპრები გყავს, ცოტა რთულია. შედარებას ვერ გაექცევი და, შესაბამისად, მძიმე რაღაცებიც ხდება ხოლმე. ის ცალკეა, რომ შენ მათთან ურთიერთობის ბედნიერება გხვდა წილად, თუმცა ეს მხოლოდ შენი პირადია. ხალხი, როგორც მწერალს, სხვანაირად გიყურებს — როგორც წინაპრების საქმის გამგრძელებელს. რაღაც პარალელების გავლებასაც ცდილობენ, რასაც ვერ აცდები.სახელი და გვარი ყოველთვის მუშაობს. თუმცა ალბათ არცაა გასაკვირი, წინაპრების ანალოგიური გზა რომ ავირჩიე.

— ბატონო რეზო, რას იტყოდით ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის გარშემო მიმდინარე მოვლენებზე?

— ძალიან ცუდი სუნი ასდის მანდ ყველაფერს. ათწლეულია, ერთი და იგივე ხალხი დაჰყავთ და ერთსა და იმავე ავტორებს თარგმნიან, რამაც გარკვეული გაბრაზებაც გამოიწვია. ასე ნამდვილად არ შეიძლება.

— ქართველი მკითხველი ელოდოს თქვენგან სიახლეს?

— ვიმედოვნებ, რაღაცას ვიტყვი. სათქმელი ნამდვილად დამიგროვდა. უბრალოდ, კარგად უნდა ჩაჯდომა. საამისოდ სნორედ ის პირობები უნდა შევიქმნა, რაზეც ვისაუბრე. ახლაც ვაკეთებ რაღაცებს, თუმცა მაინც არ მინდა, წინასწარ რაიმე ვთქვა.

— სამომავლოდ რას უსურვებდით ახალგაზრდა დამწყებ მწერლებს?

— პირობების ხშირად აღმოჩენას ვუსურვებ, რომ დასხდნენ და იოლად წერონ. კარგად ვიცი, არასდროს არაფერია იოლი, თუმცა მინდა, გარე პირობები ისე ჰქონოდეთ დალაგებული, რომ სხვა საზრუნავი ნაკლებად აწუხებდეთ. ასევე ვუსურვებ იღბალს, ურომლისოდაც ცხოვრება ძნელია. დანარჩენი კი, რას გვეტყვიან, მათზეა დამოკიდებული.







ესაუბრა გურამ დავითლიძე

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004